ლელო 80

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
3 აპრილი **ხუთშაბათი** 2014
№063 (14 284) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

აპრილში ლელო იუბილარია

# ხინჩეგაშვილმა ევროპას საქართველოს დროშა შემოახვია



10




5

# სამაია

## პსჟ-სა და რეალის შესრულებით

# ბარსელონას ტრანსფერები ორი წლით აუკრძალეს

FCB

8

# სერენამ ისეთთან წააგო...



15

# ეპიცენტრშია ვაკე!

03.04. თბილისი. მ. მესხი

16:00

**სიონი**

ურთიერთშეხვედრები
23: +5=6 -12 (16:32)

**მეტალურგი**

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| ჩიხურა-სიონი | 1:2 (სჩ) |
| ჩიხურა-სიონი | 2:1 (სთ) |
| სიონი-ზესტაფონი | 0:1 (სჩ) |
| მეტალურგი-სიონი | 0:2 (სჩ) |
| სიონი-ტორპედო | 1:2 (სთ) |

| | |
|---|---|
| მეტალურგი-ჩიხურა | 2:0 (სჩ) |
| ზესტაფონი-მეტალურგი | 2:0 (სჩ) |
| დინამო (თბ)-მეტალურგი | 4:1 (სთ) |
| დინამო (თბ)-მეტალურგი | 0:1 (სჩ) |
| მეტალურგი-სიონი | 0:2 (სჩ) |

I-VI ადგილები

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | 24 | 17 | 3 | 4 | 55 | 17 | 54 |
| 2 | ზესტაფონი | 24 | 13 | 4 | 7 | 32 | 16 | 43 |
| 3 | ჩიხურა | 24 | 11 | 5 | 8 | 41 | 37 | 38 |
| 4 | მეტალურგი | 24 | 10 | 6 | 8 | 28 | 27 | 36 |
| 5 | სიონი | 23 | 10 | 6 | 7 | 29 | 24 | 36 |
| 6 | გურია | 23 | 11 | 0 | 12 | 25 | 32 | 33 |



მეორე წრე. მეტალურგი-სიონი 0:2

ნინო გელაშვილის ფოტო

**საიუბილეო** ჩემპიონატის „უცნაურობები" გრძელდება: XXV ტურის 6 მატჩი სამ დღეზეა „გაწერილი"! მსგავსი ფაქტები სხვა ქვეყნებში მართლაც ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ იქ თუ სატელევიზიო ინტერესების გათვალისწინებით ხდება ყველაფერი, ჩვენს შემთხვევაში აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციაა.

უფრო ზუსტად, გამოუვალი მდგომარეობიდან ნაკარნახევი და, ფაქტობრივად, ერთადერთი ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება მოუხდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტს მეორე ეტაპის კალენდრის შედგენისას: სხვადასხვა მიზეზის გამო, სამმა გუნდმა სეზონის ბოლომდე დარჩენილი საშინაო შახვედრები ხომ ერთსა და იმავე სტადიონზე (თბილისში, „მიხეილ მესხზე") უნდა ჩაატაროს!

ჰოდა, ამის გამოც არის, რომ დღეს ვაკეში „სიონმა" „მეტალურგს" უნდა „უმასპინძლოს", ხვალ „ტორპედო"-"დილას" მატჩია (ოღონდ, უმაყურებლოდ), ზეგ კი - ამ ტურის ერთ-ერთი პრინციპული შეხვედრაა („სპარტაკი"-"ზუგდიდი").

აი, სადამდე მიგვიყვანა ქართული საკლუბო ფეხბურთის მარადიულად ქცეულმა პრობლემამ: უმაღლესი ლიგის კლუბების თითქმის ნახევარს, მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურისა თუ სხვა მიზეზთა გამო, საშინაო შეხვედრების ჩატარება, ფაქტობრივად, ნეიტრალურ მოედნებზე უწევთ.

თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ ლაპარაკია 12-გუნდიან ჩემპიონატზე და წარმოიდგინეთ, სფფ-სგან ახლახან დაანონსებული იდეა (უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის 16 ან 18-მდე გაზრდასთან დაკავშირებით) თუ რეალობად იქცა, აი, ტვინის ჭყლეტა კალენდრის შედგენისას მერე ნახეთ. ისე, სფფ-სგან წარმოდგენილ პროექტში არსად არის მითითებული, რომ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდა, გინდა თუ არა, უკვე ამ ზაფხულსვე იგეგმებაო. თუმცა, ბოლოდროინდელი განვითარებული მოვლენებიც და სახიფათო ზონაში მყოფი გუნდების წარმომადგენელთა საჯარო განცხადებები (ჩემპიონატის დონეს, თურმე, გუნდების რაოდენობის გაზრდა აამაღლებსო) იმას გვაფიქრებინებს, რომ უკვე მომავალი სეზონიდანვე ვიხილავთ 16 ან 18-გუნდიან ჩემპიონატს!

როგორც ამბობენ, თურმე, თვითონ კლუბების სურვილი ყოფილა უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდა, თანაც, თითქმის ყველა კლუბში, გარდა „ზესტაფონისა" და, ჩვენი ინფორმაციით, გარდა „დინამოსი". ამასთან ერთად, რატომღაც გვგონია, რომ პირველი ლიგის (აქაც ხომ სერიოზული რეორგანიზაცია იგეგმება) ერთი გუნდიც წინააღმდეგი უნდა იყოს უმაღლესი ლიგის „ხელოვნურად" გაზრდის - „საბურთალოს" ვგულისხმობთ.

რაც შეეხება „ლელოს", ჩვენს გაზეთს ამასთან დაკავშირებით მკვეთრად გამოხატული ნეგატიური დამოკიდებულება აქვს და საკუთარ პოზიციას შემდგომშიც დავაფიქსირებთ. უფრო ზუსტად კი, „ლელოს" უახლოეს ნომრებში შევეცდებით კიდევ ერთხელ შევახსენოთ ფეხბურთის გულშემატკივრებს, თუ რა ნეგატიური შედეგები მოყვებოდა ხოლმე მსგავს ექსპერიმენტებს საქართველოს ჩემპიონატის ისტორიაში. მანამდე კი, ისევ და ისევ იმ ვითომ-ინტრიგაზე უნდა ვისაუბროთ, ამ ჩემპიონატს ჯერ-ჯერობით მაინც რომ შემორჩა...

## საევროპე დერბი

ქვედა ექვსეულში ყველაზე დიდ ინტერესს თუ უშუალო კონკურენტების („სპარტაკი"-"ზუგდიდი") დაპირისპირება იწვევს, აი, „ზემოთ" კი არანაკლებ დამაინტრიგებლად ქვემოქართლური „დერბი" უნდა მივიჩნიოთ. მით უმეტეს, ჩვენს ჩემპიონატში მოვლენები ისე განვითარდა, რომ დღესდღეობით სწორედ „სიონი" და „მეტალურგი" აცხადებენ პრეტენზიას ევროტურნირების ერთადერთი ვაკანტური საგზურისათვის (დანარჩენი სამი, ფაქტობრივად, უკვე „გადანაწილებულია").

მოდი, ჯერ სატურნირო მდგომარეობაზე ვთქვათ: „სიონსაც" და „მეტალურგსაც" ქულათა ერთნაირი რაოდენობა აქვთ, თუმცა ბოლნისურ გუნდს მეტოქესთან შედარებით ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული (წინა ტურის გამოტოვებული შეხვედრა „გურიასთან" 8 აპრილს გაიმართება) და, რაც მთავარია, ურთიერთშეხვედრებშიც სჯობნის. შეგახსენებთ, რომ თანაბარი ქულების შემთხვევაში უმთავრესი პრიორიტეტი სწორედ ურთიერთშეხვედრებია და ამიტომაც დღევანდელი მატჩიც საინტერესო უნდა გამოდგეს.

...ამ გუნდების პირველი წრის დაპირისპირებაც „მიხეილ მესხის" სტადიონზე შედგა, ოღონდ 2013 წლის 26 ოქტომბერს ჩატარებულ იმ მატჩში „სიონს" **გიორგი კიკნაძე** მოძღვრავდა, „მეტალურგს" კი - **გელა სანაია**. ის შეხვედრა „მეტალურგმა" **ლევან კორღალიძის** ერთადერთი გოლით მოიგო და სწორედ ამის შემდეგ იყო, „სიონის" გაძლოლა კლუბის დირექტორმა **ლადო ბურდულმა** რომ შეითავსა.

ვერაფერს ვიტყვით - ბურდულის სამწვრთნელო დებიუტი ერთობ წარმატებული გამოდგა და გასული წლის შემოდგომისათვის ერთ-ერთი აუტსაიდერი გუნდი დღესდღეობით უკვე ევროტურნირების საგზურის მოპოვების რეალური კანდიდატი გახდა, იმ პირველი წრის მატჩიდან მოყოლებული, არანაკლები ცვლილებები მოხდა „მეტალურგშიც": ზამთრის პაუზის დაწყებამდე გუნდში მთავარ მწვრთნელად ოთხწელიწადნახევრიანი პაუზის შემდეგ **ვარლამ კილასონია** დაბრუნდა, ძირითადი შემადგენლობაც მკვეთრად გადახალისდა.

თუმცა რუსთაველებმა უმთავრეს მიზანს მაინც მიაღწიეს და ზედა ექვსეულში მოხვდნენ. არადა, დღევანდელი მეტოქეების მეორე წრის მატჩის წინ ისეთი სატურნირო მდგომარეობა იყო შექმნილი, ზედა ექვსეულის მიღმა, შესაძლოა, „სიონი" ან „მეტალურგი" დარჩენილიყო. ეს შეხვედრა სულ ახლახან გაიმართა (ჯერ ერთი თვეც არ გასულა) და საბოლოოდ, ბოლნისელთა გუნდის დამსახურებული გამარჯვებითაც დამთავრდა (2:0).

შეგახსენებთ, რომ იმ მატჩში ორივე გოლი „სიონის" 34 წლის მცველმა **ვალერი აბრამიძემ** ზუსტი თავური დარტყმით გაიტანა და ორივე შემთხვევაში ასისტენტობას ბოლნისელთა გუნდის კიდევ ერთი გამორჩეული ვეტერანი, 37 წლის **ალექსანდრე გოგობერიშვილი** უწევდა. საბოლოოდ, ისე მოხდა, რომ „სიონის" მსგავსად „მეტალურგმაც" შეძლო ზედა ექვსეულში შეღწევა და როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, რუსთაველებს ახლა უკვე საევროპე ამბიციაც გაუჩნდათ.

...XXV ტურის ეს ერთადერთი დღევანდელი შეხვედრა ინტერესს იმითაც იწვევს, რომ „სიონსა" და „მეტალურგს" ერთმანეთთან არც წინა ეტაპიდან თუ წინა სეზონიდან „გადმოყოლილი ვალი" აქვთ და ამას გარდა, „ზემოდანაც" არანაირი „დირექტივა" არ ექნებათ მიღებული...

**გია ტუხაშვილი**

I ლიგა

XVIII ტური

A ზონა

| | |
|---|---|
| გაგრა-საპოვნელა | 3:1 |
| ჩხერიმელა-ალგეთი | 2:2 |
| შუქურა-კოლხეთი (ფ) | 1:1 |
| დინამო 2 (თბ)-მეშახტე | 6:1 |
| ადელი-მერცხალი | 2:1 |
| იმერეთი-სქური | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შუქურა | 18 | 14 | 3 | 1 | 59-15 | 45 |
| 2. კოლხეთი (ფ) | 18 | 14 | 2 | 2 | 41-10 | 44 |
| 3. დინამო 2 | 19 | 11 | 3 | 5 | 54-24 | 36 |
| 4. გაგრა | 19 | 9 | 6 | 4 | 37-21 | 33 |
| 5. საპოვნელა | 18 | 9 | 3 | 6 | 31-19 | 26 |
| 6. ალგეთი | 18 | 8 | 2 | 8 | 29-29 | 26 |
| 7. მეშახტე | 17 | 6 | 5 | 6 | 29-29 | 23 |
| 8. ჩხერიმელა | 18 | 6 | 4 | 8 | 24-37 | 22 |
| 9. იმერეთი | 18 | 5 | 3 | 10 | 19-39 | 18 |
| 10. სქური | 19 | 5 | 2 | 12 | 20-42 | 17 |
| 11. ადელი | 19 | 4 | 3 | 12 | 21-54 | 15 |
| 12. მერცხალი | 19 | 4 | 2 | 13 | 17-39 | 14 |
| 13. კახეთი | 19 | 4 | 2 | 12 | 20-43 | 14 |

B ზონა

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-სამგურალი | 6:2 |
| დილა 2-ჭიათურა | 2:2 |
| კოლხეთი (ხ)-ბახმარო | დღეს |
| სტუ-დინამო (ბთ) | დღეს |
| სამტრედია-სასკო | დღეს |
| საბურთალო-ბეთლემი | დღეს |
| სულორი-მაჭახელა | ხვალ |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამტრედია | 19 | 15 | 2 | 2 | 43-17 | 47 |
| 2. დინამო (ბთ) | 19 | 14 | 1 | 4 | 39-12 | 43 |
| 3. მაჭახელა | 19 | 12 | 5 | 2 | 32-12 | 41 |
| 4. სასკო | 19 | 12 | 2 | 5 | 37-17 | 38 |
| 5. ჭიათურა | 18 | 10 | 1 | 7 | 30-25 | 31 |
| 6. სამგურალი | 19 | 8 | 4 | 7 | 32-32 | 28 |
| 7. საბურთალო | 19 | 7 | 3 | 9 | 29-26 | 24 |
| 8. ლოკომოტივი | 18 | 7 | 2 | 9 | 39-28 | 23 |
| 9. ბეთლემი | 19 | 7 | 2 | 10 | 21-25 | 23 |
| 10. კოლხეთი (ხ) | 19 | 6 | 4 | 9 | 22-40 | 22 |
| 11. სტუ | 19 | 6 | 2 | 11 | 32-40 | 20 |
| 12. დილა 2 | 19 | 5 | 3 | 11 | 21-35 | 18 |
| 13. ბახმარო | 19 | 1 | 7 | 11 | 20-52 | 10 |
| 14. სულორი | 19 | 2 | 2 | 15 | 9-45 | 8 |

II ლიგა

აღმოსავლეთი ზონა

XX ტური

| | |
|---|---|
| იბერია-ჰერეთი/საქ.უნ | 2:3 |
| ლიახვი-რუსთავი | 2:2 |
| ფორვარდი-ივერიონი | 3:4 |
| არაგვი-დურუჯი | 3:1 |
| სასკო 2-გოლიადორი | 1:0 |
| დინამო (სხ)-მარკ სტარი | 1:3 |
| ალაზანი-ივერია | 3:0 |
| ბორჯომი-აბული | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორჯომი | 19 | 17 | 2 | 0 | 69-16 | 53 |
| 2. მარკ სტარი | 20 | 17 | 1 | 2 | 82-18 | 52 |
| 3. ლიახვი | 20 | 13 | 6 | 1 | 52-24 | 45 |
| 4. ჰერეთი/საქ.უნ. | 20 | 12 | 4 | 4 | 59-32 | 40 |
| 5. ივერია | 20 | 11 | 2 | 7 | 48-36 | 35 |
| 6. არაგვი | 20 | 9 | 6 | 5 | 51-32 | 33 |
| 7. აბული | 19 | 8 | 3 | 8 | 26-31 | 27 |
| 8. გოლიადორი | 19 | 8 | 1 | 10 | 43-43 | 25 |
| 9. ივერიონი | 19 | 6 | 5 | 8 | 33-39 | 23 |
| 10. ალაზანი | 20 | 6 | 4 | 10 | 32-47 | 22 |
| 11. დურუჯი | 20 | 6 | 2 | 12 | 28-42 | 20 |
| 12. რუსთავი | 19 | 5 | 3 | 11 | 34-69 | 18 |
| 13. დინამო (სხ) | 18 | 5 | 1 | 12 | 22-46 | 16 |
| 14. ფორვარდი | 20 | 4 | 3 | 13 | 26-55 | 15 |
| 16. სასკო 2 | 20 | 3 | 2 | 15 | 18-50 | 11 |
| 16. იბერია | 19 | 3 | 1 | 15 | 26-69 | 10 |

● აქტუალურ თემაზე

# დილა გარანტიებს ითხოვს

## ვინ რატომ არის თანახმა უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდაზე?

**საქართველოს** ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდა საფეხბურთო სამყაროში აქტუალური თემად იქცა. აქტუალურ კი არა, ფეხბურთის ფედერაციასთან დაახლოებულ ხალხს თუ ვენდობით, ფაქტობრივად, გადაწყვეტილიც ყოფილა, რომ მომავალ სეზონში საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა 16-მდე გაიზრდება. „ლელომ" ამ იდეასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია უკვე დააფიქსირა და ამ თემას კიდევ მივუბრუნდებით.

იქამდე კი იმ 10 გუნდის წარმომადგენლის აზრს შემოგთავაზებთ, რომლებიც უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის 16-მდე ან 18-მდე გაზრდას ემხრობიან. დანარჩენი ორი გუნდის („დინამო" და „ზესტაფონი") პოზიციას მოგვიანებით შემოგთავაზებთ. ამ თემაზე სჯა-ბაასისთვის „ლელომ" პირველად გორის „დილას" მენეჯერი გია ისიანი ისტუმრა.

**- სულ თავიდან დავიწყოთ. საიდან ან ვისგან წამოვიდა ის იდეა, რომ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა უნდა გაიზარდოს?**

- იმ პროექტის შემდეგ, რაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ სპორტის სამინისტროსთან ერთად შეიმუშავა, გაჩნდა იმედი, რომ სახელმწიფოს ხელშეწყობით კლუბები უფრო მეტად იქნებიან წელში გამართულები და ისიც რეალური საქმეა, რომ მათ დასახმარებლად სოლიდური ნაბიჯები გადაიდგას. მისასალმებელია და გვიხარია, რომ კლუბებმა ფედერაციისგან უკვე მიიღეს 200-200 ათასი ლარი. აი, ამგვარი, უპრეცედენტო საქმის შემდეგ კი უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდაზეც შეიძლება.

**- რატომ უჭერს მხარს გორის „დილა" 16-გუნდიან პირველობას?**

- მიგვაჩნია, რომ საქართველოში ფეხბურთის მეტი პოპულარიზაციისთვის ასე სჯობს. ალბათ, გაეცანით ფეხბურთის ფედერაციის მიერ შემუშავებულ იმ ორ პრო-



გია ისიანი

I ლიგა

# ინციდენტი ქობულეთში

გუშინ, პირველი ლიგის A ჯგუფის ლიდერმა ქობულეთის „შუქურამ“ „ჩელე-არენაზე“ მეორეადგილოსან ფოთის „კოლხეთს“ უმასპინძლა. ანგარიში მასპინძელთა შემტევმა ნახევარმცველმა **ირაკლი კუტალიამ** გახსნა, წონასწორობა კი ფოთელმა **თემურ შარაშენიძემ** აღადგინა. მეორე ტაიმში **ლაშა გოგონაიას** მსაჯმა წითელი ბარათი უჩვენა და „კოლხეთმა“ მატჩი 10 კაცით დაასრულა. საბოლოოდ, გუნდები დაზავდნენ - 1:1.

ზავი ზავად და, უწესრიგობის ჭარეში არც ეს თამაში ყოფილა. მატჩი ნუთით იყო შეწყვეტილი, რაც ბოლოს ქვების სროლით „დაგვირგვინდა“. აჭარის ტელევიზიის ცნობით, მეტოქეთა გულშემატკივრები ერთმანეთს „შუქურას“ გოლის შემდეგ დაუპირისპირდნენ, თუმცა ვითარება მალევე განიმუხტა.

ცხელი „მესამე ტაიმი“ მატჩის შემდეგ დაიწყო: ფოთელი გულშემატკივრები შინ ბრუნდებოდნენ, როცა რუსთაველის ქუჩაზე ქობულეთელი ფანების ნაწილმა სტუმართა ავტობუსს ქვები დაუშინა. შედეგად, რამდენიმე ფოთელი დაშავდა. ისინი დაკითხვაზე პოლიციაში იმყოფებოდნენ. თვითმხილველთა თქმით, თავდამსხმელთა უმრავლესობა არასრულწლოვანი იყო.

მომხდარით შეწუხებული იყო ქობულეთის „შუქურას“ პრეზიდენტი **რევაზ ჩელებაძე**: *„ჩვენი გოლის შემდეგ, „შუქურას“ მეკარემ ემოცია გამოხატა. მერე აჰყვა ჯერ ფოთელი და შემდეგ ქობულეთელი გულშემატკივარი. მაგრამ ყველაფერი მალევე დაწყნარდა. თამაშიც ლამაზად დასრულდა, სტუმრები პოლიციით გავაცილეთ, მაგრამ რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ავტოგასამართ სადგურთან გულშემატკივართა ნაწილი ფოთელების მხარდამჭერებს დახვდნენ, ავტობუსის მინები ჩაუმსხვრიეს და კიდევ კარგი, რომ სერიოზულად არავინ დაშავებულა. ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა“.*

**თემურ ბარქაია**, „კოლხეთის“ გენერალური დირექტორი: *„ინციდენტი თავიდან რომ აგვეცილებინა, გულშემატკივრები შემოვლითი გზით გამოვიყვანეთ. მაგრამ ცუდი ფაქტი მაინც მოხდა და კიდევ კარგი, ფატალური შედეგით არ დასრულდა. მომხდარი ყველამ უნდა დაგმოს. ასეთი ვაიგულშემატკივარი სტადიონზე არ უნდა დავუშვათ“.*

**მერაბ მამულაშვილი**

TVფეხბურთი

# თამაშებს ფედერაციაც გადაიღებს

## რატომ ვერ ხერხდება ტელერეპორტაჟები?

29 მარტს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ტურის და, ალბათ, სეზონის ცენტრალური მატჩი „დინამო არენაზე“ გაიმართა - თბილისის „დინამომ“ „ზესტაფონს“ უმასპინძლა. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ჩემპიონატის მიმართ ხალხის ინტერესი შემცირებულია, ეს შეხვედრა გულშემატკივრებში მაინც გამორჩეულ ინტერესს იწვევდა. თუმცა ლიდერთა დაპირისპირება ტელემაყურებელმა ვერ ნახა.

ამის გამო, ქომაგებს პრეტენზია „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიმართ გაუჩნდათ, ფორუმებში ატყდა ტრადიციული ლანძღვა - აქაოდა, ასეთ თამაშს თუ არ აშუქებთ, სხვა რა საქმე გაქვთო და ასე შემდეგ.

საბოლოოდ კი, გაირკვა, რომ საქართველოს ჩემპიონატის მატჩების არგაშუქებაში „საზმაუწყებელს“ ბრალი არ მიუძღვის. როგორც არხის სპორტულმა კომენტატორმა **დავით მინაშვილმა** აგვიხსნა, ფეხბურთის ფედერაციასა და „საზმაუწყებელს“ შორის გაფორმებული კონტრაქტის მიხედვით, პირდაპირი ტელერეპორტაჟები მხოლოდ კვირას დანიშნული თამაშებიდან დაიგეგმა, რაც ზედა და ქვედა ექვსეულის კალენდრის შედგენისას არ გაითვალისწინეს და თამაშები საეთერო ბადეს ასცდა. სწორედ ამიტომ ვერ იხილა მაყურებელმა შაბათს გამართული ლიდერთა შეხვედრა.

ზედა ექვსეულის 8 ტურიდან კვირას მხოლოდ ორი ჩატარდება. ამ საკითხთან დაკავშირებით, ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო განყოფილების უფროსმა **დიმიტრი ბოკერიამ** ბრძანა, რომ ფედერაცია მსჯელობს პრობლემის მოგვარების გზებზე და, შესაძლოა, ზედა ექვსეულის მატჩებიც კვირას ჩატარდეს. ბოკერიამ „ლელოს“ უთხრა:

*„ბუნებრივია, ჩვენი ინტერესია, რომ კალენდრის შედგენისას, სპორტული პრინციპებისა და ჩემპიონატში მონაწილე გუნდების ინტერესების გარდა, გულშემატკივრისა და ტელევიზიის ინტერესიც გავითვალისწინოთ. ფედერაციაში მართლაც განვიხილეთ ტელევიზიის თხოვნა, რომ ზედა ექვსეულის თამაშები მაინც გადაგვეტანა კვირას. არხის სპორტული განყოფილების ხელმძღვანელები ამით დაინტერესებულები არიან. მაგრამ, სამწუხაროდ, კალენდრის შეცვლა ვერ მოხერხდა. ასეთ შემთხვევაში, უკვე ყველაფრის შეცვლა მოგვიწევდა, რაც შეუძლებელი იყო. საქმე ისაა, რომ დარჩენილი 8 ტურიდან 2 ისედაც კვირას ჩატარდება, 2-ჯერ კვირადღე მართლმადიდებლურ ზეიმს, ბზობასა და აღდგომას ემთხვევა და ამ დროს თამაშებს არც ადრე ვნიშნავდით. დარჩენილი 4 ტურის მატჩები კი სამშაბათსა და ოთხშაბათს იყო დაგეგმილი და კალენდრის გადაწყობა აღარ გამოდიოდა“*, - განმარტავს ბოკერია.

სფფ-ს საშეჯიბრო განყოფილების უფროსმა სხვა საინტერესო ამბებიც გაგვიმხილა: *„ბოლო დროს გახშირდა პრეტენზიები მსაჯების მიმართ. არის ეჭვები, რომ ესა თუ ის გუნდი გარიგებულ შეხვედრებს ატარებს. არასერიოზულია ლაპარაკი, თითქოს, ჩვენ არ გვსურს, რომ გადამწყვეტი შეხვედრები ტელემაყურებელმა იხილოს. არაფერი დასამალი არ გვაქვს. მეტიც, ჩვენი პრესსამსახურის უფროსის, ლაშა დვალიშვილის ინიციატივაა, რომ ფედერაციამ შეიძინოს კამერები და თითოეული შეხვედრა ორ-ორმა ოპერატორმა გადაიღოს. ასე უკეთ გვეცოდინება, ვინ რას აკეთებს, საკამათო ეპიზოდებზეც უფრო ცხადი წარმოდგენა შეგვექმნება, ვიდრე ერთი კამერით გადაღების დროს. რაც მთავარია, ეს იქნება პრევენცია. კამერები უკვე გამოვიწერეთ და თამაშების გადაღებას მომავალი სეზონიდან დავიწყებთ“.*

**მერაბ მამულაშვილი**




[illegible]



ჯიმი ტაბიძე

# ტაბიძეს მორიენტესი ავარჯიშებს

„ლელოს“ მკითხველმა იცის, რომ 31 მარტს, მადრიდის „რეალის“ ოფიციალური მიწვევით, ესპანეთში საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებისა და „საბურთალოს“ ცენტრალური მცველი **ჯიმი ტაბიძე** გაემგზავრა. „საბურთალოს“ პრესსამსახურის ცნობით, ტაბიძეს მადრიდში ესპანეთში საქართველოს ელჩი **ზურაბ პოლოლიკაშვილი** დახვდა. უკვე მესამე დღეა, 18 წლის ცენტრალური მცველი „სამეფო“ გუნდის 19-წლამდელებში ვარჯიშობს. მადრიდელები ტაბიძეს კიდევ რამდენიმე დღის განმავლობაში დააკვირდებიან. ჭაბუკმა ფეხბურთელმა ესპანურ კლუბში ვარჯიშებზე პირველი შთაბეჭდილებები „საბურთალოს“ ვებგვერდს გაუზიარა.

*„ძალიან კარგი გარემოა. ჩემი თანატოლები მეგობრულად დამხვდნენ, მათგან სითბოსა და კეთილგანწყობას ვგრძნობ. რომ ვთქვა, განსაკუთრებული ვარჯიში იყო-მეთქი, ასე ნამდვილად არ არის. ჩვეულებრივი საწვრთნელი პროცესი იყო, აქცენტი ბურთის შენარჩუნებასა და გამძლეობაზე იყო გაკეთებული. მთლიანად ვარჯიშმა დაახლოებით 90 წუთი გასტანა, ბოლოს „ორკარაც“ ვითამაშეთ. მე ჩემს ჩვეულ პოზიციაზე, დაცვის ცენტრში დამაყენეს. მადრიდელთა 19-წლამდელების გუნდს „რეალის“ ლეგენდა ფერნანდო მორიენტესი ავარჯიშებს. ჩანს, რომ გუნდი ტექნიკურია და აქცენტი სწორედ ბურთთან ხშირ შეხებაზე კეთდება“*, - ამბობს ტაბიძემ.

შეგახსენებთ, რომ ტაბიძე, ისევე როგორც „ლივერპულში“, „რეალშიც“ სტაჟირებაზე იმყოფება და ახლა მასზეა დამოკიდებული, დააინტერესებს თუ არა მადრიდულ გრანდს.

**მერაბ მამულაშვილი**

ექტს, რომელიც უმაღლესი ლიგის 16 და 18 გუნდამდე გაზრდას ითვალისწინებს. იქვე არის მითითებული, რომ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში სტადიონები კეთდება და ინფრასტრუქტურა უმჯობესდება. ძნელად წარმოსადგენია, რომ დღესდღეობით საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში არ თამაშობენ ბათუმის „დინამო“ და ფოთის „კოლხეთი“, ასევე - „სამტრედია“ და ქობულეთის „შუქურა“.

**- ფეხბურთის ფედერაციის მოთხოვნით, უმაღლესი ლიგის კლუბებისთვის გარკვეული კრიტერიუმებიც არის დაწესებული. კერძოდ ის, რომ უმაღლესი ლიგის კლუბს ყველა ასაკში თავისი გუნდი უნდა ჰყავდეს...**

- „დილას“ ეს პრობლემა არ აქვს. მთავარი გუნდის შემდეგ „დილას“ დუბლები არიან, შემდეგ „დილა 2“ და ყველა ასაკობრივი გუნდი. გორში არის საფეხბურთო სკოლაც, სადაც დღესდღეობით 550 ბავშვი უფასოდ ვარჯიშობს.

**- კი, მაგრამ, ბათუმში სტადიონი საერთოდ არ არის, ფოთში კი ძველი სტადიონიდან მხოლოდ მოედანია დარჩენილი...**

- ბათუმში, არსებობს მყარი გარანტია, რომ სტადიონის მშენებლობა მალე დაიწყება. ფოთში სარეკონსტრუქციო სამუშაოები უკვე დაწყებულია, სამტრედიასა და ქობულეთში კი ისეთი სტადიონებია, რომლებიც დღესაც პასუხობენ უმაღლესი ლიგის მოთხოვნებს.

**- თუ უმაღლესი ლიგის გუნდების რაოდენობა 16-მდე ან 18-მდე გაიზარდა, შესაბამისად, გაიზრდება უმაღლეს ლიგაში მოთამაშე ფეხბურთელების რაოდენობაც. მათ ხელფასებს ვინ გადაიხდის? და საერთოდ, ფეხბურთი ხომ მხოლოდ მოწესრიგებული მოედანი ან სტადიონი არ არის?**

- გეთანხმებით, მაგრამ სწორედ ამიტომაც გვაქვს სპორტის სამინისტროს დახმარების იმედი. სახელმწიფოს თუ ექნება შესაძლებლობა, რომ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა 16-მდე გაიზარდოს, ეს უნდა გაკეთდეს.

**- უმაღლეს ლიგაში ბევრს 12 გუნდიც კი ებევრება და თქვენ 16-გუნდიან პირველობას ითხოვთ. დარწმუნებულნი ხართ, რომ იმ 16 გუნდიდან 3-4 მაინც ჩემპიონატს შუა გზაზე არ შეწყვეტს?**

- ასე თუ ვილაპარაკებთ, ვერავინ იტყვის, რომ მომავალ სეზონში უმაღლეს ლიგაში სეზონს ყველა გუნდი ჩაამთავრებს. საამისო გარანტია ჯერჯერობით არც ერთ გუნდს არ აქვს, თუმცა ბევრი კლუბის მესვეური ამბობს, რომ მალე ყველაფერი მოგვარდება და ამ საქმეში მათ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები დაეხმარებიან.

**- კონკრეტულად გვითხარით, რას უჭერს მხარს გორის „დილა“?**

- გორის „დილას“ ამ საკითხთან დაკავშირებით მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია აქვს - უმაღლეს ლიგაში გუნდების გაზრდის შემთხვევაში უნდა იყოს იმის მყარი გარანტია, რომ 3-5 წლიანადი ფინანსური პრობლემა არც ერთ გუნდს შეექმნება. სწორედ ამას ვგულისხმობდი, როცა სახელმწიფოსა და ფეხბურთის ფედერაციის შესაძლებლობებზე ვლაპარაკობდი.

**- შეგიძლიათ გვითხრათ, ამ შემთხვევაში, კონკრეტულად, ვინ არის უმაღლეს ლიგაში გუნდების გაზრდის ინიციატორი?**

- მურთაზ ხურცილავა, მარტვილის „მერანის“ პრეზიდენტი ფრიდონ ინჯია, რომელიც უმაღლესი ლიგის კლუბების წარმომადგენლებს შეგვხვდა.

**- „დილასთან“ ინჯიას შეხვედრისას რაზე ილაპარაკეთ?**

- „დილას“ დირექტორმა ზვიად შერმადინმა დაადასტურა, რომ 16-გუნდიან უმაღლეს ლიგას ეთანხმება, თუმცა გარკვეული კითხვები მაშინვე ჰქონდა.

**- რა კითხვები?**

- მაგალითად, ჩვენ, ვშიშობთ, რომ ამ სეზონში უმაღლეს ლიგაში გადმოსვლის კანდიდატების შემდეგ, მომავალ სეზონში უმაღლესში გადასვლაზე რომელ გუნდებს ექნებათ პრეტენზია?! კეთილი, ბათუმში, ქობულეთში, ფოთსა და სამტრედიაში მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა და ამ ქალაქების გუნდებმა უმაღლესში მონაწილეობის ყველა კრიტერიუმი დააკმაყოფილეს... არ ვიცით, ამ გუნდების შემდეგ პირველიდან უმაღლესში გადასვლის პრეტენზია რომელ გუნდებს ექნებათ. თუმცა, იმ გუნდებს უმაღლესში თამაშისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მოტივაციაც მომატებული ექნებათ და საქმეს, ალბათ, მეტი ხალისით გააკეთებენ.

**- და ერთიც: გავიგეთ, ფეხბურთის ფედერაცია პროფესიული ფეხბურთის ლიგის აღდგენას აპირებსო. თქვენ რა იცით ამის შესახებ?**

- მეც ასე ვიცი, რომ პროფლიგას, შესაძლოა, უფლებამოსილება მალე აღუდგეს. მომავალ კვირას ფეხბურთის ფედერაციაში უმაღლესი ლიგის კლუბების წარმომადგენელთა შეხვედრა იგეგმება და ეს საკითხიც, ალბათ, საბოლოოდ ამ შეკრებისას მოგვარდება.

**კობა ინასარიძე**

დაბრუნება?

# გოცირიძე თამაშს იწყებს

ერთი მნიშვნელოვანი ამბავი: შესაძლოა, **ბექა გოცირიძე** ფეხბურთს დაუბრუნდეს. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებში ნათამაშები გოცირიძე ავტოავარიის შემდეგ მოედანს ჩამოშორდა, ახლა კი... აი, რას ამბობს საფეხბურთო სკოლა „გრანდის" (რომლის ბაზაზეც ფუტსალის კლუბი „გრანდი" ჩამოყალიბდა) სპორტული დირექტორი **გიორგი შანიძე:**

*„ორიოდე დღის წინათ ველაპარაკე ბექას და გადაწყვეტილია, რომ ის ჩვენთან ივარჯიშებს. მას ეს შეთავაზება ძალიან გაუხარდა. ჩვენ გვყავს ფუტსალის გუნდი „გრანდი", რომელიც საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობს. ბექა ამ გუნდში ითამაშებს. ფუტსალის გუნდის ვარჯიშები აპრილიდან დაიწყება. ცხადია, ეს გოცირიძეს ფორმის აღდგენაში დაეხმარება. ამ სახეობაში კი იმხელა დატვირთვებია, ვფიქრობ, გოცირიძე დიდ ფეხბურთში დაბრუნებასაც შეძლებს. გარდა ამისა, ასევე აპრილის ბოლოს ვიწყებთ თბილისის „სპარტაკისთვის" (ამ კლუბის დაფუძნებაზე „ლელო" უკვე წერდა - ავტ) მოთამაშეების შერჩევას და ვარჯიშებს. გუნდს მომავალი სეზონისთვის ვამზადებთ, II ლიგაში გამოსვლა გვსურს. თუ ბექას სურვილი ექნება, სიამოვნებით დავიმატებდით. გამიხარდება, ამ ნიჭიერ კაცს ფეხბურთში თუ დავაბრუნებთ. მერე კი, ცხადია, ფუტსალსა და II ლიგაში დარჩენას არ ვაკადრებთ"* - ამბობს „გრანდის" წარმომადგენელი.



მარცხნივ ბექა გოცირიძე

გოცირიძემ რამდენჯერმე სცადა ფეხბურთში დაბრუნება. 2013 წლის იანვარში გორის „დილამ" თბილისში დაიწყო სეზონისთვის მზადება. ყველაზე დიდი მოულოდნელობა გუნდში გოცირიძის გამოჩენა იყო, რადგან მანამდე საქართველოს ნაკრების ყოფილი შემტევი 3 წელიწადი მოედანზე არავის ენახა.

გოცირიძისთვის დათარსული გამოდგა ტრანსფერი, რომელიც წინსვლის წინაპირობად მიაჩნდა - 2008 წელს „ზესტაფონმა" ფეხბურთელი დნეპროპეტროვსკის „დნიპროს" მილიონ ევროდ მიჰყიდა, რაც ამ დროისთვის ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ქართული ტრანსფერი იყო.

ბექა ჯერ „დნიპროს" დუბლშემადგენლობაში თამაშობდა, რამდენჯერმე ათამაშეს ძირითადშიც. მას იმედი ჰქონდა, რომ მთავარ გუნდში დაიმკვიდრებდა ადგილს. ყველაფერი 2009 წლის ზაფხულში მომხდარმა ავარიამ აურია. გოცირიძე ბეწვზე გადარჩა. მას ელენთა ამოაჭრეს და ძველი კონდიციების აღდგენა ველარ მოახერხა. ნახევარი წელიწადი მკურნალობას მოანდომა, შემდეგი ნახევარი წელი - ფორმის აღდგენაზე ზრუნვას. ცხადია, დნეპროპეტროვსკელთა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და ჯერ დუბლებში გადაიყვანეს, 2010 წელს კი იჯარით გაუშვეს კრივოი როგის „კრივბასში". მაგრამ არ ათამაშებდნენ და ისევ „დნიპროს" დუბლებს დაუბრუნდა. სულ 2010-11 წლებში „კრივბასსა" და „დნიპროში" მხოლოდ 10 მატჩი ჩაატარა.

ნიჭიერ თავდამსხმელს საქართველოში დაბრუნება სურდა. 2011 წლის იანვარში მისით თბილისის „დინამო" დაინტერესდა, უკრაინელებთან მოლაპარაკებაც გაიმართა, მაგრამ „დნიპრომ" იმდენივე მოითხოვა, რამდენადაც ქართველი „ზესტაფონისგან" შეიძინა - მილიონი ევრო...

ისედაც გაწვალებულმა ბექა გოცირიძემ 2011 წლის შემოდგომაზე, „დნიპროში" ვარჯიშისას, აქილევსის მყესი დაიზიანა. ორი თვის შემდეგ ვარჯიში განაახლა და ისევ პრობლემა შეექმნა. მერე დნეპროპეტროვსკელებმა დუბლებში ვარჯიშიც აუკრძალეს და იძულებული იყო, ინდივიდუალურად მომზადებულიყო.

ამხელა დაბრკოლებების მიუხედავად, ბექა არ გატყდა და „დილაში" მონდომებით ვარჯიშობდა. სამწუხაროდ, აქედანაც არაფერი გამოვიდა, თუმცა შარშან დეკემბერში ქუთაისის „ტორპედოში" მიიწვიეს. სამწუხაროდ, იქ ფორმის აღდგენა არ დასცალდა - მეპატრონემ კლუბი მიატოვა და ბექამ ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტა...

კაცმა რომ თქვას, ფუტსალის საშუალებით დიდ ფეხბურთში დაბრუნება ურიგო აზრი არ უნდა იყოს. სწორედ ასე მოიქცა **თენგიზ ჩიკვილაძე**, რომელიც ყველას ჩამოწერილი ჰყავდა. მაგრამ ფუტსალის უმაღლესი ლიგის გუნდში თამაშით ისე მოემზადა, შარშან ზაფხულში „გურიაში" ჩარიცხულმა სოლიდური წვლილი შეიტანა იმაში რომ, ლანჩხუთელები ზედა ექვსეულში რომ მოხვდნენ.

იმედია, გოცირიძის ეს მცდელობა მაინც გამოდგება შედეგიანი, სასურველ კონდიციებს დაუბრუნდება და კვლავ ვიხილავთ იმ თავდამსხმელს, რომელმაც ქართველ გულშემატკივარს თავი შეუპოვრობითა და ბრძოლისუნარიანობით შეაყვარა. ცხადია, ოთხწლიანი პაუზის შემდეგ ეს ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ შეუძლებელიც არ ჩანს. სად არის იმის ფუფუნება, რომ 26 წლის ნიჭიერი ფეხბურთელი დავკარგოთ?

**მერაბ მამულაშვილი**

მამლუქები



ამბროსი ჩაჩუა

## იქნებ, ჩაჩუა საქართველოსაც გამოადგეს

ლვოვის „კარპატის" საყრდენმა ნახევარმცველმა **ამბროსი ჩაჩუამ** უკრაინული პრემიერლიგის ბოლო უქმეებზე „სევასტოპოლის" წინააღმდეგ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და თავი კარგადაც წარმოაჩინა. როგორც ვწერდით, უკრაინულმა ინტერნეტგამოცემა „ფუტბოლმა" ჩაჩუა XXIII ტურის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელა. წარმოშობით ქართველმა „კარპატის" მთავარი გუნდის ფორმა პირველად სწორედ ამ შეხვედრაში მოირგო. ვერაფერს იტყვი - დებიუტიც ასეთი უნდა!

აი, რას წერს „ფუტბოლი": *„კარპატელთა ახალგაზრდა ნახევარმცველი გუნდის შემადგენლობაში პირველ შეხვედრას ატარებდა. მაგრამ სასტარტო ნერვიულობის შემდეგ, ძალიან კარგად თამაშობდა და თავისუფალ ზონებს კეტავდა. მოკლედ, დებიუტანტის კვალობაზე ძალიან კარგი მატჩი ჩაატარა. საინტერესო ფაქტია: ჩაჩუამ „სევასტოპოლთან" 12-ჯერ ჩაჭრა გადაცემა, რაც ამ ტურის ნებისმიერ სხვა მონაწილეზე მინიმუმ 3-ჯერ უკეთესი მაჩვენებელია".*

ამბროსი ჩაჩუამ ჩვენი ყურადღება ჯერ კიდევ სამი წლის წინათ მიიქცია. ის 1994 წელსაა დაბადებული და უკრაინის მოქალაქეა. ამ ქვეყნის ყველა ასაკობრივ ნაკრებში უთამაშია. 2012 წელს მან უკრაინის 18-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში ვალენტინ გრანატკინის ტრადიციულ ტურნირზეც გამოიჩინა თავი. შარშან კი, 19-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იური მოროზმა** გამოიძახა და შესარჩევ და ელიტრაუნდის მატჩებში მოედანზე 5-ჯერ გავიდა. მანამდეც, ლურჯ-ყვითელი ფორმით ყველა ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა, მათ შორის - გერმანიასთან.

შარშან, „ფუტბოლმა" ჩაჩუა უკრაინის მთავარი და პირველი ლიგების ხუთ ყველაზე პერსპექტიულ 20-წლამდელს შორის დაასახელა. ლვოვის საფეხბურთო აკადემიის აღზრდილი 2011 წლის ზაფხულში, სკოლის დამთავრებისთანავე, „კარპატის" ახალგაზრდულ შემადგენლობაში გადაიყვანეს, სადაც მალევე დაიმკვიდრა ადგილი. „ფუტბოლის" შეფასებით, წარმოშობით ქართველი საყრდენი ნახევარმცველი კარგად აკონტროლებს მოედნის ცენტრს, კითხულობს თამაშს, ეხერხება მეტოქეთა შეტევების ჩაშლა, იერიშების სწრაფად წამოწყება და თანაგუნდელების დაზღვევა, პლუს ამას, არის ტექნიკური და მოძრავი, კარგად არჩევს პოზიციას. ორთაბრძოლებში არის შეუპოვარი, ხისტი, მაგრამ არა უხეში. საქმეს სერიოზულად ეკიდება და მაღალ დონეზე თამაშის უდიდესი სურვილი ამოძრავებს.

ცხადია, ჩაჩუათი დაინტერესების მიზეზი გასაგებია - ქართულ ფეხბურთში კვალიფიციური მოთამაშეების დეფიციტია. გამონაკლისი არც საყრდენის პოზიციაა. ვინ იცის, იქნებ, „კარპატის" ქართველმა დიდი ფეხბურთი ითამაშოს და სამომავლოდ საქართველოს ნაკრებსაც გამოადგეს.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# სალუქვაძე და იაშვილი სიმბოლურში

ბაქოს „ინტერმა" დიდი ხანია ბრაზილიელი **ფლავიო ბეკი** ტრანსფერზე დააყენა, მაგრამ გარიგება აქამდე არ განხორციელებულა. ფლავიო ვარჯიშობს და თამაშობს „ინტერის" დუბლებში, თავისი მდგომარეობით კი უკმაყოფილოა:

*„აზერბაიჯანის დატოვება არ მინდა. ბაქოში ცხოვრება ძალიან მომწონს. მინდა, „ინტერის" ძირითადში თამაში, მაგრამ ეს შეუძლებელია. კახა ცხადაძესთან მე არავითარი პრობლემა არა მაქვს. ეს ჩემმა აგენტმა ვერააწყო მასთან ურთიერთობა და აი, შედეგი - არ ვთამაშობ. იმედია, სხვა აზერბაიჯანული კლუბები გამომეხმაურებიან",* - განუცხადა „აზერიფუტბოლს" ბრაზილიელმა.

ამასობაში, იგივე გამოცემა ამტკიცებს, რომ „ინტერში" შესაძლოა, კიდევ ერთი ესპანელი ვიხილოთ - ყოფილი დინამოელი **კარლეს კოტო**. „ბუნიოდკორთან" ყოფილი თბილისელის კონტრაქტი ივნისში სრულდება, შემდეგი კლუბი კი მისთვის **კახა ცხადაძის „ინტერი"** იქნებაო, ამტკიცებს „აზერიფუტბოლი".

დასახელდა აზერბაიჯანის ჩემპიონატის 28-ე ტურის სიმბოლური ნაკრები, რომელშიც კახა ცხადაძის ერთბაშად 4 შეგირდი მოხვდა, ხოლო მათ შორის ორი ჩვენებურია: **ლაშა სალუქვაძე** და **ალექსანდრე იაშვილი.**


ლაშა სალუქვაძე

# ფიფას ყოფილი არბიტრი: კანკავამ ერთბაშად ორი ადამიანი იხსნა

„დნიპროსა" და კიევის „დინამოს" მატჩისას მომხდარი ინციდენტი ფიფას ყოფილმა არბიტრმა **ოლეგ ორეხოვმა** შეაფასა:

„ჯაბა კანკავამ ერთდროულად ორი ადამიანი იხსნა: ერთი - სიკვდილისგან და მეორე - მკვლელის სახელისგან. რა თქმა უნდა, ფიზიოლოგიურად შეუძლებელია, მეკარე მაღლა ახტეს და მუხლი მაღლა არ ასწიოს. ეს 100%-იანი სიმართლეა. მაგრამ ბოიკოს ქმედებაში მე დავინახე აგრესია, სპორტული ჟინი, რომელიც ჩარჩოებს გასცდა. ის არ ცდილობდა, ორთაბრძოლას გაქცეოდა. ჩემი აზრით, წითელ ბარათს იმსახურებდა. პენალტი ასპროცენტიანია - არ შეიძლება ითამაშო მაღლა აწეული მუხლით მეტოქის თავზე. არ ვამბობ, რომ მას გუსევის მოკვლა სურდა, მაგრამ როცა არ ვნიშნავთ პენალტს, სხვა მეკარეებს ხელ-ფეხს ვუხსნით, რომ ასევე მოიქცნენ. მზად ვართ, ეს განვაცხადოთ?" - ამბობს ორეხოვი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ჯაბა კანკავა

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘᲒᲐ. 1/4-ᲤᲘᲜᲐᲚᲘ. I ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

# ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲐ



ამ შეხვედრაში ანგარიში ესეკილ ლავეციმ (მარჯვნივ) გახსნა

| ᲞᲡᲟ-ᲩᲔᲚᲡᲘ | 3:1 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ლავეცი (4), 1:1 აზარი (27-პენ), 2:1 ლუისი (61-ს.კ-ში), 3:1 პასტორე (90+3)

**პსჟ** (4-1-2-3): სირიგუ - ჟალე, ალექსი, ტ. სილვა, მაქსველი - მოტა - მატუიდი, ვერატი (76. კაბაი) - ლავეცი (85. პასტორე), იბრაჰიმოვიჩი (70. ლ. მოურა), კავანი

**ჩელსი** (4-2-3-1): ჩეხი - ივანოვიჩი, ტერი, კეჰილი, ასპილიკუეტა - რამირესი, ლუისი - ვილიანი, ოსკარი (74. ლემპარდი), აზარი - შიურლე (59. ტორესი)

**გაფრთხილება:** ალექსი, მოტა, კავანი - რამირესი, ვილიანი, ლუისი

**კარში დარტყმა:** 9-6 (4-4) **კუთხური:** 4-2 **თამაშგარე:** 0-0 **ჯარიმა:** 10-18 **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 45 517

„პარკ დე პრენსზე" თამაში „ჩელსისთვის" მთლად შოკისმომგვრელად არა, მაგრამ მოულოდნელად ნამდვილად დაიწყო. **მარკო ვერატიმ** კარისკენ პირველად მე-18 წამზე დაარტყა. იტალიელს ცდა სახიფათო არ გამოუვიდა, თუმცა მინიშნება აშკარა იყო. ვერ დავიჩემებთ, რომ „ლურჯებს" კონცენტრაცია აკლდათ, თუმცა ფაქტია, რომ სამივე გოლი უკანა ხაზის შეცდომებით გავიდა. მე-4 წუთზე საშინლად ითამაშა **ჯონ ტერიმ**. გულშემატკივარს ალბათ ბოლო ტურში „კრისტალ პალასთან" კაპიტნის ავტოგოლი გაახსენდა. ვეტერანმა ამჯერადაც თავით ცადა მოგერიება, თუმცა ბურთი **ესეკილ ლავეცის** ჩააბარა, ვინც იდეალურად ვერ გაისწორა, თუმცა შედეგიანად მაინც დასცხო. 28 წლის გარემარბმა პარიზელთა მეორე გოლშიც დაიდო წილი. საჯარიმოდან არგენტინელის ჩაწოდებას მეკარის ბაქანზე 6-7 კაცი ადევნებდა თვალს. ამ რიარიაში **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** ბურთს ფეხი ააცილა. სამაგიეროდ ის **დავიდ ლუისს** მოხვდა და ბადეში აღმოჩნდა. მატჩის საბოლოო ანგარიში ულამაზესი გოლით დაფიქსირდა. ეს არ იყო მხოლოდ ეპიზოდში მონაწილე **ვილიანის-ასპილიკუეტასა** და **ლემპარდის** დანაშაული. **ხავიერ პასტორე** სამივეს იოლად გაუსწორდა და **პეტრ ჩეხს** ახლო კუთხეში გაუტანა. გამოცდილ გოლკიპერს ახლო კუთხეში ასეთი გოლი არ უნდა გაეშვა, რამდენად ძლიერიც არ უნდა ყოფილიყო დარტყმა.

რაც შეეხება „ჩელსის". ანგარიშის გახსნის შემდეგ ის დიდხანს ვერ ახერხებდა ადეკვატური პასუხის გაცემას. მართალია, ბურთზე კონტროლის დასაწესებლად დიდი დრო არ დასჭირვებია (რასაც მეორე ტაიმში თავი უკვე ველარ მოაბა), მაგრამ მათი შეტევა ძალიან ჰგავდა უთავო მხედარს, რომელსაც უბრალოდ არ შეეძლო მტკივნეული ჩხვლეტა. ცენტრფორვარდად გამწესებულმა **ანდრე შიურლემ** ბევრი იწვალა, თუმცა **სალვატორე სირიგუს** კართან სიტუაცია ერთხელაც ვერ გაამწვავა. დიდი ვერაფერი სარგებელი მოიტანა შეცვლაზე შესულმა **ფერნანდო ტორესმაც**. პენალტით ანგარიშის გათანაბრება კი შეგვიძლია გარკვეულწილად ილბალსაც მივაწეროთ. იდეალურად მოასპარეზე **ტიაგო სილვამ ოსკარზე** წესები ნამდვილად დაარღვია, რითაც **ედენ აზარმა** ისარგებლა.

**ლევან ბიბილაშვილი**

# ᲠᲔᲐᲚᲘ ᲪᲐᲚᲘ ᲤᲔᲮᲘᲗ

| ᲠᲔᲐᲚᲘ-ᲑᲝᲠᲣᲡᲘᲐ | 3:0 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ბეილი (3), 2:0 ისკო (27), 3:0 რონალდო (57)

**რეალი** (4-3-3): კასილიასი - კარვახალი, პეპე, სერხიო რამოსი, ფ. კოენტრაო - ჩაბი ალონსო, მოდრიჩი, ისკო (72. ილიარამენდი) - ბეილი, ბენზემა (75. მორატა), კრიშტიანო რონალდო (80. კაზემირო)

**ბორუსია** (4-2-3-1): ვაიდენფელერი - პიშჩეკი (68. შიბერი), ჰუმელსი, პაპასტატოპულოსი, დურმი - კელი (74. იოიჩი), შაჰინი - გროსკროიტცი, მხითარიანი (64. ჰოფმანი), როისი - ობამეიანგი

**გაფრთხილება:** - კელი, როისი, გროსკროიტცი

**კუთხური:** 6-7; **ჯარიმა:** 7-9; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 20-14 (16-9); **ბურთის ფლობა:** 58%-42%

**მაყურებელი:** 70 089

„რეალმა" განახევრებულ დორტმუნდის „ბორუსიას" ცალი ფეხით მოუგო და იმავე ცალი ფეხით უკვე ნახევარფინალშია. სტუმრებს ტრავმების თუ დისკვალიფიკაციის გამო რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი (**სუბოტიჩი, შმელცერი, ბენდერი, ბლაშჩიკოვსკი, გოუნდოგანი, ლევანდოვსკი**) არ ჰყავდათ, რამაც საბოლოო შედეგზე დიდი გავლენა მოახდინა. დანაკლისი ჰქონდა „რეალსაც" - ბოლო მომენტში ტრავმა მიიღო **ანხელ დი მარიამ**, რომელიც ძირითად შემადგენლობაში **ისკომ** შეცვალა.

მადრიდელებმა მთელი შეხვედრა დამაჯერებლად ჩაატარეს და მეტოქეს დიდი ანგარიშით მოუგეს. „ბორუსიას" რამდენიმე მომენტი ჰქონდა, აქტიურობდნენ **პიერ-ემერიკ ობამეიანგი** და **ჰენრიხ მხითარიანი**, მაგრამ ხან ფეხბურთელები სცოდავდნენ, ხან კი **იკერ კასილიასი** თამაშობდა კარგად.

ანგარიში უკვე მესამე წუთზე გაიხსნა - **ქარიმ ბენზემას** და **დანიელ კარვახალის** კომბინაციის შემდეგ, ბურთი **გარეთ ბეილს** მიუვიდა, რომელმაც კარიდან გამოსულ **რომან ვაიდენფელერს** დაასწრო და „რეალი" დააწინაურა. ამის მერე რამდენიმე მომენტი **კრიშტიანო რონალდოს** ჰქონდა, თუმცა პორტუგალიელმა სტუმართა მეკარეს ვერ აჯობა, სამაგიეროდ ეს გააკეთა ისკომ, ვინც საჯარიმოს ხაზიდან უზუსტესი დარტყმით გაიტანა - 2:0.

შეხვედრის მესამე და ბოლო გოლი მეორე ტაიმის დებიუტში გავიდა. „ბორუსიას" ფეხბურთელების შეცდომით ისარგებლა **ლუკა მოდრიჩმა**, ვინც რონალდო ვაიდენფელერთან პირისპირ დატოვა და ამ უკანასკნელს პორტუგალიელი შესანიშნავი მოძრაობით გაუმკლავდა - მარჯვენა ფეხით ბურთი მარცხენაზე გადაიტანა და ცარიელ კარში შეაგორა. ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში რონალდომ მე-14 გოლი გაიტანა და ერთ სეზონში გატანილი გოლების მიხედვით **ლიონელ მესის** რეკორდი გაიმეორა.

შეხვედრის ბოლომდე ანგარიშის შეცვლა ორივე გუნდს შეეძლო. მასპინძელთაგან გატანის შანსი ბეილს, **მორატას** და რონალდოს ჰქონდათ, „ბორუსიას" რიგებში კი არ გაუმართლა მხითარიანს, რომელიც ცარიელ კარში ურტყამდა, მაგრამ ბურთს **პეპე** გადაეღობა და „სამეფო კლუბმა" კარი მშრალად შეინახა.

საპასუხო მატჩი პრაქტიკულად ფორმალობად იქცა. წარმოუდგენელია, რომ შარშანდელთან შედარებით გაცილებით სუსტმა „ბორუსიამ", რომელსაც რამდენიმე ლიდერი ერთი კვირის მერეც არ ეყოლება, ასევე შარშანდელთან შედარებით უფრო მძლავრ „რეალს" სერიოზული პრობლემები შეუქმნას.

**ტატო ბაციკაძე**



ისკომ „ბორუსიას" მეორე გოლი გაუტანა

ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲚᲘᲒᲐ. 1/4 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ. I ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ



და მაინც, კარლოს ტევესის გუნდი ევროპალიგის ფავორიტია

# ᲨᲐᲜᲡᲘ ᲚᲘᲝᲜᲡ, ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲘ ᲓᲐᲚᲚᲘᲚᲘᲐ

## ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲚᲘᲒᲐ ᲘᲑᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲔᲚᲤᲔᲠᲘᲗ

| 3 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ | |
|---|---|
| ᲐᲚᲙᲛᲐᲐᲠᲘ (ᲰᲝᲚ)-ᲑᲔᲜᲤᲘᲙᲐ (ᲞᲝᲠ) | 23:05 |
| ᲑᲐᲖᲔᲚᲘ (ᲨᲕᲔ)-ᲕᲐᲚᲔᲜᲡᲘᲐ (ᲔᲡᲞ) | 23:05 |
| ᲞᲝᲠᲢᲣ (ᲞᲝᲠ)-ᲡᲔᲕᲘᲚᲘᲐ (ᲔᲡᲞ) | 23:05 |
| ᲚᲘᲝᲜᲘ (ᲡᲐᲤ)-ᲘᲣᲕᲔᲜᲢᲣᲡᲘ (ᲘᲢᲐ) | 23:05 |

**ბომბარდირები:** 8 - სორიანო (ზალცბურგი); 6 - ბეზიაკი (ლუდოგორეცი); 5 - ადინი (ტრაბზონი), დეფო (ტოტენჰემი).

**დღეს ევროპალიგის მეოთხედფინალური ეტაპი იწყება - ტიტულისთვის ბრძოლას 8 გუნდი აგრძელებს და ტრადიციულად, დიდია იბერიის ნახევარკუნძულის წარმომადგენელთა წილი, გუნდების ნახევარი სწორედ ესპანეთსა და პორტუგალიას წარადგენს. თუმცა თამამად შეიძლება თქმა, რომ ფავორიტი მათ შორის არ არის - ფავორიტი ანტონიო კონტეს „იუვენტუსია", რომელსაც ერთი დიდი უპირატესობა აქვს, თუ ფინალში გაალწევს თამაში მშობლიურ არენაზე მოუწევს.**

### ᲐᲠᲬᲘᲕᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲚᲐ ᲤᲠᲔᲜᲔᲜ

„ალკმაარი", რომელმაც ბოლო ხუთი მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგო, მასპინძლობს „ბენფიკას", რომელიც შესაშურ ფორმაშია - „არწივებმა" (ყველა შეჯიბრში) უკანასკნელი 29 მატჩიდან 25 მოიგეს!

პრიმეირა ლიგის წარმომადგენელი ტრადიციულად, ძლიერად თამაშობს ჰოლანდიური კლუბების წინააღმდეგ - ბოლო 10 დაპირისპირებიდან „ბენფიკა" მხოლოდ ერთხელ დამარცხდა და ისიც პენალტების სერიაში (1988 წელს თასების მფლობელთა თასის ფინალში).

აზ-ს ცუდი ფორმა პირდაპირ უკავშირდება ამერიკელი ფორვარდის, **არონ იოჰანსონის** მცირე ჩავარდნას - „ალკმაარის" გოლეადორს გატანა უჭირს, არადა, მანამდე 25-ჯერ გამოიჩინა თავი:

*„ამ სეზონში „ბენფიკასთან" შეხვედრა ჩვენთვის ყველაზე მთავარი დაპირისპირებაა. როდესაც „ბენფიკა" ფორმაშია, ის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია, რომელსაც მსოფლიო კლასის ვარსკვლავები ჰყავს. რა თქმა უნდა, ფავორიტი პორტუგალიური გუნდია"*, - განუცხადა „მაის ფუტბოლს" იოჰანსონმა.

ევროპალიგაზე „ალკმაარის" ბომბარდირი სხვა ფორვარდია - **იოჰან ბერგ გუდმუნდსონი** (3 გოლი), რომელიც სეზონის ბოლოს კლუბს ტოვებს. ისევე, როგორც გუნდის თავკაცი **დიკ ადვოკაატი**.

ადვოკაატი ერთადერთი მწვრთნელია, ევროპალიგაზე შემორჩენილი გუნდებიდან, რომელსაც ეს ტურნირი (სხვა სახელით) მოგებული აქვს - 2008 წელს ეს მან რუსულ „ზენიტთან" ერთად მოახერხა.

აზ-ს არ ეყოლება **დირკ მარსელისი**, რომელმაც მუხლის ოპერაცია გაიკეთა. სამაგიეროდ, გუნდს უბრუნდება ნახევარდაცვის ლიდერი **ნემანია გუდელი**. „ბენფიკას" მწვრთნელ **ჟორჟე ჟესუსს** საკადრო პრობლემა არ აწუხებს - პორტუგალიელთა ბანაკში ყველა ჯანზეა.

### ᲤᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ

ევროპალიგაზე „ვალენსიას" ფორტუნა ულიმის - წინა ეტაპზე უკრაინაში მიმდინარე ცნობილი მოვლენების გამო, კიევის „დინამო" მას კვიპროსზე დაუხვდა. ამჯერად, „ღამურების" მეტოქე „ბაზელი" დასჯილია - წინა საკვალიფიკაციო ეტაპზე, ავსტრიაში ფანების ულირსი საქციელისთვის, „ბაზელს" ცარიელი ტრიბუნების თვალწინ მოუწევს თამაში.

ეს დიდი დარტყმაა ყოჩაღი შვეიცარიული გუნდისთვის, რომელსაც სურს შარშანდელი მიღწევის გამეორება - შარშან „ბაზელი" ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონ „ჩელსისთან" დამარცხდა.

თანაც, ამ სეზონში ევროპალიგაზე „ვალენსია" სტუმრად დიდებულად თამაშობს - **ხუან ანტონიო პიცის** გუნდმა ხუთივე საგარეო მატჩი მოიგო. „ვალენსიას" ევროპალიგაზე ბოლო 4 მატჩია, გოლი არ გაუშვია, კიდევ ერთი ასეთი შეხვედრა ამ ტურნირის რეკორდს ნიშნავს.

ეს ორი კლუბი 2002/03 წლების ჩემპიონთა ლიგაზე დაუპირისპირდა ერთმანეთს: „ვალენსიამ" შინ 6:2 გაანადგურა მეტოქე, სტუმრად კი 2:2 ეთამაშა. სხვათა შორის, ორივე შეხვედრაში ითამაშა **მურატ იაკინმა**, რომელიც ამჟამად „ბაზელის" მწვრთნელია. იაკინი ყველაზე მეტად **პაკო ალკასერს** უნდა უფრთხოდეს, რომლის ანგარიშზეც ევროპალიგაზე 4 გოლია.

„ბაზელს" თითქოს, პრობლემები აკლდა... დისკვალიფიკაციის გამო შვეიცარიულ კლუბს **ჯოვანი სიო** და **მარეკ სუხი** არ ეყოლება, ტრავმების გამო კი რამდენიმე ფეხბურთელს მოისაკლისებს, მათ შორის, **მარკო შტრელერს**.

### ᲓᲐᲦᲚᲘᲚᲘ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ

**ანტონიო კონტე** აღიარებს, რომ მისი „იუვენტუსი" ცოტა გადაიღალა. თუ ეს მართლაც ასეა, „ბებერ ქალბატონს" დასასვენებლად ცუდი დრო ამოურჩევია - „ლიონი" სერიოზული მეტოქეა და მასთან ხუმრობა არ გამოვა. უქმეებზე „იუვემ" სეზონში მხოლოდ მეორე მარცხი იგემა. კონტეს „ნაპოლის" წინააღმდეგ **კარლოს ტევესი** არ ჰყავდა დისკვალიფიკაციის გამო, ახლა კი ის გუნდს უბრუნდება:

*„ძველებურ ფორმაში ველარ ვართ, რაც გასაკვირი სულაც არ არის - ამდენი თამაში ვითამაშეთ თითქმის ერთი და იგივე შემადგენლობით. ტრავმები როტაციის სრულფასოვნად განხორციელების საშუალებას არ გვაძლევდა. ბიჭების დიდი ნაწილი გადაღლილია, მათ დასვენების შანსი არ ჰქონდათ"*, - განაცხადა კონტემ „გაძეტა დელო სპორტთან" ინტერვიუში.

კონტეს საკადრო პრობლემები ახლაც აწუხებს: **ანდრეა ბარძალი, ანჯელო ოგბონა** და **ფედერიკო პელუზო** ტრავმირებულნი არიან. თავისტკივილი **რემი გარდსაც** ბლომად აქვს - „ლიონის" პლეიმეიქერი **კლემან გრენიე** ფეხზე ინფექციის გამო ვერ თამაშობს. მცველ **მიგელ ლოპეშს** სულაც ფეხი მოსტყდა და სეზონის ბოლომდე ვერ დაეხმარება ფრანგულ გუნდს.

### ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲔᲚᲗᲐ ᲘᲑᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲣᲔᲚᲘ

„პორტუსა" და „სევილიას" დაპირისპირებაში შესაძლოა, გადამწყვეტი აღმოჩნდეს გუნდების კოლუმბიელ ბომბარდირთა დუელი - „პორტუს" შემტევი პოტენციალი დიდად არის დამოკიდებული **ჯექსონ მარტინესზე**, ხოლო „სევილიაში" დიდებულად წარმოჩინდა **კარლოს ბაკა**. მარტინესმა ამ სეზონში 21 გოლი გაიტანა, ბაკამ - 19.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კვირა ციფრებში

# შეწყვეტილი სერიები და წარმატებული სუპერკლასიკო

**კვირის დღევანდელ მიმოხილვაში „კრისტალ პალასის", „ნაპოლის" და „რივერ პლეიტის" წარმატებების გარდა, ერიკ გერეტსის ტიტულებზე ვისაუბრებთ...**



**24** - წელი ვერ ახერხებდა „კრისტალ პალასი" ჩემპიონატში „ჩელსის" დამარცხებას. ეს სერია კვირას დასრულდა, როდესაც **ტონი პულისის** გუნდმა **ჯონ ტერის** ავტოგოლის წყალობით 1:0 იმარჯვა. **ჟოზე მოურინიომ**, რომელსაც „ჩელსის", „ინტერის" და „რეალის" მწვრთნელის რანგში ლიგის დებიუტანტებთან 55 მატჩი ჩაუტარებია, უმაღლესი დივიზიონის ახალწვეულთან პირველი მატჩი წააგო. თავად „პალასმა" კი პრემიერლიგის ისტორიაში პირველად მოახერხა იმ გუნდის დამარცხება, რომელიც სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე იყო.

გალიდერების შანსი ხელიდან გაუშვა „მანჩესტერ სიტიმ", ვინც „არსენალთან" ფრედ, 1:1 ითამაშა. ლონდონელთაგან გოლი **მატიო ფლამინიმ** გაიტანა და **ჯო ჰარტის** 561-წუთიანი მშრალი სერია შეწყვიტა.

ჩემპიონატის ლიდერი კი გახდა „ლივერპული", რომელმაც მორიგ ტურში „ტოტენჰემს" 4:0 მოუგო. ამ შეხვედრაში **ლუის სუარესმა** თავისი 29-ე გოლი გაიტანა. თავი გამოიჩინა **დანიელ სტარიჯმაც**, ვის ანგარიშზეც 20 ბურთია. მერსისაიდელთა ფორვარდები პრემიერლიგის რეკორდს უახლოვდებიან, რომელიც 55 გოლს შეადგენს - 1993/94 წლების სეზონში, „ნიუკასლის" შემტევებმა, **ენდი კოულმა** (34 გოლი) და **პიტერ ბერდსლიმ** (21 გოლი), მეტოქეთა კარი სწორედ ამდენჯერ დალაშქრეს.

**22** - მატჩი სერია A-ში წაგების გარეშე და 43-მატჩიანი სერია, რომლის დროსაც გუნდს მინიმუმ ერთი გოლი გაჰქონდა - „იუვენტუსის" წარმატებული სვლა კვირას, ნეაპოლში შეწყდა, როდესაც „ნაპოლიმ" ტურინულ გუნდს 2:0 მოუგო. „იუვემ" სეზონში სულ მეორე მარცხი განიცადა, თუმცა „სან პაოლოზე" თამაში „ბებერ ქალბატონს" ყოველთვის უჭირდა - ბოლო შვიდი მატჩიდან „ზებრებს" ამ სტადიონზე ერთიც არ მოუგიათ, ხუთში კი სულაც დამარცხდნენ. ამ მოგებით „ნაპოლიმ" საკლუბო რეკორდი დაამყარა - 31 ტურის შემდეგ გუნდს ამდენი ქულა არასდროს ჰქონია. ანალოგიური რეკორდი ასევე დაამყარეს „იუვემ" და „რომამ".

იტალიიდან გამოსარჩევია **კაკას** კარგი თამაშიც. ბრაზილიელმა „როსონერის" რიგებში მე-300 მატჩი გოლით და გამარჯვებით აღნიშნა, რომლის წყალობითაც „მილანმა" „სან სიროზე" 3-მატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტა.

**6** - თვის განმავლობაში ვერ ახერხებდა სტუმრად გამარჯვების მოპოვებას „რივერ პლეიტი". „მილიონარიოსის" ეს სერია კვირას, გუნდის გულშემატკივრებისთვის ყველაზე სასურველ შეხვედრაში შეწყდა - „რივერმა" გასვლაზე „ბოკა ხუნიორსს" მოუგო, რომელსაც „ბომბონერაზე" 2004 წლის შემდეგ ვერ ამარცხებდა. „სუპერკლასიკოს" გამორჩეული მომენტი იყო **ხუან რომან რიკელმეს** შესანიშნავი გოლი, რომელიც 35 წლის ვეტერანმა საჯარიმო დარტყმით გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ჯარიმიდან „ბოკას" 10-იანს გოლი ბოლო ორი წლის განმავლობაში არ ჰქონდა გატანილი.

**5** - სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონატი აქვს მოგებული **ერიკ გერეტსს**, მას შემდეგ, რაც ბელგიელმა მწვრთნელმა ყატარის პირველობაც მოიგო. აქამდე, 59 წლის სპეციალისტი ბელგიის, ჰოლანდიის, თურქეთის და საუდის არაბეთის ჩემპიონატების ოქროს მედლებს ფლობდა, პარასკევს კი მისმა „ლეხვიამ" „უმ სალალს" 2:1 მოუგო და ტიტული ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე გაინაღდა. გერეტსმა გადაასწრო **ენრიკე ფერნანდესს, ერნსტ ჰაპელს, ტომისლავ ივიჩს, ჯოვანი ტრაპატონის** და **ჟოზე მოურინიოს**, რომლებიც ოთხი ქვეყნის ჩემპიონები არიან.

**ტატო ბაციკაძე**

ამბები

## ჰაგენმა ახალი სკანდალი ავორა

ნორვეგიელი მცველი **ერიკ ჰაგენი** საფეხბურთო სამყაროს ყურადღების ცენტრში მოექცა. საქმე ისაა, რომ მისი თქმით, სანკტ-პეტერბურგის „ზენიტში" ყოფნისას იგი შეესწრო მსაჯის მოსყიდვის ფაქტს, თანაც საქმე ევროტურნირის მატჩს ეხება. თუმცა 38 წლის ჰაგენი ჯერჯერობით კონკრეტულად არაფერს ამბობს და მზად არის გამოძიებასთან ითანამშრომლოს. თუმცა გამოძიება ჯერ არ დაწყებულა და როგორც ჰაგენი ამბობს, რომლის მეტსახელიც „ტანკია", მას უეფადან ჯერ არავინ შეხმიანებია. სამაგიეროდ, ამ ამბავს გამოეხმაურა ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი **კიეტილ სიემი**, რომლის თქმითაც, ჰაგენის სიტყვებს სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

*„ფულს ან ყველა დებდა ან არავინ. ამიტომ, ჩემი წილის დადება მეც მომიხდა მსაჯისთვის მისაცემი თანხის შეგროვებისას. ჩემი მიზანი „ზენიტის" მმართველების და სპონსორების მხილება სულაც არ არის და ჩემი სიტყვები მათ არ უკავშირდება. ეს ფეხბურთელების გადაწყვეტილება გახლდათ. უბრალოდ, მინდა ყველამ იცოდეს, რომ საერთაშორისო ფეხბურთი ხშირ შემთხვევაში ყალბია და სიტუაცია უნდა გამოსწორდეს"* - ამბობს ჰაგენი.

**გიორგი კაკაბაძე**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ატლეტიკო ფერმანით დაინტერესდა

ბუნდესლიგის მეორე წრეში „შალკემ" ძალიან რომ მოუმატა და ვიცე-ჩემპიონობის რეალური შანსი გაუჩნდა, ეს პირველ რიგში გელზენკირხენული კლუბის 25 წლის მეკარე **რალფ ფერმანის** დამსახურებაა, რომელიც შესანიშნავ სეზონს ატარებს. მაგრამ „შალკეს" ხელმძღვანელები ფრთხილად უნდა იყვნენ, რადგან ფერმანით, რომელსაც კონტრაქტი 2015 წლამდე აქვს გაფორმებული, სერიოზული კლუბები დაინტერესდნენ.

ჩვენი ესპანელი და გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, ფერმანს თვალი მადრიდის „ატლეტიკომ" დაადგა. მადრიდელთა კარს ახლა **ტიბო კურტუა** იცავს, თუმცა 21 წლის გოლკიპერი „ჩელსის" საკუთრებაა და „ატლეტიკოში" მხოლოდ სეზონის ბოლომდე, იჯარით თამაშობს. დიდი შანსია, რომ ზაფხულში ლონდონელთა თავკაცმა **ჟოზე მოურინიომ** კურტუას „ჩელსიში" დაბრუნება მოისურვოს და მადრიდელები ამიტომაც ეძებენ ღირსეულ ალტერნატივას. როგორც ირკვევა, ესპანური კლუბის ბოსებმა არაერთხელ გაგზავნეს სკაუტები გერმანიაში და საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ ფერმანი კარგი მეკარეა.

რალფის მრჩეველი **დირკ ლიპსი** გაზეთ „ბილდს" უდასტურებს, რომ ფერმანს აკვირდებიან, მაგრამ ამბობს, კონკრეტულ შემოთავაზებამდე ჯერ საქმე არ მისულაო. აღსანიშნავია, რომ ზაფხულში „შალკეში" დიუსელდორფის „ფორტუნას" მეკარე **ფაბიან გიფერი** გადავა, მაგრამ ეს უკანასკნელი ჯერ არაა ფერმანის დონის მეკარე.

**გოტფრიდ ლენცი**


შალკეს მეკარე რალფ ფერმანი

სასჯელი

# მიხაილოვიჩი ტრიბუნაზე აინაცვლებს

„სამპდორია"-„ფიორენტინას" შეხვედრა დიდი ვერაფერი სანახავი გამოდგა და გუნდები უგოლო ფრით გაიყარნენ, მაგრამ დაძაბულობა მთელი შეხვედრის განმავლობაში იგრძნობოდა. ერთ-ერთ ეპიზოდში, გენუელთა მთავარ მწვრთნელ **სინიშა მიხაილოვიჩს** ნერვებმა უმტყუნა, რაც მისი მხრიდან მთავარი მსაჯის სიტყვიერ შეურაცხყოფაში გადაიზარდა. სერბი სპეციალისტი ამას არ დასჯერდა და მის დასაწყნარებლად შემართული მეოთხე რეფერიც შემოელანძღა.

ეს ეპიზოდი სადისციპლინო კომიტეტს არ გამოპარვია და შედეგად, მიხაილოვიჩს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. ერთი სიტყვით, სინიშა „სამპას" ორ უახლოეს შეხვედრას ტრიბუნიდან მიადევნებს თვალს. გენუელები მთავარი მწვრთნელის გარეშე „ინტერს" და „ლაციოს" დაუპირისპირდებიან და ისიც აღვნიშნოთ, რომ საფეხბურთო კარიერის დიდი ნაწილი სინიშას სწორედ ამ ორ გუნდში აქვს გატარებული.

**ლაშა ნიკლაური**


სინიშა მიხაილოვიჩი (მარცხნივ)

ჰერტა



# ლასოგა თუ 15 მილიონი? ვინ შეცვლის რამოსს ბერლინში?

ადრეც არაერთხელ დაგვიწერია, რომ ბერლინის „ჰერტას" გოლეადორი **ადრიან რამოსი** ზაფხულში დორტმუნდის „ბორუსიაში" გადავა, სადაც „ბაიერნისკენ" გეზაღებულ **რობერტ ლევანდოვსკის** შეცვლის. თუმცა ბერლინელები რამოსის ტრანსფერს ჯერ კიდევ არ ადასტურებენ - როგორც ჩანს, ამ უკანასკნელის ფანების სტვენისგან დაცვა უნდათ. რამოსის სახით „ჰერტა" შესანიშნავ თავდამსხმელს კარგავს, რადგან 28 წლის ფორვარდს ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში უკვე 16 გოლი აქვს გატანილი. შესაბამისად, ბერლინელებს მისი ღირსეული შემცვლელის პოვნა უნდათ.

„ჰერტას" ორი ვარიანტი აქვს: ან **პიერ-მიშელ ლასოგა** (22 წლის, 12 გოლი) უნდა დაიბრუნოს, ანაც მის სანაცვლოდ ფული უნდა აიღოს და სხვა ვინმე იპოვნოს. ლასოგა „ჰერტას" საკუთრებაა (კონტრაქტი 2015 წლამდე) და „ჰამბურგში" იჯარით თამაშობს. ასე რომ, ბერლინელებმა ან ლასოგა უნდა დაიბრუნონ, ანაც დაახლოებით 7 მილიონად გაყიდონ და სავარაუდოდ 15 მილიონ ევროდ (რამოსის სანაცვლოდ 8 მილიონს მიიღებენ) ახალი გოლეადორი იპოვნონ. „ბრაუნშვაიგერ ცაითუნგის" ცნობით, ბერლინელები „ბრაუნშვაიგის" თავდამსხმელ **დომი კუმბელაზეც** (29 წლის, 8 გოლი) ფიქრობენ...

**გოტფრიდ ლენცი**

ვარსკვლავი

# როსი თასის ფინალს უმიზნებს

**ჯუზეპე როსიმ** სეზონი ბრწყინვალედ დაიწყო, მაგრამ შემდეგ მძიმე ტრავმა მიიღო და დღემდე ლაზარეთშია. მის გარეშე „ფიორენტინას" ურიგოდ ნამდვილად არ უასპარეზია - სერია A-ში მეოთხე ადგილზეა, ევროპალიგიდან მხოლოდ მთავარმა ფავორიტმა „იუვენტუსმა" გამოაგდო და რაც მთავარია, იტალიის თასის ფინალში გააღწია. მოკლედ, „ვიოლას" კარგი შანსი აქვს, რომ სეზონი ტროფეით შეამკოს. 27 წლის როსის იმედი აქვს, რომ იტალიის თასის ფინალურ მატჩამდე გამოჯანმრთელდება და „ნაპოლის" წინააღმდეგ იასპარეზებს - მოვუსმინოთ ჯუზეპეს:

*„სარეაბილიტაციო პერიოდი წარმატებით მიმდინარეობს და ყველაფერს ვაკეთებ საიმისოდ, რომ სეზონის დასკვნითი ნაწილი არ გამოვტოვო. ჩემი მიზანი თასის ფინალში თამაშია, რომელიც 3 მაისს გაიმართება. ექიმების თქმით, იქამდე სრულ მზადყოფნაში ვიქნები, რაც ძალიან მახარებს. ფლორენციელმა გულშემატკივრებმა დაიმსახურეს თასი და მათ გასახარად ყველაფერს გავაკეთებთ".*


ჯუზეპე როსი მალე გამოჯანმრთელდება

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერი

# ულტიმატუმი მაცარის?

## იკარდიმ მწვრთნელი გაამხნევა


ვალტერ მაცარი

მიმდინარე სეზონში, „ინტერს" ჰქონდა გამონათებები, მაგრამ მთლიანობაში, გუნდი მაინც არასტაბილურად ასპარეზობს და მაქსიმუმ ევროპალიგის საგზურს უმიზნებს. ერთი ხანობა, ევროპის რანგით მეორე საკლუბო ტურნირზე გასვლა მილანელებს თითქოს განაღდებული ჰქონდათ, მაგრამ ბოლო ხანს, ესეც კი დაეცა კითხვის ნიშნის ქვეშ. „ნერაძურის" სამ-მატჩიანი მოუგებელი სერია აქვს, რის გამოც კონკურენტები წამოეწიენ. „ინტერს" და „პარმას", რომელიც ბოლო დროს ასევე კოჭლობს, „ატალანტა" და „ლაციო" წამოეწიენ. იქვე ახლოს არიან „ვერონა", „ტორინო" და „მილანი". მოკლედ, „ინტერს" თავი ქუდში არ აქვს და როგორც „გაძეტა დელო სპორტი" გვაუწყებს, **ვალტერ მაცარის** სკამს წყალი აქვს შემდგარი.

ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, „ინტერის" პრეზიდენტი **ერიკ ტოჰირი** მილანში აპირებს ჩასვლას, რათა სენიორ ვალტერს პირადად შეხვდეს და ულტიმატუმი წაუყენოს - თუ მილანური გრანდი ევროპალიგის საგზურს ვერ მოიპოვებს, მწვრთნელს პოსტის დატოვება მოუწევს. ამ თემაზე მოკლე კომენტარი თავად ვალტერმა გააკეთა:

*„ერიკ ტოჰირს ჩემთან სურს ლაპარაკი? - ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ, რადგან ეს ჩვეულებრივი მუშა პროცესია. კარგად ვიცი, რომ „ინტერი" საუკეთესო ფეხბურთს ვერ თამაშობს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, უმოკლეს დროში ვითარება შეიცვლება. ჩვენი მიზანი ევროპალიგის საგზურის მოპოვებაა და თუ ეს ვერ შევძელით, პასუხისმგებლობას ნამდვილად არ გავექცევი. ულტიმატუმი? - მეეჭვება ეს ჩავარდნის დაძლევაში დაგვეხმაროს, ჩვენ ისედაც ყველაფერს ვაკეთებთ ევროსაგზურის მოსაპოვებლად".*

### იკარდი მაცარის ემადლიერება

სეზონის დასაწყისში, ვალტერ მაცარი ერთი გამოკვეთილი ფორვარდით თამაშობდა და როდესაც **დიეგო მილიტო** გამოჯანმრთელდა, **როდრიგო პალასიოს** სწორედ ის შეუწყვილდა. თუმცა, ბოლო შეხვედრებში ვეტერანი არგენტინელი ახალგაზრდა თანამემამულემ, **მაურო იკარდიმ** შეცვალა, რომელსაც მაცარიმ ნდობა გამოუცხადა. იკარდიმ პრესის ფურცლებიდან მწვრთნელს მადლობა გადაუხადა და მხარდაჭერა გამოუცხადა:

*„ვალტერ მაცარიმ ნდობა გამომიცხადა და ბოლო შეხვედრებში მუდმივად სასტარტო შემადგენლობაში მათამაშებს. ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავს და ვეცდები, რომ შესაძლებლობები სრულად წარმოვაჩინო. „ინტერს" საუკეთესო დროება არ უდგას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მალე ყველაფერი შეიცვლება. რაც მთავარია, ამას მაცარისთან ერთად გავაკეთებთ".*

**ლაშა ნიკლაური**

ამბები

### ტოტენჰემი ახალ სტადიონს იშენებს

ლონდონის „ტოტენჰემი" ბოლო პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე მხარჯველი გუნდია და კარგად იცით, თუ რა დიდი თანხა გაიღეს „დეზებმა" ტრანსფერებში, ახლა კი გუნდის ხელმძღვანელობას ახალი სტადიონის აშენება გადაუწყვეტია და როგორც ირკვევა, ახალი არენა მზად 2017 წლის ზაფხულისთვის იქნება. ცნობილია მხოლოდ ის, რომ სტადიონი 58 ათას გულშემატკივარს დაიტევს, მაგრამ ამ პროექტის ფინანსური და სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

### ვის დარჩება ალექს სანდრო?

„მანჩესტერ იუნაიტედი" და „ჩელსი" ახალი ფეხბურთელების პორტუგალიაში ძებნას აგრძელებენ და ახლა თვალი **ალექს სანდროსთვის** დაუდგამთ. როგორც „წითელ ეშმაკებს", ასევე ლონდონელებს დაცვაში გარკვეული პრობლემები აქვთ და უკანა ხაზის გაძლიერებას აპირებენ, ეს განსაკუთრებით „მანჩესტერს" ეხება. თუმცა პრობლემა იმაშია, რომ 23 წლის ბრაზილიელის გამოსასყიდი თანხა 50 მილიონ ევროს შეადგენს და თუ „პორტუ" მის უფრო ნაკლებად გასხვისებას არ დათანხმდება, ძნელი წარმოსადგენია, რომ „დრაკონებს" ამხელა თანხა ან ერთმა გადაუხადოს, ან მეორემ.

### ლესკოტს ბეშიქთაშში ელიან

დიდი შანსია, რომ **ჟოლეონ ლესკოტმა** კარიერა „ბეშიქთაშში" გააგრძელოს. 31 წლის მცველს „მანჩესტერ სიტისთან" მოქმედი კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და მხარეები ახალი შეთანხმების გაფორმებას არ აპირებენ. როგორც ირკვევა, ლესკოტს თურქულ კლუბში გადასვლა ჯერ კიდევ წინა ზაფხულს უნდოდა, მაგრამ...

*„ყველაფერი სეზონის ბოლოს გაირკვევა, იქამდე რაიმე განცხადებისგან თავს შევიკავებ და ყველა დეტალს ვერ გავახმაურებ"* - თქვა კლუბის ტექნიკურმა დირექტორმა **ენდერ ეზერმა**.

„ბეშიქთაშის" პრეზიდენტი **დენიზ ათალაი**: *„ლესკოტს ჩვენთან გადმოსვლა სეზონის დაწყებამდე სურდა, მაგრამ „მანჩესტერ სიტიმ" მისი გაშვება კონტრაქტის ამოწურვამდე არ ისურვა".*

### ჰამშიკმა ნაპოლიდან წასვლა მოისურვა

**მარეკ ჰამშიკს** წლებია უამრავი მსურველი ჰყავს, მაგრამ სლოვაკ ნახევარმცველს აქამდე „სტადიო სან პაოლოს" დატოვებას ვერ გააგონებდი, ახლა კი მას წასვლა გადაუწყვეტია. გავრცელებული ინფორმაციით, მისმა აგენტმა **მინო რაიოლამ** უკვე დაიწყო მუშაობა და ჰამშიკისთვის ახალი გუნდის ძიება. პარალელურად, ნეაპოლიტანელებს **ხოსე რეინას** „ლივერპულიდან" ბოლომდე გამოსყიდვა გადაუწყვეტიათ, მაგრამ მხარეები ხელფასზე ვერ თანხმდებიან. იტალიური კლუბი 31 წლის ესპანელ გოლკიპერს წელიწადში 2,5 მილიონს სთავაზობენ, ხოლო თავად რეინა 3,5 მილიონს ითხოვს.

### რაბიო იუვეს სურს

„პარი სენ ჟერმენის" ახალგაზრდა ნახევარმცველს **ადრიენ რაბიოს** მცირე სათამაშო დრო ეძლევა, არადა, 18 წლის ნიჭიერ ფეხბურთელს ახლა რეგულარულად თამაში სჭირდება. „რომას" შემდეგ, რაბიოს თვალი სერია ა-ს კიდევ ერთმა წარმომადგენელმა „იუვენტუსმა" დაადგა. კარგად მოგეხსენებათ, რომ თავად პარიზელებს „ბებერი ქალბატონის" რიგებიდან **პოლ პოგბას** წამოყვანა სურთ და მის ნაცვლად ტურინელებს **ედინსონ კავანისა** და პლუს 30 მილიონს სთავაზობენ, მაგრამ ახლა საქმეში შესაძლოა რაბიოც ჩართონ.

**გიორგი კაკაბაძე**

მილანი

# ბარბარამ ყველა გააოცა

## მილანში ახალი პროექტი მუშავდება

**„მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ბარბარა ბერლუსკონი იტალიელ სპორტულ ჟურნალისტებს შეხვდა და არა მარტო კლუბის ირგვლივ, ზოგადად იტალიურ ფეხბურთში არსებულ პრობლემებზე ისაუბრა. სენიორა ბარბარამ აქტუალურ თემებზე კომპეტენტურად ილაპარაკა და ყველა გააოცა...**

### მილანის კრიზისი

ევროპულ ფეხბურთში დიდი ფული ჩაიდო, სხვადასხვა კლუბებს მილიარდელი მფლობელები გამოუჩნდათ, მათთან კონკურენცია კი ძალიან გაგვიჭირდა. შესაბამისად, ჩვენ ვერ ვახერხებთ ისეთი ტრანსფერების გაჩარხვას, რომ „რეალს", „ბარსელონას" და „ბაიერნს" კონკურენცია გავუწიოთ. ამასთან, უნდა ვაღიაროთ, რომ კლუბმა სასელექციო სამუშაოსაც მოუკლო და დღეს ჩვენი სკაუტები ნაკლებ ეფექტურნი არიან, ვიდრე წლების წინ. შესაბამისად, ორი მიმართულებით უნდა ვიმუშავოთ - ერთი შემოსავლების გაზრდაა, რაც ტრანსფერების განხორციელების საშუალებას მოგვცემს და მეორე, ახალგაზრდა ტალანტების აღზრდა, რითიც „როსონერი" ყოველთვის ცნობილი იყო.

სულ მალე, კლუბი მუშაობის ახალ სისტემაზე გადავა და ორი მიმართულებით თანმიმდევრულად განვითარდება. დაახლოებით სამ წელიწადში დავინახავთ შრომის შედეგს და „მილანი" აუცილებლად დაიბრუნებს ძველ დიდებას. დარჩება თუ არა ახალ სისტემაში ადრიანო გალიანი? - ის ერთ-ერთი მონაწილეა გრძელვადიანი პროექტის შემუშავების და ბუნებრივია, მას დიდი როლი დაეკისრება.

### იტალიური ფეხბურთი

2000 წელს, მსოფლიოს 5 უმდიდრესი კლუბიდან 3 იტალიური იყო, დღეს კი სად ვართ? - კალჩო ღრმა კრიზისშია და ჯერჯერობით, ყინული არ იძვრის. არადა, ყველაფერი ხელის გულზეა - შევხედოთ ბუნდესლიგას და იმ პროცესებს, რომლებმაც გერმანული საკლუბო ფეხბურთი განვითარების ახალ ეტაპზე აიყვანა. პირველ რიგში, მათ ინფრასტრუქტურა მოაწესრიგეს, რამაც სტადიონებზე გულშემატკივართა რაოდენობის ზრდა განაპირობა, ეს კი გაზრდილი შემოსავლებია. კარგმა სტადიონებმა, იდეალურმა მინდვრებმა გერმანული ფეხბურთი ააჩქარა, უფრო თანამედროვე გახადა, ჩვენ კი ყველას ჩამოვრჩით. ორივე ხელით მივესალმები „რომას" მესვეურთა გადაწყვეტილებას, რომლებიც ახალ არენას 2016 წელს გახსნიან და ვერაფრით მოვიწონებ „ფიორენტინას" პრეზიდენტის განცხადებას, რომ სტადიონის აშენებას, ურჩევნია ფული ტრანსფერებში დახარჯოს.

ჩვენ გვაქვს გეგმა თუ როგორ უნდა ავაშენოთ ახალი არენა და რეკონსტრუქცია ჩავუტაროთ „მილანელოს" სანვრთნელ ბაზას. შეგვიძლია მივბაძოთ „იუვენტუსს" და ამის თქმა ნამდვილად არ მეთაკილება.

**ლაშა ნიკლაური**


ბარბარა ბერლუსკონის თქმით, „მილანს" ძველი დიდების დასაბრუნებლად მინიმუმ სამი წელი სჭირდება

სანამ ტრაგედია მოხდებოდეს

# სჭირდებათ თუ არა დამცავი ჩაფხუტები ფეხბურთელებს

ფოსაფეხბურთო სამყაროში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია უკრაინის ჩემპიონატში მომხდარმა ეპიზოდმა, როდესაც „დნიპროს" მეკარე **ბოიკოსთან** შეტაკების შემდეგ „დინამოს" კაპიტანი **გუსევი** კინაღამ მოკვდა, რომ არა **ჯაბა კანკავა**, მისი გადარჩენა შეიძლება გაძნელებულიყო.

ამ ეპიზოდის შემდეგ რამდენიმე სტატია დაიწერა, გთავაზობთ ერთ-ერთს, სადაც ავტორი ზომების მიღებას ითხოვს სანამ დიდი ტრაგედია არ დატრიალებულა:

„როდესაც 60-იან წლებში NHL-ში თავზე დამცავი ჩაფხუტები შემოიღეს, ამას წინ ტრაგედია უძღვოდა - **ბილ მასტერსონს** თავში შაიბა მოხვდა და დაიღუპა. მიუხედავად ამისა, ჯიდევ 20 წელი დასჭირდა, სანამ ყველა ჰოკეისტი ჩაფხუტს დაიფარებდა. ამას დიდი მოწინააღმდეგეები ჰყავდა ჰოკეის სამყაროში, მათ შორის თავად სპორტსმენებიც.

საფეხბურთო მოედნებზე უსაფრთხოებაზე კითხვები ჩნდება და ქრება იმის მიხედვით, თუ რა შემთხვევა მოხდება მსოფლიოში. ახლაც ასე იყო - „დნიპროს" მეკარემ მუხლით ისეთი დარტყმა მიაყენა კიევის „დინამოს" კაპიტან გუსევს, რომ მან ჰაერშივე დაკარგა გონება, გადაეკეტა სასულე...

რომ არა, ჯაბა კანკავა შეიძლება ტრაგედიაც მომხდარიყო, რადგან ექიმებმა დაადგინეს, რომ გუსევს გადარჩენისთვის მხოლოდ 3 წუთი ჰქონდა დრო. შედეგად, კანკავა საფეხბურთო სამყაროს გმირი გახდა, გუსევი კი მაინც იოლად გადარჩა - ტვინის შერყევით, ყბის მოტეხილობით, 4 დაკარგული კბილით.

სიმართლე ითქვას, ძალიან მძიმე სანახავია პირდაპირ ეთერში იმის ყურება, თუ როგორ დგას სპორტსმენი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე. გუსევის დარი ტრავმა მიიღო თავის დროზე **პეტრ ჩეხმა**, ასევე **კრისტიან კივუმ**.

ჩეხი მას მერე დამცხავ ჩაფხუტს არ იცილებს თავიდან. ის ამბობს, რომ სულ რამდენიმე თვეში მიეჩვია ჩაფხუტს და ახლა მის გარეშე ვერც კი წარმოუდგენია.

იქნებ დროა, უსაფრთხოების საკითხები უფრო მაღალ დონეზე გავიდეს? მაინცდამაინც ტრაგედია უნდა დატრიალდეს? თანაც ტრაგედია უკვე რამდენჯერმე მოხდა, უბრალოდ დაბალ ლიგებში. თავის დროზე ფეხბურთში წვივსაფარებსაც ამრეზით უყურებდნენ, ახლა კი მათ გარეშე უბრალოდ არ შეიძლება.

კანადელმა მეცნიერებმა ტორონტოს ინსტიტუტიდან გამოიკვლიეს და დაადგინეს, რომ ფეხბურთში ტრავმების 58% მოდის იმ ეპიზოდებზე, როცა ფეხბურთელი (ან ფეხბურთელები) ცდილობენ თავით შეწვდნენ ბურთს. თავით თამაში ძალზე სახიფათოა.

თავით დარტყმის დროს იმდენად უნდა იყო ბურთზე ორიენტირებული, რომ გავიწყდება, რომ შეიძლება მეტოქეს მიაყენო ტრავმა, ან თუნდაც საკუთარი თავი ჩაიგდო განსაცდელში. მეცნიერები რეკომენდაციას უწევენ ფეხბურთელებს - დაიხურეთ ჩაფხუტები!

ასეთი წინადადება მხოლოდ ერთი შეხედვით გამოიყურება საეჭვოდ. ფეხბურთელები ჩეხივით მალე მიეჩვევიან ახალ აქსესუარებს, რეკლამის შემომტანებს გაუჩნდებათ ახალი სივრცე რეკლამის გასათავსებლად. გაცილებით უსაფრთხო იქნება ფეხბურთი.

დადგენილია, რომ ბურთის ხშირი დარტყმა იწვევს ისეთსავე ტრავმებს, როგორიც დაახლოებით მოკრივეებს აქვთ. ტვინის მუშაობა დეგენერაციას განიცდის. ექიმების განმარტებით, ჩაფხუტი ერთადერთი გამოსავალია.

იქნებ, უეფამ და ფიფამ მალე საფეხბურთო ამუნიციაში აუცილებელ ატრიბუტად ჩაწეროს, დამცავი ჩაფხუტი, ოლონდ არ გვსურს ეს მორიგი ტრაგედიის გამო მოხდეს".



**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ბარსელონა-ატლეტიკო. გამოხმაურება

# კმაყოფილი არგენტინელები

„ბარსელონას“ და „ატლეტიკოს“ პირველი მეოთხედფინალური შეხვედრა ისე დასრულდა, რომ ყველაფერი საპასუხო მატჩში უნდა გადაწყდეს, რომელიც 9 აპრილს, „ვისენტე კალდერონზე“ გაიმართება.

პირველ შეხვედრამდე წყვილში ფავორიტად „ბარსელონა“ მიიჩნეოდა, ახლა კი შანსები, როგორც მინიმუმ, თანაბარია. იმავეს ფიქრობს **ხერარდო მარტინო**, ვისაც ასევე მიაჩნია, რომ თუ გუნდი ნახევარფინალში ვერ გავა, ეს კატასტროფა იქნება:

„თუ ჩვენ მომდევნო ეტაპზე ვერ გავედით, ეს ნამდვილი კატასტროფა იქნება. მიუხედავადა იმისა, რომ შეხვედრა ვერ მოვიგეთ, ჩემი ფეხბურთელების თამაშით კმაყოფილი ვარ - გუნდმა ბევრი იმუშავა და პრაქტიკულად უშეცდომოდ ითამაშა. პიკეს ტრავმა, რა თქმა უნდა, პრობლემაა, მაგრამ ბარტრა თამაშში საკმაო კარგად ჩაერთო“, - აღნიშნა მარტინომ, რომელმაც დიეგოს ულამაზეს გოლზეც ისაუბრა:

„დიეგომ საოცარი სილამაზის გოლი გაიტანა. მისი დარტყმის შემდეგ ბოლო ხმაზე ყვირილი მომინდა. გაშვებული ბურთის შემდეგ კარგად ავთამაშდით და ბევრი მომენტიც შევქმენით. თუ საპასუხო შეხვედრაშიც ასე ვითამაშებთ, მაშინ ნახევარფინალში გასვლის უკეთესი შანსი სწორედ ჩვენ გვექნება“.


დიეგო კოშტამ და ხერარდ პიკემ თამაში ტრავმების გამო ვერ დაასრულეს

## პიკე არ იქნება, კოშტა უცნობია

მოგეხსენებათ, შეხვედრის დროს ტრავმები მიიღეს **ჟერარდ პიკემ** და **დიეგო კოშტამ**. ესპანელი მცველი „ბარსას“ დაახლოებით ერთი თვე ვერ დაეხმარება, „ატლეტიკოს“ ფორვარდის დაზიანების სიმძიმე კი ჯერ უცნობია. ისევ სიმეონე:

„ჯერ არ ვიცით, მოახერხებს თუ არა დიეგო კოშტა საპასუხო მატჩისთვის გამოჯანმრთელებას. თუ ის ვერ ითამაშებს, ჩვენ გვყავს რაულ გარსია, ადრიანი და დავიდ ვილია, რომლებსაც მისი შეცვლა შეუძლიათ“.

არგენტინელი გუნდის თამაშით კმაყოფილი დარჩა, განსაკუთრებით კი გოლის ავტორი, დიეგო გამოარჩია:

„ფეხბურთელებმა ძალიან ბევრი იშრომეს იმ შეხვედრაში, რომელშიც ერთმანეთს ორი განსხვავებული სტილის გუნდი დაუპირისპირდა. თითოეულმა მოთამაშემ გააკეთა ის, რაც უკეთესი იყო კლუბისთვის. მინდა გამოვარჩიო დიეგოს კარგი თამაში, რომლის გოლიც განსაკუთრებით გამიხარდა. მას სჭირდებოდა ეს გოლი, ისევე როგორც კლუბს სჭირდება მთელი ძალით მოთამაშე დიეგო. ზოგადად, „ბარსასთან“ თამაში ძალიან მიყვარს, რადგან ეს შეხვედრები ჩვენს ზრდას უწყობს ხელს. გუნდის ასპარეზობით და შედეგით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ცაში ფრენას ნამდვილად არ ვაპირებ, რადგან ყველაფერი საპასუხო შეხვედრაში გაირკვევა - წინ ძალიან რთული მატჩი გველის“.

კმაყოფილი იყო „ტატას“ ოპონენტი **დიეგო სიმეონე**, რომელმაც საკუთარი ფეხბურთელების შექების გარდა, მეტოქე გუნდის მოთამაშეებიც გააკრიტიკა:

„ნეიმარი შესანიშნავი ფეხბურთელია, მაგრამ მას სიმულაცია უყვარს - ეს მის ხასიათშია. ამით ის ალექსის სანჩესს ჰგავს, რომელსაც „რივერ პლეიტში“ ვწვრთნიდი. ეს თვისება მას აშკარად ხელს უშლის“, - განაცხადა სიმეონემ.

## ბარსა კურტუამ შეაჩერა

კატალონიური კლუბის მცველის, **მარკ ბარტრას** აზრით, „ატლეტიკოს“ არნაგების მთავარი მიზეზი **ტიბო კურტუას** კარგი თამაში იყო:

„ატლეტიკო“ ძალიან კარგი გუნდია, რომელსაც შესანიშნავი ფეხბურთელები ჰყავს. ჩვენ რამდენიმე რეალური მომენტი გვქონდა და შეგვეძლო მინიმუმ 2:1 მაინც მოგვეგო, მაგრამ კურტუამ შანსი არ დაგვიტოვა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მთელი 90 წუთის განმავლობაში პრესინგს მიმართავდნენ და ცდილობდნენ, თავისუფალი სივრცე არ დაეტოვებინათ, ჩვენ საკმარისი რაოდენობის საგოლე მომენტები შევქმენით იმისთვის, რომ გამარჯვება მოგვეპოვებინა. „ვისენტე კალდერონზე“ მოსაგებად წავალთ და თუ იქ ისევე ვითამაშებთ, როგორც სამშაბათს, მეტოქეზე მეტი შანსი გვექნება“.

„ბედნიერი ვარ, რადგან ძალიან ლამაზი გოლი გამოვიდა, რომელიც ამავე დროს ძალიან მნიშვნელოვანიც არის. ბოლო რამდენიმე შეხვედრაში კარგად ვერ ვითამაშე, მაგრამ თავს მაინც კარგად ვგრძნობდი, რადგან გუნდი იგებდა, თუმცა გოლების გატანა და გუნდისთვის დახმარების გაწევა ნებისმიერი ფეხბურთელისთვის მნიშვნელოვანია. როდესაც გოლი გაგაქვს, საკუთარ შესაძლებლობებში უფრო დარწმუნებული ხდები, რაც მომავლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია“, - ეს უკვე შეხვედრის ერთ-ერთი გმირის, **დიეგო რიბასის** სიტყვებია.

**ტატო ბაციკაძე**

● იტალია. სერია A. გადადებული მატჩი



# მოსახდენი მოხდა: რომა იუვეს მისდევს

| რომა-პარმა | 4:2 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ჟერვინიო (12), 1:1 ასკუა (15), 2:1 ტოტი (16), 3:1 პიანიჩი (49), 4:1 ტადეი (82), 4:2 ბიაბიანი (90).

**რომა (4-3-3):** დე სანქტისი - მაიკონი, ბენატია, კასტანი, ტოროსიდისი - პიანიჩი, დე როსი, სტროტმანი - ფლორენცი (58. დესტრო), ტოტი (76. ბასტოსი), ჟერვინიო (86. ლიაიჩი).

**პარმა (4-3-3):** მირანტე - კასანი, პალეტა, ლუკარელი, გობი - ასკუა (71. მუნარი), მარკიონი, პაროლო (85.მაური) - სკელოტო (85. პალადინო), ამაური, ბიაბიანი.

გაფრთხილება: ტადეი - მაური.

**კუთხური:** 1-2; **ჯარიმა:** 15-11; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 14-12(7-6); **ბურთის ფლობა:** 55%-45.

**მაყურებელი:** 40 000

მოსახდენი მოხდა, „რომამ“ „პარმასთან“ შეხვედრაში იძალა და ლიდერს რვა ქულის ინტერვალზე მიუახლოვდა. მართალია, იტალიურ საფეხბურთო სამყაროში არავის სჯერა, რომ დედაქალაქელებს „იუვენტუსისთვის“ სკუდეტოს წართმევა შეუძლიათ, მაგრამ ასეა თუ ისე, გარკვეული ინტრიგა ჯერ კიდევ არსებობს...

„რომამ“ უპირატესობით წარმართა შეხვედრა და მეტოქე ყველა კომპონენტში დაჯაბნა. **რუდი გარსიას** შეგირდებმა შეტევაში გაილაღეს და ყველა გემოვნების გოლი შეაგდეს. შესანიშნავი იყო **ფრანჩესკო ტოტი**, რომელსაც დიდად არც **ჟერვინიო** ჩამორჩა. განსაკუთრებულად დრამატული შეხვედრის სტარტი აღმოჩნდა - მე-16 წუთზე ანგარიში უკვე 3:1 იყო.

„რომას“ გამარჯვებათა მორიგი სერია აქვს, რომელსაც გუნდი სკუდეტოსკენ თუ არა, ჩემპიონთა ლიგის ძირითადი ბადისკენ ნამდვილად მიჰყავს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 31 | 26 | 3 | 2 | 67-22 | 81 |
| 2. რომა | 31 | 22 | 7 | 2 | 62-17 | 73 |
| 3. ნაპოლი | 31 | 19 | 7 | 5 | 59-32 | 64 |
| 4. ფიორენტინა | 31 | 15 | 7 | 9 | 49-32 | 52 |
| 5. ინტერი | 31 | 12 | 13 | 6 | 49-23 | 49 |
| 6. პარმა | 31 | 12 | 11 | 8 | 51-41 | 47 |
| 7. ატალანტა | 31 | 14 | 4 | 13 | 37-39 | 46 |
| 8. ლაციო | 31 | 12 | 9 | 10 | 40-40 | 45 |
| 9. ვერონა | 31 | 13 | 4 | 14 | 46-52 | 43 |
| 10. ტორინო | 31 | 11 | 9 | 11 | 45-40 | 42 |
| 11. მილანი | 31 | 11 | 9 | 11 | 47-43 | 42 |
| 12. სამპდორია | 31 | 11 | 8 | 12 | 40-43 | 41 |
| 13. ჯენოა | 31 | 10 | 9 | 12 | 34-39 | 39 |
| 14. უდინეზე | 31 | 11 | 5 | 15 | 34-42 | 38 |
| 15. კალიარი | 31 | 7 | 11 | 13 | 29-41 | 32 |
| 16. კიევო | 31 | 7 | 6 | 18 | 26-46 | 27 |
| 17. ბოლონია | 31 | 5 | 11 | 15 | 24-48 | 26 |
| 18. ლივორნო | 31 | 6 | 7 | 18 | 34-58 | 25 |
| 19. სასუოლო | 31 | 5 | 6 | 20 | 29-61 | 21 |
| 20. კატანია | 31 | 4 | 8 | 19 | 23-55 | 20 |

**ბომბარდირები:** 18 - კარლოს ტევესი (იუვენტუსი); 17 - ჩირო იმობილე (ჯენოა); 14 - ჯუზეპე როსი (ფიორენტინა), გონსალო იგუაინი (ნაპოლი), როდრიგო პალასიო (ინტერი); 13 - ლუკა ტონი (ვერონა), ალბერტო ჯილარდინო (ჯენოა), მარიო ბალოტელი (მილანი).

**ლაშა ნიკლაური**




● ბარსელონა

# ბარსელონას ტრანსფერები აუკრძალეს

18-წლამდელი ფეხბურთელების რეგისტრაციის წესების დარღვევის გამო, ფიფამ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია და „ბარსელონა“ დასაჯა. კატალონიურ კლუბს უახლოესი ორი სატრანსფერო ფანჯრისას (2014 წლის ზაფხული და 2015 წლის იანვარი) ახალი მოთამაშეების დამატება აეკრძალა.

ფიფას სატრანსფერო წესების, მე-19 პარაგრაფის მიხედვით, კლუბებს საერთაშორისო ტრანსფერის განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ, თუ ფეხბურთელი 18 წლის არის. გამონაკლისი შეიძლება მხოლოდ სამი სხვადასხვა პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში დაიშვას, რომელიც ფეხბურთელთა სტატუსის კომიტეტის ქვეკომიტეტმა უნდა განიხილოს და დაამტკიცოს. ფიფას გამოძიების მიხედვით, „ბარსელონამ“ მე-19 პარაგრაფით განსაზღვრული წესები ათი სხვადასხვა არაესპანელი 18-წლამდელი ფეხბურთელის ტრანსფერის დროს დაარღვია. საუბარია 2009-2013 წლებში განხორციელებულ გარიგებებზე.

გარდა ტრანსფერების აკრძალვისა, კატალონიური კლუბი 369 000 ევროთიც დააჯარიმეს. ჯერ კიდევ უცნობია, რა ბე-



დი ელით **ალან ჰალილოვიჩის** და **მარკ-ანდრე ტერ შტეგენის** ტრანსფერებს. შეგახსენებთ, რომ უნიჭიერესი ხორვატი „ბარსამ“ ცოტა ხნის წინ გაიფორმა, გერმანელი კარის დარაჯის გადაბირების შესახებ კი ოფიციალურად არ გამოცხადებულა, მაგრამ ეჭვი არავის ეპარებოდა იმაში, რომ მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ მეკარე კარიერას სწორედ „ბარსელონაში“ გააგრძელებდა.

კატალონიურ კლუბს 90 დღე აქვს იმისთვის, რომ ყველა არსებული დარღვევა გამოასწოროს.

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ იუნაიტედი

# არც ისე ხელწამოსაკრავი იუნაიტედი

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ ამ ეტაპზე მაქსიმუმი გააკეთა. „ბაიერნის“ წინააღმდეგ ის ღირსეულად გამოიყურებოდა. პრემიერლიგის ჯერ კიდევ მოქმედი ჩემპიონების მთავარი მწვრთნელი შედეგით, უფრო მეტად კი ფეხბურთელების თავდადებული თამაშით, კმაყოფილი ჩანდა. იყო რამდენიმე მომენტი, როცა **დევიდ მოიესის** შეგირდებს უბრალოდ არ გაუმართლათ. გავიხსენოთ თუნდაც **კარლოს ველასკოს** საეჭვო გადაწყვეტილება სასტარტო წუთებზე, როცა ესპანელმა **დენი უელბეკს**, ბევრის აზრით, 100%-იანი გოლი არ ჩაუთვალა. მეორე მხრივ, არბიტრმა მასპინძლებიც დაინდო, როცა **ალექსანდერ ბიუტნერის** მიერ საჯარიმოში ხელით თამაშისთვის პენალტი არ დანიშნა. ფრიად საკამათო იყო ბოლო წუთებზე **ბასტიან შვაინშტაიგერის** გაძევებაც. მთავარი მაინც ის არის, რომ „ოლდ ტრეფორდის“ მატჩამდე ტოტალიზატორებისა და საფეხბურთო ექსპერტების მიერ უიმედო აუტსაიდერად მონათლული „იუნაიტედი“ სულაც არ აღმოჩნდა უიმედო და თუკი ბედი სულ ოდნავ მაინც გაუღიმებს, მიუნხენშიც შეუძლია მოსაგებად ბრძოლა. ამისთვის კი მას დასჭირდება თავდამსხმელი, ვინც უფრო სწრაფად მიიღებს გადაწყვეტილებებს ვიდრე უელბეკი და **ნოიერთან** პირისპირ გასვლისას ბურთით ტექნიკური ილეთების დემონსტრირებას არ დაიწყებს; გარემარბები, რომლებიც მეტ დახმარებას გაუწევენ თავდასხმას, ნახევარდაცვის ცენტრი, რომელიც ამდენ შეცდომას აღარ დაუშვებს და ზუსტად ისევე მონდომებით ითამაშებს, როგორც გუნდმა ეს მეორე ტაიმში გააკეთა. შესაძლოა, მკითხველმა იფიქროს, რომ „იუნაიტედისგან“ რაღაც უსაშველოს ვითხოვთ, მაგრამ ვინ თქვა, რომ ჩემპიონთა ლიგის 1/2-ფინალში გასვლა იოლი შეიძლებოდა ყოფილიყო? „იუნაიტედს“ სეზონის დარჩენილ ნაწილში პრინციპული თამაში თითქმის აღარ დარჩა. „ეშმაკების“ პატივმოყვარეობა სასწორზეა შეგდებული, რისთვისაც ბრძოლა ნამდვილად ღირს. მაშ ასე, 9 აპრილს მიუნხენში შეხვედრამდე. იქამდე კი, მოდი, მატჩის შემდგომ კომენტარებს გავეცნოთ.

**დევიდ მოიესი:** - ვიცით, რომ განმეორებით შეხვედრაში აუცილებლად უნდა გავიტანოთ. თუკი დღევანდელი შეხვედრის სტატუს-კვო შენარჩუნდება, მომდევნო ეტაპზე „ბაიერნი“ გავა. ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე ვთქვი, რომ ჩვენი მთავარი მიზანი იყო, განმეორებით მატჩამდე 1/2-ფინალში გასვლის შანსი შეგვენარჩუნებინა და „იუნაიტედმა“ მიზანს მიაღწია კიდეც. ბიჭებმა დღეს ნამდვილად გამოიჩინეს თავი. გული დამწყდა, როცა გოლი გავუშვით, თუმცა საერთო ჯამში მათით უკმაყოფილო ვერ ვიქნები. მიმაჩნია, რომ დღეს კარგი ფეხბურთი ვითამაშეთ. ამ ფონზე უკვე ვერ გეტყვით, რატომ ვერ შევძელით ასე კარგად ასპარეზობა თუნდაც „სიტისთან“ ან „ლივერპულთან“.

**ნემანია ვიდიჩი:** - რთული თამაში გამოვიდა. ანგარიში მიგვყავდა, აშკარად მომგებიან სიტუაციაში ვიყავით, თუმცა ერთადერთი უხეში შეცდომა დავუშვით და დავისაჯეთ. ამ მომენტში „ბაიერნმა“ დაამტკიცა, თუ რამდენად ძლიერია ის. გერმანელები ბურთს იმდენად კარგად აკონტროლებდნენ, რომ თავიდანვე ცხადი იყო, რომ დროის უმეტესი ნაწილი საკუთარ ნახევარზე უნდა გაგვეტარებინა და კონტრშეტევებზე გვეთამაშა, რაც იქცა კიდეც ჩვენს უმთავრეს იარაღად. ჩემპიონთა ლიგაში წელს კარგად ვთამაშობთ. ერთადერთი გამონაკლისი „ოლიმპიაკოსთან“ პირველი მატჩი იყო. ასე რომ, განმეორებით შეხვედრაშიც დღევანდელის მსგავს სცენარს ველოდები. „ბაიერნი“ ბურთს ისევ დაიჭერს და თანაც საკუთარი გულშემატკივარი გაამხნევებს. მიუხედავად ამისა, ჩვენს თავდასხმას შეუძლია მეტოქისთვის პრობლემების შექმნა.



ფილ ჯონსი „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო

**მაიკლ კერიკი:** - ცხადია, უკეთესი იქნებოდა, თამაში 1:0 რომ დასრულებულიყო, თუმცა ფრეც არ არის მაინცდამაინც ცუდი. ჩვენ გვაქვს მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი და არცთუ ისე ცუდი. „ბაიერნი“ ტრადიციულად ხანგრძლივად აკონტროლებდა ბურთს, რასაც ჩვენ ორგანიზებული დაცვითა და სწრაფი კონტრშეტევებით ვუპასუხეთ. რეალობას თვალს თუ გავუსწორებთ, აღმოვაჩენთ, რომ განმეორებითი დაპირისპირება კიდევ უფრო რთული იქნება. მიზნის მისაღწევად საკუთარი ძალების უნდა გვჯეროდეს.

**ლევან ბიბილაშვილი**

ბაიერნი



# მიუნხენში შვაინის მისტირიან

## ზამერი: 1:1 საკმაოდ საშიში ანგარიშია

გერმანელები ესპანელ მსაჯ კარლოს ველასკო კარბალიოს შემოსწყრნენ - შვაინშტაიგერი თუ გააძევე, ვალენსია რატომ დაინდეო

„მანჩესტერ იუნაიტედთან“ მატჩის შემდეგ „ბაიერნის“ ხელმძღვანელებისთვის და გულშემატკივრებისთვის მთავარი სალაპარაკო თემა **ბასტიან შვაინშტაიგერის** გაძევება გახდა. მიუნხენელები მიიჩნევენ, რომ შვაინისთვის მეორე გაფრთხილების მიცემა საკამათო გადაწყვეტილება იყო და წუხან იმის გამო, რომ ბასტიანი „ბაიერნს“ საპასუხო შეხვედრაში დააკლდება. თანაც, შვაინშტაიგერის არყოფნა რეკორდმაისტერისთვის ერთადერთი დანაკლისი არ იქნება - „ალიანს არენაზე“ გასამართი შეხვედრისთვის მიუნხენურ გრანდს **ხავი მარტინესიც** ასევე დისკვალიფიკაციის გამო დააკლდება.

თავად შვაინშტაიგერმა მატჩის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბარი არ ისურვა - „ბაიერნის“ ვიცე-კაპიტანმა, რომელიც „ოლდ ტრეფორდზე“ ჩატარებული მატჩის ტრაგიკული გმირი გახდა (ჯერ ანგარიში გაათანაბრა, მერე კი გააძევეს), გასახდელიდან პირდაპირ ავტობუსს მიაშურა და მოგვიანებით, გუნდის ბანკეტიც ნაადრევად დატოვა.

### ლამი გაბრაზებულია

სამაგიეროდ, კომენტარი გააკეთა ბავარიელთა კაპიტანმა **ფილიპ ლამმა**: *„ეს მსაჯი ნამდვილად არ იმსახურებს კარგ შეფასებას, - წუხდა ფილიპი, - კარლოს ველასკო კარბალიომ ანტონიო ვალენსია არ გააძევა, არადა, ეს უკანასკნელი შვაინშტაიგერზე გაცილებით მეტად იმსახურებდა გაძევებას. იმიტომ, რომ ძალიან ბევრჯერ სასტიკად იუხეშა. სამაგიეროდ, გააგდო შვაინშტაიგერი. ჩემპიონთა ლიგაში მსაჯს მეტი ყურადღება და კონცენტრაცია მართებს.“*

ლამის მოსაზრებას იზიარებს „ბაიერნის“ სპორტული დირექტორი **მათიას ზამერიც**: *„არ ვამბობ, რომ შვაინშტაიგერი მეორე ყვითელ ბარათს არ იმსახურებდა, მაგრამ თუ იმსახურებდა, მაშინ მეორე გაფრთხილება ვალენსიასაც უნდა მიეღო. მსაჯმა შვაინისა და ვალენსიას ფოლები სხვადასხვანაირად შეაფასა,“* - აცხადებს ზამერი და იქვე დასძენს, „ოლდ ტრეფორდზე“ დაფიქსირებული 1:1 საკმაოდ სახიფათო შედეგიაო.

ზამერი, რა თქმა უნდა, იმასაც ითვალისწინებს, რომ საპასუხო შეხვედრაში რეკორდმაისტერს ხავი მარტინესიც დააკლდება და არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ბაიერნს“ **ტიაგო ალკანტარაც** ტრავმირებული ჰყავს. შესაბამისად, „ალიანს არენაზე“ გასამართ საპასუხო შეხვედრაში გვარდიოლას ნახევარდაცვაში დიდი არჩევანი აღარ ექნება. პეპს კი არ უყვარს, როცა დიდი არჩევანი არ აქვს.

ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ „ბაიერნისთვის“ მოსალოდნელზე ძლიერი მეტოქე აღმოჩნდა. მართალია, ბავარიელები მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობას ფლობდნენ და მეტოქე საკუთარ საჯარიმოს ჰყავდათ მიჯაჭვული, მაგრამ „იუნაიტედი“ ხშირად ძალიან მწარედ იკბინებოდა და რომ არა ის სრულყოფილი კომბინაცია, რომელიც სწორედ შვაინშტაიგერის გოლით დაგვირგვინდა, შესაძლოა, „ბაიერნი“ მანჩესტერიდან გერმანიაში დამარცხებულიც კი დაბრუნებულიყო.

### ზამერი მომატებას ითხოვს

*„ყველამ ვიცოდით, რომ „მანჩესტერი“ კონტრშეტევებზე ითამაშებდა, მაგრამ პირადად მე არ მეგონა, თუ ეს ასე კარგად გამოუვიდოდათ. მართალია, მეტოქეს მთელი მატჩის განმავლობაში ვჯობდით, მაგრამ რამდენჯერმე ძალიან მწარედ გვიკბინეს და ორი გოლიც გაგვიტანეს, რომელთაგან ერთი არ ჩაითვალა. ეს იმას ნიშნავს, რომ „იუნაიტედს“ მიუნხენშიც შეუძლია ჩვენი კარის დალაშქვრა. დევიდ მოიესის გუნდს არ ეტყობა, რომ პრემიერლიგაში მეშვიდე ადგილზეა,“* - ესეც ზამერის სიტყვებია, რომელიც იქვე დასძენს: *„მანჩესტერელები ტაქტიკას არც საპასუხო მატჩში შეცვლიან და იმისათვის, რომ სასურველი შედეგი დავაფიქსიროთ და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავიდეთ, აუცილებლად უნდა მოვუმატოთ.“*

### გვარდიოლა კმაყოფილია

ზამერი ყოველთვის კრიტიკულია ხოლმე. აი, „ბაიერნის“ დამრიგებელი **ხოსეპ გვარდიოლა** კი თამაშითაც და შედეგითაც კმაყოფილი დარჩა. *„ყველაფრით კმაყოფილი ვარ. „მანჩესტერ იუნაიტედი“ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია და ეს არასდროს არ უნდა დაგვავიწყდეს - არც მაშინ, როცა ამ კლუბს ინგლისის ჩემპიონატში საქმეები მაინცდამაინც კარგად არ მისდის,“* - აღნიშნა პეპმა.

**არიენ რობენმა** ჟურნალისტებთან ასევე შვაინშტაიგერის გაძევებასა და ხავი მარტინესის დისკვალიფიკაციაზე ისაუბრა. ჰოლანდიელმა თქვა, საპასუხო მატჩი სწორედ ბასტიანის და ხავის ხათრით უნდა მოვიგოთო. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ „ბაიერნში“ ყველაზე გამორჩეული სწორედ რობენი იყო, **ფრანკ რიბერი** და განსაკუთრებით **თომას მიულერი** კი ვერ ბრწყინავდნენ.

გერმანელი ექსპერტების მხრიდან განსაკუთრებული ქება **მანუელ ნოიერმა** დაიმსახურა, რომელმაც პირველი ტაიმის მიწურულს **უელბეკს** მისთვის ბურთის თავზე გადაგდების საშუალება არ მისცა და ამით „ბაიერნი“ გაშვებული ბურთისგან იხსნა. თუმცა ჩვენი გერმანელი კოლეგები აღნიშნავენ, რომ პირველ ნახევარში თავად ნოიერსაც რამდენჯერმე შეეტყო დაბნეულობა - ეს მაშინ, როცა ერთი-ორჯერ ბოლო მცველის ფუნქციის შესრულება მოუხდა.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

### სპაჰიჩი შუა თითისთვის დასაჯეს

„ლევერკუზენის“ მცველ **ემირ სპაჰიჩს** „ბრაუნშვაიგთან“ მატჩის (1:1) დროს შუა თითის კომბინაციის ჩვენება ძვირად დაუჯდა. მართალია, მატჩის არბიტრს მისი უხამსი ჟესტი გამოეპარა, მაგრამ სამაგიეროდ, გერმანიის საფეხბურთო კავშირს არ გამორჩენია - სპაჰიჩი 15 000 ევროთი დააჯარიმეს.

### ჰამბურგმა ჟურუ გაიფორმა

არა, არაფერი გეშლებათ: **იოჰან ჟურუ** ისედაც „ჰამბურგში“ თამაშობდა. უბრალოდ, 27 წლის მცველი აქამდე ლონდონის „არსენალის“ საკუთრება გახლდათ და გერმანულ კლუბში იჯარით ასპარეზობდა. „ბილდისა“ და „მორგენპოსტის“ ცნობით, ზაფხულიდან ჟურუ სრულფასოვანი „ჰამბურგელი“ გახდება, რადგან ჩრდილოგერმანული კლუბის ხელმძღვანელები საიჯარო ხელშეკრულებაში ჩადებული პუნქტის გამოყენებას და ჟურუს გამოსყიდვას გეგმავენ. საქმე ისაა, რომ რაკი ჟურუმ ბუნდესლიგის 20 მატჩში მიიღო მონაწილეობა, „ჰამბურგი“ ავტომატურად ვალდებული გახდა, რომ „არსენალს“ 2.2 მილიონი ევრო გადაურიცხოს და შვეიცარიელი შეიძინოს. ჟურუს კონტრაქტი კი „ჰამბურგთან“ 2016 წლამდე გახანგრძლივდება.

### მანჯუკიჩი: პოკერი გრძელდება

ყველამ იცის, რომ ზაფხულში **რობერტ ლევანდოვსკი** „დორტმუნდიდან“ „ბაიერნში“ გადავა, მაგრამ არავინ იცის, რას იზამს მიუნხენის „ბაიერნის“ ამჟამინდელი გოლეადორი **მარიო მანჯუკიჩი**, რომელმაც „ოლდ ტრეფორდზე“ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ძალიან საჭირო ფეხბურთელია (საგოლე პასი). ჟურნალ „შპორტ-ბილდის“ ინფორმაციით, მანჩესტერში დაფიქსირებული 1:1-ის შემდეგ 27 წლის ხორვატი თავდამსხმელის გარშემო გაჩაღებული პოკერი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ბავარიელები მზად არიან, მანჯუკიჩს ხელფასი გაუზარდონ - აქამდე მარიო წელიწადში 5 მილიონ ევროს იღებს.

ფეხბურთელი და მისი მრჩეველი ჯერ კიდევ დუმან, „ბაიერნის“ ბოსი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** კი ოპტიმისტურადაა განწყობილი და ფიქრობს, რომ მანჯუკიჩის შენარჩუნებას მოახერხებს. *„ბოლო დროს ერთობლივ ვახშამზე რამდენჯერმე მანჯუკიჩის გვერდით ვიჯექი და არაერთხელ ვუთხარი, რომ ჩვენ მისი შენარჩუნება გვინდა. თავად მარიოც კმაყოფილი ჩანს და არა მგონია, რომ წასვლა მოისურვოს,“* - აცხადებს რუმენიგე. მანჯუკიჩს „ბაიერნიდან“ წასვლა მხოლოდ იმის გამო შეიძლება უნდოდეს, რომ ლევანდოვსკის მოსვლის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსი შეუმცირდება.

**გოტფრიდ ლენცი**



რას გადაწყვეტს მარიო მანჯუკიჩი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

● თავისუფალი ჭიდაობა

# ვლადიმერ ხინჩეგაშვილის პირველი ტიტული

**ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (57) ევროპის ჩემპიონია. ეს წოდება გორელმა ფალავანმა გუშინ მოიპოვა ფინურ ვანტააში, როცა ფინალში დამაჯერებლად მოუგო მონაკოელ გენადი ტულბეას – 5:0. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ეს ჩვენებურის პირველი ტიტულია ეროვნულ ნაკრებში – მას უჭიდავია ევროპისა და ოლიმპიადის ფინალში, მაგრამ წააგო.**



ვლადიმერ ხინჩეგაშვილი ეს-ესაა ფინალში გავიდა

ამდენად, ორი დღის შემდეგ საქართველოს ნაკრების მონაგარი ორი მედალია – თითო ოქრო და ბრინჯაო. საინტერესოა, რომ ორივე ჯილდო გორელებმა მოიპოვეს – ბრინჯაოს პრიზიორი **კონსტანტინე ხაბალაშვილი** (65) გახდა.

ხინჩეგაშვილმა პირველ შეხვედრაში ბულგარელ **გეორგი ვანგელოვთან** 6:2 მოიგო. პირველი ქულა მეტოქემ მოიპოვა, როცა ჩვენებურმა იოლად შეუშვა წელში და იმასაც ლეიბზე ჩაყვანა არ გასჭირვებია. საბედნიეროდ, ხინჩეგაშვილმა ქულის მოპოვების მეტი რეალური შანსი არ მისცა. პირიქით – თვითონ შევიდა სამჯერ ილეთზე და ყოველთვის - ფეხში. საბედნიეროდ, სამჯერვე წარმატებით ჩააგდო მეტოქე ლეიბზე, თუმცა ცოტა თითქოს უჭირდა ეს. ყოველ შემთხვევაში, ფეხიდან აყვანილ კაცზე იმდენ დროსა და ენერგიას არ უნდა ხარჯავდეს, უფრო იოლად უნდა გადაჰყავდეს ქულაზე.

მაგალითად, პირველ შემთხვევაში მარტივად გამოჰკრა გარეფეხი, მაგრამ მესამე ცდაზე გვარიანად ეჯაჯგურა. შემდეგ ვერც ლეიბიდან დაატრიალა, თუმცა საქმე ლოგიკურ დასასრულამდე უპრობლემოდ მიიყვანა – ჩვენებური ბულგარელზე ბევრად ძლიერი იყო. მას დიდი პრობლემები არც ფრანგ **ზოჰაირ ელ უარაკთან** შეჰქმნია – ხინჩეგაშვილი რამდენჯერმე მასთანაც იოლად შევიდა ფეხში და ქულებიც მოიპოვა, თან, ბულგარელისგან განსხვავებით, ეს ორჯერ ფეხიდან „ჯვარზეც“ დაატრიალა. ერთხელ თავადაც გაეპარა ილეთი, ერთ მომენტში კი ფრანგმა მოძრაობაზე დაიჭირა და წელში შევიდა. თითქოს ქულის დაკარგვა გარდაუვალი იყო, მაგრამ ლადომ თავდაცვის პრაქტიკული გაკვეთილი ჩაუტარა მას, სადაც კარგად გამოჩნდა მისი ბუნებრივი შესაძლებლობები, და კონტრილეთით იქით გადააგდო ორქულიანზე. საბოლოოდ ჩვენებურმა 7:4 გაიმარჯვა და ნახევარფინალში გავიდა.

ამ მნიშვნელოვან ეტაპზე მისი მეტოქე რუსთა აფხაზი ფალავანი **რუსტამ ამპარი** იყო, ვინც მანამდე თურქი მსოფლიოს ჩემპიონი, ევროპის მედალოსანი **სეზერ აკგული** გააგდო. აფხაზთან შეხვედრაში ხინჩეგაშვილი პირველად დადგა მარცხის წინაშე და რომ არა ბოლო წუთნახევარში მოწყობილი შტურმი, ფინალის საგზური მეტოქეს დარჩებოდა.

თავიდან ფალავნები არ რისკავდნენ და დიდხანს ქულა ვერავინ მოიპოვა. მეორე წუთი ინურებოდა, როცა ხინჩეგაშვილი ნაცადი ფანდით ფეხში წვდა და ერთქულიანზე გადაიყვანა. შეხვედრა კარგა ხანს ნაცადი სცენარით გაგრძელდა – შორიდან დაზვერვით, ფრთხილი ჭიდაობით, გამწვავებების გარეშე, თუმცა მეოთხე წუთისთვის ამპარმა მაინც მოახერხა ფეხიდან აყვანა და გადაგდება – 1:2. რამდენიმე წამში, ხანგრძლივ ტაქტიკურ-ტექნიკურ ჯაჯგურში გამარჯვება ისევ მეტოქეს დარჩა, რომელმაც კვლავ ჩოქბჯენში გადაიყვანა შეხვედრა – 1:4. საბედნიეროდ, ხინჩეგაშვილი არ გატყდა და დარჩენილ წუთნახევარში ზეწოლა კიდევ უფრო გააძლიერა. შედეგიც მიილო – ჯერ ფეხიდან აყვანით სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა, იქვე იმავე ფანდით ანგარიში გაათანაბრა, მომგებიანი გდება კი საფინალო სირენას რამდენიმე წამით დაასწრო. ხერხი და ილეთი ახლაც წინა შემთხვევების ანალოგიური იყო.

ფინალში ხინჩეგაშვილის მეტოქე მონაკოელი ტულბეა ეროვნებით მოლდოველია და ვიდრე მონაკოში გადავიდოდა საცხოვრებლად, ისტორიული სამშობლოს სახელით ორჯერ გახდა ევროპის ჩემპიონი, ერთხელ მსოფლიოს ფინალიც იჭიდავა და ორივე ამ შეჯიბრებაზე კიდევ რამდენიმე მედალი მოიპოვა. თუმცა ის უკვე 35 წლისაა და 23 წლის ქართველი მასთან ფავორიტი იყო. ხინჩეგაშვილმაც გაამართლა იმედები – 5:1 მოიგო და თან უპირატესობასაც თვითონ ფლობდა. მან იჭიდავა ზუსტად იმ დონეზე, რაც ამ კონკრეტულ შეხვედრაში მოგებისთვის სჭირდებოდა. პირველი ქულა მეტოქის გაფრთხილებისთვის მიილო, როცა იმან ამის პასიურობაზე ვერ ისარგებლა. ხინჩეგაშვილი უფრო მეორე პერიოდში გამოცოცხლდა, როცა გააქტიურდა და შედეგიც მოიმკო – მოხდენილი, შორეული ნახტომით ფეხში შესულმა აიყვანა და ოთხქულიანზე გადააგდო. ეს ანგარიში წარმატებითაც შეინარჩუნა და ვერ ვიტყვით, რომ ტულბეას მთელ შეხვედრაში რეალური შანსი ჰქონდა. ფინალის გვირგვინი ნაკრების თავკაც **რევაზ მინდორაშვილის** ლეიბზე შევარდნა და ხინჩეგაშვილის ქართული დროშით სირბილი იყო.

**ბექა ლომთაძეს** თითქოს ცუდად არ უჭიდავია, მაგრამ მაინც უმედლოდ დარჩა. ის რამდენადაც კარგად აკეთებს ილეთებს და წარმატებით უტევს, იმდენად მართებს დაცვით ჭიდაობაზე მუშაობა. აზერბაიჯანელ **ჰაჯი ალიევთან**, მინიმუმ, ორი გდება, ჯამში 3 ქულა მაინც დაკარგა თავისივე ელემენტარული შეცდომით. ცხადია, ყველა ქულა რაღაც შეცდომას მოსდევს, მაგრამ იმ ორ ეპიზოდში გაუმართლებლად შეცდა, ვითარებაში დროულად ვერ გაერკვა და ფრიად არასწორი გადაწყვეტილებები მიიღო.

არადა, საკმაოდ ტექნიკურად და ლამაზად ჭიდაობს. პირველ წრეში სომეხ **ნარეკ სანოიანი** თავიდანვე ჩაიყვანა ჩოქბჯენში და მერე ტრიალების კასკადი დაატეხა თავს. მწვრთნელებმა ეს კომპლექსური ეპიზოდი, სადაც სომეხი რამდენიმე კონტრილეთით წარმატებით გამოვიდა მდგომარეობიდან, მსაჯებმა თავიდან 7:2 შეაფასეს, მაგრამ სომეხთა პროტესტის შემდეგ ანგარიში 4:5 გადააკეთეს. ესეც თანამედროვე ჭიდაობის ერთი დიდი პრობლემა – ხომ კურიოზია, ევროპის ჩემპიონატზე მივლენილი მსაჯი ამდენად შეცდეს? ისინი თუ ასე ცდებიან, დაბალი რანგის არბიტრებზე არცაა ლაპარაკი. თუმცა ამ კაზუსმა ლომთაძე, ვინც შემტევი, მებრძოლი ხასიათის ბიჭი ჩანს, ვერ შეაკრთო და ზეწოლა განაგრძო. ფეხიდან აყვანით მეტოქე მალევე ჩააგდო დაბლა, რითაც დაწინაურდა კიდეც – 6:5.

უნდა ითქვას, რომ ახალბედა სომეხიც მედგრად იბრძოდა და კარგი ხასიათიც გამოავლინა – შეხვედრის მიმდინარეობისას მისმა მწვრთნელმა ორჯერ შემოაგდო საპროტესტო ფირნიში, მაგრამ ამან მსაჯს უკან დააბრუნებინა, იმდენად არასერიოზული ჩანდა იმ ეპიზოდებში კამათი. პირველი პერიოდის მიწურულს მან ილეთი წამოიწყო, მაგრამ ლომთაძემ კარგი კოორდინაცია გამოავლინა და ლამის ხიდზე დამდგარმა იქით გადააგდო წრის გარეთ -10:5. ამას კიდევ ერთი საინტერესო მომენტი მოჰყვა, როცა ილეთზე შესულ მეტოქეს ფეხზე წამოუდგა და მორიგი ქულები მოიპოვა – 12:7. თუმცა ამის შემდეგ თითქოს მოდუნდა, ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყო ფიქრი და ერთ მომენტში თითქოს თავიც არ დაიცვა, ისე შეუშვა ილეთზე, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოიკრიბა მხნეობა და 14:9 მოიგო. სამწუხაროდ, ის აზერბაიჯანელთან შეხვედრის მეორე ნახევარში გატყდა და მერე ვერც სანუგეშოში გაუმკლავდა გერმანელ **ალექსანდერ სემისოროვს**.

საინტერესო გამოდგა ამ წონის ფინალი ალიევსა და რუსთა ჩეჩენ მსოფლიოს ჩემპიონ **ბეკხან გოიგერეევს** შორის. ჩეჩენს თავისი აკრობატული ნახტომების გამოყენების შანსი ერთხელაც არ მიეცა და ალიევმა 12:5 იმარჯვა, აზერბაიჯანელთა ბულგარელმა მწვრთნელმა **სემენ ჩტერევმა** კი ერთხელაც შეასრულა ტრადიციული რიტუალი – კისერზე შემოსმული გამარჯვებული შეგირდით შემოურბინა ლეიბს. ადრე ის ამას ხშირად აკეთებდა თავის ყველაზე ცნობილ მოსწავლე **სტანკა ზლატევასთან**, ვინც ხვალ იჭიდავებს ქალთა ტურნირში.

## შანსი მოძმანაშვილს, გედუევი - მაქარაშვილს

დღეს ვანტააში მორიგი ქართული დუეტი იჭიდავებს. წილისყრის შედეგებით, დიდი შანსია, კიდევ ერთი ფინალი ვიჭიდაოთ. ვგულისხმობთ მძიმე წონას, სადაც **დავით მოძმანაშვილს** ფინალამდე აცდა ყველაზე საშიში მეტოქე, თურქთა ევროპის ორგზის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი **ტაჰა აკგული**. მოძმანაშვილი პირველ წრეში მოლდოველ **ანდრეი რომანოვს** ხვდება, მომდევნო ეტაპზე გასვლის შემთხვევაში კი აზერბაიჯანელ ევროპისა და მსოფლიოს მესამე პრიზიორ **ჯამალედდინ მაგომედოვსა** და ლატვიელ **დმიტრი მიხაილოვსს** შორის მოგებულს გაეჯიბრება. ლამის გადაჭრით შეიძლება თქმა, რომ ჩვენებურის მეტოქე აზერბაიჯანელთა დაღესტნელი მაგომედოვი იქნება, რომელიც იმ წყვილის ფავორიტია. ბადის ამავე ნახევარშია უნგრელი ევროპის ვიცე-ჩემპიონი **დანიელ ლიგეტიც** და რუსთა ოსი **ალან ხუგაევიც**, მაგრამ მოძმანაშვილს არც მათთან და არც მაგომედოვთან არ უნდა გაუჭირდეს. მთავარია, თავად შეძლოს მობილიზება და საკუთარი შესაძლებლობები სრულად გამოავლინოს. წინა წლებში ეს სამეული ჩვენი მძიმეწონოსნებისთვის (ახალგაზრდების ჩათვლით) იოლი ბადე იყო.

სამაგიეროდ, არ გაუმართლა ჩვენს მეორე მონაწილეს - **იაკობ მაქარაშვილს** (74), რომელსაც წილისყრამ პირველივე წრეში ტურნირის უმთავრესი ფავორიტი, რუსთა ყაბარდოელი ფალავანი, ევროპის მოქმედი ჩემპიონი **ანიუარ გედუევი** არგუნა. ყაბარდოელი ფინეთში შარშან თბილისში მოპოვებული ტიტულის დასაცავადაა ჩასული და არც უნდა გაუჭირდეს მიზნის მიღწევა – მისი შემჩერებელი მსოფლიოშიც მხოლოდ ირანელი ფალავანი თუ გვგონია, თორემ ევროპაში ძნელად გვეგულება. ერთადერთი, აზერბაიჯანელი **ჯაბრაილ ჰასანოვი** თუ გაუწევს ჯეროვან წინააღმდეგობას, მაგრამ მას ფინალამდე არ ხვდება. 2011 წლიდან მოყოლებული, გედუევმა მხოლოდ ერთხელ წააგო „გრან პრიზე“ და მესამეზე გავიდა, თორემ სხვა ტურნირები ყველა მოიგო.

### კვარცხლბეკი

#### ვაჟები

**57 კგ.** 1. **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (საქართველო)**; 2. გენადი ტულბეა (მონაკო); 3. გარიკ ბარსეგიანი (სომხეთი), ზოჰაირ ელ უარაკი (საფრანგეთი).

**61 კგ.** 1. ჰაჯი ალიევი (აზერბაიჯანი); 2. ბეკხან გოიგერეევი (რუსეთი); 3. ვასილ შუპტარი (უკრაინა), ანდრეი პერპელიტა (მოლდოვა).

#### ქალები

**53 კგ.** 1. მარია გუროვა (რუსეთი); 2. მარია პრევოლარაკი (საბერძნეთი); 3. ნატალია ბუდუ (მოლდოვა), ანა მარია პავალი (რუმინეთი).

**60 კგ.** 1. იოანა მატსონი (შვედეთი); 2. ჰაფიზე შაჰინი (თურქეთი); 3. ოლგა ბუტკევიჩი (ბრიტანეთი), ტაიბე იუსაინი (ბულგარეთი).

● ტყვიის სროლა

## წარუმატებელი ფინიში

**ლევან ქადაგიძემ** 35-ე ადგილზე დაასრულა გამოსვლა ამერიკულ ფორტ ბენინგში, მსოფლიოს თასზე. ჩვენებური სპორტული პისტოლეტიდან ისროდა და 562 ქულა დააგროვა. სამწუხაროდ, მას ცალკეულ სერიებშიც დაბალი შედეგები ჰქონდა. საუკეთესო მაჩვენებელი 93 ქულაა, ხოლო 90-იან მიჯნას 6 სერიიდან მხოლოდ ორჯერ გადააბიჯა. თუმცა გასაკვირიც არაა, რადგან 50-მეტრიანი სასროლეთი არც გვაქვს – **ნინო სალუქვაძის** ტირში ვარჯიშზე დერეფანში დგება და იქიდან ისვრის.

შეგახსენებთ, რომ ეს ტურნირი წარმატებული აღმოჩნდა თავად ნინო სალუქვაძისთვის – სპორტული პისტოლეტიდან სროლაში ვერცხლის მედალი და სუპერფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

გვერდი მოამზადა
**ირაკლი თავაძემ**

ბიათლი

# საქართველოს პირველი პირველობა

სთფეფ MPTNF

2015 წლის ზაფხულში საქართველოში, პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, ჩატარდება მსოფლიოს ჩემპიონატი თანამედროვე ბიათლსა და ტრიათლში (ცურვა, რბენა, პისტოლეტიდან სროლა). ამ ასპარეზობის მასპინძლობის მოპოვების უფლება საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდისა და ტრიათლონის ეროვნული ფედერაციის (პრეზიდენტი **ვიაჩესლავ მალიშევი**) მიზანმიმართული მუშაობის შედეგია. კარგია, რომ ჩვენში ეს ღონისძიება უკვე იქცა თანამედროვე ხუთჭიდისა და მისი მონათესავე სპორტის სახეობების განვითარების სტიმულად. რაც საქმით დაადასტურა კიდეც თანამედროვე ბიათლში (ცურვა, რბენა) თბილისში გამართულმა საქართველოს ზამთრის პირველმა პირველობამ, რომელიც გამოჩენილი ქართველი თანამედროვე ხუთჭიდელის, თენგიზ ახალშენიშვილის ხსოვნას მიეძღვნა.

გლდანის საცურაო აუზსა და სპორტის უნივერსიტეტის სტადიონზე, 78 სპორტსმენი ასაკობივ ჯგუფად ჩაება ასპარეზობაში, რომელთაგან 24 გოგონა იყო.

**გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს. უფროსი ასაკი (1996-1999წ. დაბ). ვაჟები.** 1. აკაკი ვაშაკიძე (რუსთავი) - 2303 ქულა, 2. დავით შახნაზაროვი (სპორტკლუბი „ტონუსი") - 2161, 3. გიორგი ჯარაშნელი (სპორტკლუბი „დილომი") - 2055; **გოგონები.** 1. თეონა ბოსტაშვილი (რუსთავი) - 2028 ქულა, 2. ელენე უნდილაშვილმა („დილომი") - 1988, 3. ოქსანა ბელოვა (რუსთავი) - 1704.

**2000 წ. დაბ. და უმცროსები. ბიჭები.** 1. გაგა ჩიტაძე (საჩხერე) - 2308 ქულა, 2. გაგა ხიჯაკაძე - 2208, 3. ნიკა ეპიტაშვილი (ორივე - სპორტკლუბი „გლდანი") - 2188; **გოგონები.** 1. ნათია მაჭავარიანი (საჩხერე) - 2508 ქულა, 2. მერი მუმლაძე („ტონუსი") - 2448, 3. ქრისტინე ჭიტაძეს (საჩხერე) - 2420.

მასობრიობაზე ზრუნვა და ღონისძიებები მსოფლიოს ჩემპიონატის ღირსეულად შესახვედრად გაგრძელდება.

**თორნიკე ბაჩეჩილაძე**

აკადემიური ნიჩბოსნობა

# ევროპისკენ მინგეჩაურის გავლით

წლეულს მაისში ბელგია ახალგაზრდა ნიჩბოსანთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადებიან ქართველი სპორტსმენებიც. ერთ-ერთი ეტაპი აკადემიურ ნიჩბოსნობაში საქართველოს საგაზაფხულო პირველობა იყო, რომელიც ფოთში გაიმართა. უფროს ასაკში ერთადგილიანი ნავით ყველას მცხეთელმა **არჩილ ბაიაშვილმა** აჯობა. მეორე-მესამე ადგილებზე **გიორგი კანთელაძე** (ქუთაისი) და **ვალერი კაჭარავა** (ფოთი) გავიდნენ. ამავე ასაკში ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავებით ასპარეზობისას საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. **ოთარ მოთიაშვილი, ნიკოლოზ კანდელაკი** (მცხეთა), 2. **აკაკი სამუშია, ზურაბ კინტრაია** (ფოთი), 3. **გიორგი სინატაშვილი, თორნიკე სინატაშვილი** (ქუთაისი).

**1977-1998 წლებში დაბადებულნი**

**ერთადგილიანი.** 1. ნოდარ მარტოლეკი, 2. ფარნაოზ კაპანაძე, 3. მიხეილ ვოლნისტი (სამივე-მცხეთა). **ორადგილიანი, წყვილმოსასმელიანი.** ნოდარ მარტოლეკი, ფარნაოზ კაპანაძე (მცხეთა), 2. გიორგი ერემაშვილი, საბა ბერაძე (ფოთი), 3. ჯემალ სინატაშვილი, თორნიკე მაჩიტაძე (ქუთაისი).

**1999-2000 წ.წ.**

**ერთადგილიანი.** 1. გიორგი კოპალიანი (ქუთაისი), 2. გიორგი ხუროშვილი (მცხეთა), 3. დავით ლაბაძე (ფოთი). **ორადგილიანი, წყვილმოსასმელიანი.** 1. ნიკოლოზ კლდიაშვილი, ბექა ლომაშვილი (ქუთაისი), 2. გიგი კუპრაძე, გიორგი შეროზია (ფოთი). **ორადგილიანი, გასაშლელი.** 1. ცოტნე პირველაშვილი, ვასილ ჩარკვიანი (მცხეთა), აკაკი სამუშია, ზურაბ კინტრაია (ფოთი), 3. პეტრე ქავთარაძე, ნიკოლოზ ქავთარაძე (ფოთი).

9-10 აპრილს 1997-1998 წლებში დაბადებული ნიჩბოსნები - არჩილ ბაიაშვილი, ნოდარ მარტოლეკი და ფარნაოზ კაპანაძე იტალიის იტალიის საერთაშორისო ტურნირზე გამოვლენ. აპენინებიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოს საგაზაფხულო პირველობის გამარჯვებულებთან ერთად 17-18 აპრილს მინგეჩაურის საერთაშორისო რეგატაში მოსინჯავენ ძალებს.

**ვაჟა დანელია**



არჩილ ბაიაშვილი

სამთო თხილამურები

# თასები გაინაწილეს, წინ ჩემპიონატია

ობიექტური მიზეზების გამო წლეულს სამთო თხილამურებში საქართველოს თასზე მხოლოდ სამი ეტაპი გათამაშდა, რომლის შედეგებითაც სამ ასაკში გამოვლინდნენ პრიზიორები:

**გოგონები**

**2000-2001 წლებში დაბადებულნი.** 1. თამარ ბარბარიანი (გუდაური, 125 ქულა), 2. ქეთი მიქაბერიძე (ბაკურიანი, 107), 3. კატო გოცირიძე (გუდაური, 95). **1998-1999 წ.წ.** 1. მარიამ ჭკადუა (სვანეთი, 110), 2. სალომე კვიციანი (სვანეთი, 107), 3. ზეინაბ ჯორბენაძე (აჭარა, 100). **1997 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. სუსანა გავა (ბაკურიანი, 150), 2. ელზა ჭილაძე (აჭარა, 94), ილონა შავაძე (აჭარა, 78).

**ვაჟები**

**2000-2001 წ.წ.** 1. ლაშა კურტანიძე (ბაკურიანი, 150), 2. დათო ნაზლაიძე (გუდაური, 95), 3. ლევან ბოგიშვილი (ბაკურიანი, 74), **1998-1999 წ.წ.** 1. ბესო ჯაფარიძე (სვანეთი, 115), 2. გიორგი კურტანიძე (ბაკურიანი, 95), 3. ნიკოლოზ ცაგარელი (გუდაური, 90), **1997 წ.** 1. სოსლან ბაკაევი (ბაკურიანი, 135), 2. თენგო მეხეშიძე (აჭარა, 77), 3. დავით სეთურიძე (გუდაური, 75).

12-13 აპრილს სამთო მოთხილამურეები საქართველოს ჩემპიონატის მედლებისთვის იბრძოლებენ.

**ვაჟა დანელია**

# გაზეთი მემატიანე

## დრო, მოვლენები და ფაქტები

პუბლიკაციები ეძღვნება გაზეთ „ლელოსა" და ქართული სპორტის თანაცხოვრების 80 წლის საიუბილეო თარიღს

*დასაწყისი „ლელო" № 16-19, 21-23, 38-39, 41-43, 46-49, 51-52, 55-62*

## ეპიზოდები ლელოს და ქართული სპორტის თანაცხოვრებიდან

### საქართველოს სპორტული თამაშები

1991 წელს, „ლელოს" და სეოკ-ის ერთობლივი ძალისხმევით, საქართველოს პირველი სპორტული თამაშების ჩატარება გადაწყდა. ფაქტობრივად, ამ კომპლექსურ სპორტულ ასპარეზობას უნდა ჩაენაცვლებინა საქართველოს სპარტაკიადა, რომელიც იყო საკავშირო სპარტაკიადის შემადგენელი ნაწილი. თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში მაშინდელ ქაოსს და უმართავ სიტუაციას, ჩანაფიქრის რეალიზებას წინ ელობებოდა უამრავი დაბრკოლება, რომელთა დაძლევის მცდელობაც კი, ჩვენს შესაძლებლობთან შედარებით, სასაცილოდ მოჩანდა. და მაინც, გავრისკეთ იმ იმედით, რომ დასაბამიდანვე სპორტი მშვიდობასთან, ურთიერთპატივისცემასთან, გნებავთ შერიგებასთან არის გაიგივებული და იქნებ ყოველივე ამისთვის მიგვეცა კიდეც დამატებითი სტიმული არეულ საქართველოში.

სამწუხაროდ, გამწვავებულმა სამოქალაქო დაპირისპირებამ საშუალება არ მოგვცა, ჩანაფიქრი ბოლომდე მიგვეყვანა. არადა, ეს იქნებოდა შესანიშნავი შესაძლებლობა საამაყო ტრადიციების შესანარჩუნებლად და ქართული სპორტის ნგრევის პროცესის დაწყების თავიდან ასაცილებლად.

### ნებადართული პროვოკაცია

ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ან უკვე იყო მოქცეული ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში ან ამის საჭიროებას თავად ხედავდა რედაქცია, ძალზე იშვიათი გამონაკლისის შემთხვევაში, გარკვეულ „პროვოკაციაზე" წასვლაც არ იყო გამორიცხული. მაგალითად, დიდხანს იყო სალაპარაკო ... თუმცა, იმ ამბავთან დაკავშირებით, რისი თქმაც ქვემოთ მსურდა, სჯობს **თენგიზ გიორგაძეს** მოვუსმინოთ: „იმ წლებში დიდი გატაცებით ვმუშაობდით ქართული ჭადრაკის წარსულის საკითხებზე, ყველაფერზე ხელი არ მიმიწვდებოდა. დროც არ მრჩებოდა. განსაკუთრებით თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ძველი ისტორიის „ჩიჩქნა" მიჭირდა ჭადრაკზე მასალების მოსაძიებლად. ერთხელ ჩემი გულისტკივილი მიშას გავუზიარე: ალარ ვიცი, როგორ მოვიქცე-მეთქი, რომ ლიტერატორები, ისტორიკოსები და სხვები ვაიძულო დამეხმარონ.

- ეს ძნელი არ უნდა იყოს, - მცირე დუმილის მერე თქვა მიშამ.

- შენ ისეთი რამე დაწერე, რომ მათ თავი ვალდებულად იგრძნონ, გამოგვეხმაურონ. დაწერე, მაგალითად, რომ თითქოს „გრიგოლის ცხოვრებაში" მოხსენიებულია ჭადრაკი.

- კი, მაგრამ, ორივე გრიგოლის - ნოსელისა და ნაზიანზელის დროს ჭადრაკი საერთოდ არ არსებობდა, ეს ხომ მეც ვიცი. ასე რომ, წერილი აშკარად შეცდომიანი იქნება.

- მართალია, მაგრამ ამ წერილს რომ ნახავენ, „ლელოს" ყველა კითხულობს, უთუოდ ხმას აიმაღლებენ, შეცდომას არ გაპატიებენ, - მიუგო მიშამ.

- მაგრამ შენ დაბეჭდავ ასეთ პროვოკაციულ წერილს?

- დავბეჭდავ. პოლემიკა ყველასთვის საინტერესო და სასარგებლო იქნება. ეგ არის, ცოტას გაგვკენწლავენ, მაგრამ ნუ შეშინდები, ჭეშმარიტება მსხვერპლს მოითხოვს, - ღიმილით დაასრულა მიშამ.

„ლელოს" 1966 წლის 28 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა ჩემი წერილი „რომელი გრიგოლის ცხოვრება?" როგორც ველოდით, წერილს მალე გამოეხმაურნენ ცნობილი ახალგაზრდა მეცნიერები-სარგის ცაიშვილი (შემდგომ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი) და გურამ კარტოზია (ცნობილი ენათმეცნიერი). მათი პასუხის დაბეჭდვას „ლელოს" თითქმის ორი გვერდი დასჭირდა. მათ, რა თქმა უნდა, გააბათილეს ჩემი „მოსაზრებები" და, რაც მთავარია, მოიყვანეს თითქმის ყველა ცნობა ჭადრაკზე, რომელიც მოიპოვებოდა ძველ ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში. ამ მასალამ დიდად შემიწყო ხელი ჩემს შემდგომ მუშაობაში".

### ლელოდან საჯარო ბიბლიოთეკაში

2007 წელს გამომცემლობა „სამშობლოდან" რედაქციები ძალმომრეობით რომ გამოგვაძევეს, ყველაზე მეტად დავზარალდით ტრადიციული გამოცემები. „ლელოს" ათწლეულობის განმავლობაში რუდუნებით შექმნილი უნიკალური სპორტული ბიბლიოთეკა გააჩნდა. ეს იყო საბჭოთა კავშირში და უცხოეთში გამომავალი სპორტული ჟურნალ - გაზეთები, წიგნები თუ გამოცემები. ადგილიც არსად გვქონდა შესანახად. **პაატა ნაცვლიშვილმა** მირჩია საჯარო ბიბლიოთეკისთვის გადამეცა, რასაც საჭიროდ მიიჩნევდნენ. ასეც მოვიქეცით და, რაც მნიშვნელოვნად ჩათვალეს, წაიღეს კიდეც. ჩვენ მხოლოდ „ლელოს" კომპლექტები დავიტოვეთ.

ქუჩაში ვიდრე ალმოვჩნდებოდით, „ლელოში" მზადდებოდა იმ დროისთვის გამორჩეული ფორმატის და კონცეფციის ახალი რუსული სპორტული გამოცემა „ფორტუნა ნიუსი". ჩვენი რედაქცია მოსკოველმა კოლეგებმა სწორედ იმის გამო შეარჩიეს, რომ მდიდარი ბობლიოთეკის პატრონები და დიდი გამოცდილების ავტორიტეტული გაზეთი ვიყავით, რაც ორგანიზატორებმა კარგად იცოდნენ. მთავარი კი ალბათ, მაინც ის იყო, რომ ჩვენთან, მოსკოვთან შედარებით, მინიმალური ხარჯებით

**1991 წ. საქართველოს სპორტული თამაშების სიმბოლო**

*მხატვარი: ვახტანგ რურუა*



შეიძლებოდა პროდუქციის მომზადება დასაბეჭდად, გვერდებს ინტერნეტით ვაგზავნიდით პირდაპირ სტამბაში და ეს გაზეთი, მოსკოვის გარდა, კიდევ რუსეთის სხვა მსხვილ ქალაქში ვრცელდებოდა. რამდენიმე თვეში, როცა უფრო განვითარებისთვის ახალი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმის დრო დადგა, გამომცემლებმა ბოდიში მოგვიხადეს და დაგვემშვიდობნენ.

მიზეზი მე გავხდი. რუსეთელი კოლეგები, რომლებიც მიცნობდნენ, გაოცებულან - რედაქტორად ჩემი გვარი რომ უნახავთ დაფიქსირებული. კოლეგები კოლეგებად, მაგრამ კონკურენცია? თურმე რუსეთის კანონმდებლობით იკრძალება ამ ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ხელმძღვანელობდეს უცხო ქვეყნის მოქალაქე. ასე დაესვა წერტილი ამ საქმეს, რომელიც ხანმოკლე იყო, მაგრამ მაინც სასიკეთოდ წაადგა როგორც თბილისელ ჟურნალისტებს, ისე „ლელოს" რედაქციას.

### სტილისტი

მოგეხსენებათ, სტილისტი რედაქციის დიდად დასაფასებელი შემოქმედებითი მუშაკია - უჩინარი მსახური. ერთ დღეს რედაქტორის კაბინეტის კარი მორიდებით შემოაღო შუახნის მამაკაცმა, მდივანი იკითხა. ვუთხარი, რომ დავალებით გავგზავნე სპორტკომიტეტში, მაგრამ ისიც დავსძინე, იქნებ შემეძლო რამეში დახმარება.

- მე სტილისტი ვარ, აქ დამიბარა, - მივიღე პასუხად. გავოცდი, კაცი ქართულად ვერ მეტყველებს გამართულად და... თქვენ რალაც გეშლებათ, - ვეუბნები, მე სტილისტი არ მჭირდება და არც დამივალებია, ბოდიშით, გადაეცით, თავად მომაკითხოს საპარიკმახეროში.

იმ კაცმა რა იცოდა, რომ სტილისტი რედაქციაში მომუშავე ენის სპეციალისტია, მე კი რას წარმოვიდგენდი, რომ პარიკმახერი სტილისტის სახელით გამომეცხადებოდა რედაქციაში.

**თენგიზ ბაჩეჩილაძე**

გაგრძელება იქნება

● ჩოგბურთი



ალექსანდრე მეტრეველი

# უცხოეთის კორტებზე

ორშაბათიდან ქართველი ჩოგბურთელი გოგონები და ვაჟები უცხოეთის კორტებზე ცდიან ძალებს. გუშინდელი ტური ჩვენთვის მაინცდამაინც სახარბიელო არ გამოდგა. ფრანგულ დიშინში 15.000-იანი ტურნირის მე-2 წრეში **მარგალიტა ჩახნაშვილი-რანცინგერი** ეკატერინა იაშინასთან (რუსეთი) დამარცხდა - 6:4, 3:6, 2:6 და შეჯიბრებას გამოეთიშა, რადგან წყვილებში არ მონაწილეობს.

ანტალიის ქალთა 10.000-იან ტურნირში გუშინ არ უთამაშიათ **ეკატერინე გორგოძეს** და **სოფიო ქვაცაბაიას**, სამაგიეროდ, ჭაბუკებმა იასპარეზეს თანატოლთა შორის თურქეთში. გიორგი დათაშვილმა გუშინ მურატ გერეთი (თურქეთი) დაამარცხა - 2:6, 7:5, 6:4. მეორე წრეში იგი მე-4 ნომერ ბრიტანელს - ალექსის კანტერს შეხვდება. ამ უკანასკნელმა პირველ წრეში ელპ სენტეი (თურქეთი) ჩამოიშორა გზიდან - 7:6, 6:2.

წარუმატებლად ითამაშა **ირაკლი მეტრეველმა** - სტარტზე იგი პატრიკ ნემას (სლოვაკეთი) დანებდა - 2:6, 4:6. მეტრეველმა და დათაშვილმა წყვილებში წააგეს თურქებთან - სტეფან კოლნერსა და ელპ სენტეისთან - 6:7, 6:3, 3:10.

ამ ასაკის გოგონებში პირველი ბარიერი წარმატებით დაძლია **მედეა პეტრიაშვილმა** - სტარტზე მან მასპინძელი ირემ გალია კოკენი დაჯაბნა - 6:7, 7:6, 6:3 და მეორე წრეში დანიელი იდა ემილი კრაუზეს მძლეველ (6:2, 6:)1) თურქს, ტურნირზე მე-2 ნომრად განთესილ აილა აკშუს შეხვდება.

წყვილებში ჩვენებური აზა პეტროვასთან (უკრაინა) ერთად ასპარეზობდა, მაგრამ პირველ წრეს ვერ გასცდა - რუსების - სოფია ტრეშჩევას და ელიზავეტა ვორონოვას ტანდემთან დამარცხდა - 4:6, 7:6, 8:10.

ყაზახეთის ვაჟთა 10.000-იან ტურნირის ძირითად ბადეში გამოდიოდნენ გიორგი **ჯავახიშვილი** და **ალექსანდრე მეტრეველი**. ჯავახიშვილმა მეორე წრეში ბულგარელ ალექსანდრ ლაზოვთან პირველიხელი 2:6 დათმო. მეორეს 0:3-ს რომ აგებდა, ტრავმა მიიღო და ბრძოლის გაგრძელება ვერ შეძლო. სამაგიეროდ, ალექსანდრე მეტრეველმა იყოჩაღა - დენის ევსეევი (ყაზახეთი) დაამარცხა 6:2, 6:2. შეგახსენებთ, რომ მეტრეველმა სწორედ ევსეევთან ერთად წააგო წყვილთა პაექრობა სტარტზე.

ერთეულთა თანრიგის მერვედფინალში მეტრეველი ანდრეი პლოტნის (რუსეთი) შეხვდება (სლავმა ჩოგბურთელმა გუშინ მასპინძელ რომან ჰასანოვს აჯობა - 6:3, 6:1). ქართველი და რუსი ჩოგბურთელები აქამდე ორჯერ დაპირისპირებიან ერთმანეთს. 2012 წელს თურქეთში პლოტნიმ გაიმარჯვა - 6:2, 6:3, ხოლო შარშან ყაზახეთში მეტრეველმა მიაღწია წარმატებას - 6:4, 6:2.

ვაჟა დანელია

● კრივი

# სარეიტინგო შეხვედრების მორიგი რაუნდი

ამ დღეებში თბილისის გიორგი კანდელაკის სახელობის კრივის დარბაზმა წლეულს უკვე მესამედ უმასპინძლა სარეიტინგო შეხვედრებს პროფესიულ კრივში. შეჯიბრება ტრადიციულად პროფესიული კრივის ასოციაციის ორგანიზებით ჩატარდა. დედაქალაქის კრივის დარბაზში საასპარეზოდ თავი მოიყარეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქების საკრივო სკოლათა გუნდებმა. სულ რინგზე 14 წყვილი ვიხილეთ. პაექრობები ხარისხობრივი დანაწილების მიხედვით 4 და 6-რაუნდიანი იყო. საგულისხმოა, რომ წლეულს უკვე ჩატარებული სარეიტინგო შეხვედრების ორი საშეჯიბრო დღისგან განსხვავებით, როდესაც ფრედ არაერთი შეხვედრა სრულდებოდა, ამჯერად მხოლოდ ერთხელ დააფიქსირეს მსაჯებმა საზავო შედეგი. დანარჩენ 13 პაექრობაში კი გამარჯვებული გამოვლინდა, რამდენიმე შეხვედრა აშკარა უპირატესობითაც დასრულდა. ასე ვარიანელებმა დავით ტლაშაძემ და ბექა ადუაშვილმა იმარჯვეს. დაძაბულობით გამოირჩეოდა ჯეირანაშვილისა და შალუტაშვილის ორთაბრძოლა, სადაც პირველმა მათგანმა ძნელი, მაგრამ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. აღსანიშნავია კიკბოქსინგში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მფლობელი ვლადიმერ ჯანეზაშვილის მორიგი წარმატებული ასპარეზობა. პროფესიულ საკრივო რინგზე გადასვლის შემდეგ მას ჯერ არც ერთხელ წაუგია. 14 შეხვედრისას რინგზე გამოცდილი გორელი რეფერი გია კობახიძე მსაჯობდა, რომელმაც ამ შეჯიბრებაზე პროფესიულ რინგზე საუბილეო მე-600 შეხვედრა განსაჯა. აღნიშნული მაჩვენებლით კობახიძე საქართველოში საუკეთესოა.

გაგაცნობთ ყველა შეხვედრის შედეგს. მუქი შრიფტით აღნიშნულია გამარჯვებული მოკრივე.

**შედეგები**

54 კგ. მიხეილ სოლომონკინი (გორი) – **გაგი ედიშერაშვილი (თბილისი)**
59 კგ. გიორგი ნებიერიძე (გორი) – **ამირან აბულაძე (ვარიანი)**
59 კგ. ღვთისო თითბერია (სიღნაღი) – გიორგი გოჭოშვილი (გორი) **(ფრე)**
60 კგ. **ნოდარ რობაქიძე (ბორჯომი)** – გიორგი ელიაშვილი (გორი)
62 კგ. ჯაბა შალუტაშვილი (ბორჯომი ) – **ირაკლი ჯეირანაშვილი (გორი)**
64 კგ. თორნიკე გიკაშვილი (გორი) – **ანზორ გამგებელი (ვარიანი)**
66 კგ. **ბექა ელიზბარაშვილი (სიღნაღი)** – მევლუდ მანდარია (თბილისი)
66 კგ. **ვლადიმერ ჯანეზაშვილი (გორი)** – მერაბ გუკასიანი (ბორჯომი)
69 კგ. **ბექა ქორჩილავა (გორი)** – ნიკა წკრიალაშვილი (გორი)
69 კგ. ტატო ქერდიყოშვილი (გურჯაანი) – **დავით ტლაშაძე (ვარიანი)**
69 კგ. **გურამ ყასუმაშვილი (გორი)** – ალეკო არჩვაძე (ვარიანი)
72 კგ. **ზურა მექერიშვილი (თბილისი)** – გიგა ნადირაძე (ვარიანი)
75 კგ. **მიხეილ ხუციშვილი (ვარიანი)** – ლოგმან ბაირამოვი (თბილისი)
80 კგ. **ბექა ადუაშვილი (ვარიანი)** – გიორგი ქერდიყოშვილი (გორი)

მორიგი სარეიტინგო შეხვედრები ამავე დარბაზში აპრილის ბოლოს გაიმართება.

ვასილ ბალახაძე

● კალათბურთი. 20-წლამდელთა ჩემპიონატი

# ორივე ექვსით

**1/2 ფინალი**

**შსს აკადემია-ოლიმპი 59:53**

15:18, 10:12, 22:11, 12:12

**შსს აკადემია:** ქიტოშვილი (4ქ), გოგალაძე, გუგეშაშვილი (3ქ, 5მ), კვანტალიანი (14ქ), მირზიაშვილი (2ქ, 2დ), ლოლიშვილი (18ქ, 3პ), გელაზონია (13ქ, 10მ), დ. როგავა, გორდულაძე (5ქ, 3პ), ლორთქიფანიძე.

**ოლიმპი:** ნადირაძე (11ქ, 12მ, 2დ), გ. ბაქრაძე (2ქ), მიქელაძე (15ქ, 5პ), სამნიაშვილი (4ქ), გოგოძე (6ქ, 4ჩ), იაკობიძე (7ქ, 7მ), ხუციშვილი, ნ. ბაქრაძე, ფხაკაძე (8ქ, 6მ).

**ჰიუნდაი-ქუთაისი 82:88**

21:23, 25:21, 12:16, 16:14, 8:14

**ჰიუნდაი:** სანაძე (22ქ, 6მ, 6პ), ტომარაძე (7ქ, 7მ, 7პ, 4ჩ), ზაქრაძე (29ქ), გიორგაძე (18ქ, 5მ), ქარცივაძე (6მ), ბულიავა, ბიჭაშვილი (6ქ, 12მ, 3ჩ), მამფორია.

**ქუთაისი:** მაცაბერიძე (5ქ, 4პ), გრძელიძე (23ქ, 7მ, 4პ, 3ჩ), ფურცხვანიძე (2ქ), მაჭარაძე (2ქ), ცირეკიძე (22ქ, 22მ, 6პ, 3დ), ნუცუბიძე (9ქ, 2დ), ბირკაია (4ქ, 5მ), გამრეკლიძე (21ქ, 15მ, 3ჩ, 2დ).



ჰიუნდაი-ქუთაისი

საქართველოს 20-წლამდელთა პირველობაზე ნახევარფინალები დაიწყო. როგორც წესი, ამ ეტაპზე თანაბარი ძალის გუნდები იყრიან თავს და შეხვედრებიც ერთი-ორად საინტერესოდ მიმდინარეობს. ამის დასტური გუშინდელი შეხვედრები იყო, ორივე შემთხვევაში ხომ 6-ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა. ერთში სულაც ოვერტაიმი ვიხილეთ.

■ ■ ■

„შსს აკადემიასა“ და „ოლიმპის“ დაპირისპირება თანაბარი გამოვიდა, შსს-ელებმა მხოლოდ მესამე რაუნდში მოახერხეს მცირედით წინ გაჭრა, მეოთხედი 22:11 მოიგეს, რამაც საბოლოო შედეგზე დიდი გავლენა მოახდინა.



შსს აკადემია-ოლიმპი

შესაბამისად, ნახევარფინალში პირველი მატჩი აკადემიელებმა მოიგეს და ფინალამდე ერთი გამარჯვებაღა აშორებთ (სერია ორ მოგებამდეა).

**გიორგი ნიკოლაძე** („შსს აკადემიას“ მთავარი მწვრთნელი):

- უამრავი ხარვეზი გვქონდა, განსაკუთრებით კი შეტევაში. „ოლიმპი“ ძალიან კარგად დაკომპლექტებული გუნდია და ასეთ რთულ თამაშს ველოდი კიდეც. ვფიქრობ, მომდევნო მატჩი კიდევ უფრო დაძაბული იქნება.

ზაზა ცაგარეიშვილი („ოლიმპის“ მთავარი მწვრთნელი):

- პირველ ნახევარში ბიჭებმა მაქსიმალურად შეასრულეს დავალებები, თუმცა მეორე ტაიმში ჩავარდნა გვქონდა და ეს შედეგზეც აისახა. სერია 2 მოგებამდე გრძელდება, განწყობა საბრძოლოა და ყველაფერს გავაკეთებთ სასურველი შედეგის მიღწევისთვის.

■ ■ ■

„ჰიუნდაისა“ და „ქუთაისის“ შეხვედრაში ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. მის დასრულებამდე 3 წამით ადრე ქუთათურები ორი ქულის სხვაობით იგებდნენ, თუმცა **დუდა სანაძის** უმცროსმა ძმამ, სანდრომ ანგარიშის გამთანაბრებელი ტყორცნა შეასრულა და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა.

დამატებით დროში მეტი ენერგია აღმოაჩნდა „ქუთაისს“ და 88:82 გაიმარჯვა. მატჩის ბომბარდირი ჰიუნდაელი **ლუკა ზაქრაძე** გახდა - 29 ქულა, ხოლო ქუთათურმა **გიორგი ცირეკიძემ** მეტად ეფექტური სტატისტიკა ჩაიწერა: 22 ქულა, 22 მოხსნა, 6 პასი, 2 ჩაჭრა, 3 დაფარება.

**ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი** („ჰიუნდაის“ მთავარი მწვრთნელი):

- ვულოცავ „ქუთაისს“ დამსახურებულ გამარჯვებას. ამ გუნდში მწვრთნელთა შტაბი და ყველა მოთამაშე ღირსეული ქუთაისელია.

**შოთა ჯავახიშვილი** („ქუთაისის“ მთავარი მწვრთნელი):

- ამ თამაშისთვის სერიოზულად ვემზადებოდით და სასიხარულოა, რომ გამარჯვება მოვიპოვეთ. ბიჭებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ გამოცდილი და ძლიერი მეტოქე დაგვემარცხებინა. სერიის განმეორებითი მატჩი ქუთაისში გვაქვს და მაქსიმუმს გავიღებთ ფინალური საგზურის მოსაპოვებლად.

■ ■ ■

„ოლიმპისა“ და „შსს-აკადემიას“ მორიგი დაპირისპირება დღეს თბილისში 15:15 საათზე დაიწყება, ხოლო „ქუთაისი“ „ჰიუნდაის“ 6 აპრილს იმერეთში უმასპინძლებს.

ვაჟა სიმონიშვილი



● საქართველოს ჩემპიონატი

# ყველა პროგნოზი შეიძლება გაქარწყლდეს


არმია-არმაზი

**საქართველოს ჩემპიონატის საგაზაფხულო ეტაპზე ყველაფერი თავდაყირა დადგა. ლიდერები თამაშს თამაშზე აგებენ და მდევრებმა, არათუ წამოეწივნენ, არამედ გადაასწრეს კიდეც. შესაბამისად, ქვეყნის ჩემპიონმა თბილისის „ლელომ“ სატურნირო ცხრილში პირველი პოზიცია დაკარგა და ახლა მეორე ადგილზეა.**

წლევანდელი სეზონი მართლაც საინტერესოდ მიმდინარეობს. პლეი ოფში მოხვედრისთვის და, შესაბამისად მედლებისთვის, ერთბაშად შვიდი გუნდი იბრძვის. ამათგან ჩემპიონობის მოპოვებაც კი ნებისმიერს რეალურად შეუძლია. საკმაოდ მწვავე ბრძოლა იყო უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის მებრძოლთა შორისაც. იქ ამჟამადაც ბოლომდე არაფერია გარკვეული. თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე ცუდ მდგომარეობაში თბილისის „აკადემიაა“.

მოდით, სწორედ ამ გუნდზე საუბრით დავიწყოთ. „აკადემია“ ერთ-ერთი თვითმყოფადი ქართული გუნდია. მისი აღზრდილები მუდამ უხვად იყვნენ საქართველოს სხვადასხვა ასაკის ნაკრებებში. დღესდღეობით ჩვენს ეროვნულ გუნდში ამ კლუბის აღრზდილი კაპიტანი **ირაკლი მაჩხანელი** და ახალგაზრდა შუამარბი, ჩვენი რაგბის მომავლის იმედი **მერაბ შარიქაძეა.**

ცხადია, ასეთი გუნდის პირველ ლიგაში დაქვეითება სამწუხარო იქნება. კიდევ უფრო ცუდია, რომ მიუხედავად ასაკობრივი გუნდების წარმატებისა, კლუბმა ვერაფრით მოძებნა პარტნიორი, რომელიც ელემენტარული პრობლემების მოგვარებაში დაეხმარებოდა. გუნდი წლიდან წლამდე მოთამაშეებისგან იცლებოდა და აი ასეთ, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა.

არადა, მეორე წრეში „აკადემიას“ ფორტუნამაც შეაქცია ზურგი. გუნდი თითქმის არც ერთ მატჩში იმსახურებდა ნაგებას. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ აკადემიელებმა 7 და ნაკლები ქულით მარცხისთვის 8 პრემიალური ქულა აიღეს. ამ რვა თამაშიდან მხოლოდ ორიც რომ მოეგოთ...

რეგულარული გათამაშების დასრულებამდე „აკადემიას“ ორი მატჩი აქვს გასამართავი. ის ჯერ თბილისის „არმაზს“ ეთამაშება, რომელიც პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვის, მერე კი სტუმრად დაუპირისპირდება ქუთაისის „აიას“, რომლის საკუთარ კედლებში დამარცხება იოლი საქმე არავისთვისაა.

ახლა მოქმედ ჩემპიონზეც ვთქვათ. „ლელომ“ სანაკრებო ბატალიებით გამოწვეული შესვენების შემდეგ ორი მატჩი გამართა და ორივეში დამარცხდა. **ლევან მაისაშვილის** სამწყსომ ჯერ „ლოკომოტივთან“ წააგო, მერე კი „ჯიქებთან“ ვერას გახდა. ლელოელებმა ბოლოს ორი თამაში მიჯრით როდის წააგეს, ძნელი გასახსენებელია. კრიზისზე ლაპარაკი, ალბათ, ნაადრევია. გუნდში ეროვნული ნაკრების წევრები და მისი კანდიდატები საკმაოდ არიან.

ისიც უნდა ითქვას, რომ გუნდს აშკარად დაეტყო ცხრა ნომერი **გიორგი კაჭარავას** არყოფნა, რომელიც ტრავმირებულია და თანაგუნდელებს ვერაფრით ეხმარება. სპეციალისტების აზრით, „ლელოს“ ეს ჩავარდნა დროებითი მოვლენაა. პლეი ოფის დროს ლელოელები მობილიზებას შეძლებენ და ჩემპიონობის უმთავრესი კანდიდატები იქნებიანო. რამდენად შეესაბამება მათი ეს მოსაზრება სინამდვილეს, ბოლო ტურებში გაირკვევა, რომელშიც ჩემპიონები უმთავრეს კონკურენტებს ქუთაისის „აიას“ და „არმიას“ დაუპირისპირდებიან.

„ჯიქებმა“, სანამ „ლელოს“ დაამარცხებდა, „არმიას“ სძლია. მაშინ ეს თითქოს სენსაციად მოინათლა, მაგრამ უკვე ლელოელებთან დაპირისპირებაში **გიორგი ამირხანაშვილის** გაწვრთნილებმა დაამტკიცეს, რომ უმაღლესი ლიგის სრულფასოვანი წევრები არიან და ნებისმიერი მეტოქის ძლევა ძალუძთ. ბოლომდე თავდადებით ბრძოლა მათი ერთ-ერთი ყველაზე მკვეთრად გამორჩეული თვისება იყო, რასაც შესანიშნავი განსწავლულობა დაემატა. ცხადია, ამ გუნდის ხილვა პლეი ოფში კიდევ უფრო საინტერესო იქნება. არ გვგონია, მათ ამბიციას მეექვსე ადგილი აკმაყოფილებდეს. რამდენად საფუძვლიანია ეს ამბიციები, ამას მომავალი მატჩები გვიჩვენებს.

„ჯიქებს“ რეგულარულ გათამაშებაში ერთი შეხვედრალა დარჩა გასამართავი. ბოლო ტურში ის შინ მიიღებს ერთ-ერთ აუტსაიდერ „ბათუმს“, რომლის ძლევაც, წესით, არ უნდა გაუჭირდეს.

საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი გუნდი თბილისის „ლოკომოტივი“ მიზნისკენ ნელ-ნელა, ზედმეტი ხმაურის გარეშე მიიწევს. სეზონის წინ რკინიგზელებმა წამყვანი მოთამშეები დაკარგეს. თუმცა, **თემურ ზენდიაშვილმა** მის ხელთ არსებული რესურსით მაინც შეძლო ლიდერებში ადგილის დამკვიდრება. მეტიც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ფორმაციის „ლოკომოტივს“ ჩემპიონობისთვის ბრძოლაც რეალურად შეუძლია. თუმცა, ცხადია, წინასწარ რაიმეს მტკიცება უადგილო იქნებოდა.

რეგულარული გათამაშების ფინიშის სწორს ოდნავ უკლო თამაშს თბილისის „არმაზმა“. გუნდს ისედაც მოკლე სათადარიგო სკამი ჰქონდა და ხშირმა ტრავმიანობამ საგრძნობლად დაატყო ხელი. „არმიასთან“ მატჩში არმაზელებმა პირველ ტაიმში ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტს არაფერი დაუთმეს. პირიქით, სჯობნიდენ კიდეც, მაგრამ ძალა მხოლოდ ორმოცი წუთის განმავლობაში ეყოთ. მეორე ნახევარში მოედანზე მხოლოდ „არმია“ თამაშობდა.

პრობლემები „არმაზს“ მომდევნო ორ ტურში კიდევ უფრო მოემალება, რადგან გუნდს ცხრა ნომერი **ირაკლი აბუსერიძე** და მთავარი მწვრთნელი **დავით ვართანიანი** დააკლდება. ისინი საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებთან ერთად ჰონგ კონგში გაემგზავრნენ, სადაც „უმცროსი ბორჯღალოსნები“ მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფასთვის იბრძოლებენ.

ბოლნისის „ყოჩებმა“, ფაქტობრივად, პროგრამა მინიმუმი შეასრულა. ამ გუნდმა კრიზისი უკვე დასძლია და პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნა რუსთავის „ხარებმა“. თუმცა, დარჩენილ სამ ტურში ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ყველა პროგნოზი შეიძლება გაქარწყლდეს.

**XVI ტური**

**ბათუმი-ყოჩები, აია-არმია, არმაზი-ლელო, ლოკომოტივი-ხარები.**

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არმია | 15 | 10 | 1 | 4 | +175 | 51 |
| 2.ლელო | 15 | 10 | 0 | 5 | +207 | 50 |
| 3.ლოკომოტივი | 15 | 11 | 0 | 4 | +71 | 48 |
| 4.აია | 15 | 10 | 0 | 5 | +118 | 47 |
| 5.ყოჩები | 15 | 10 | 1 | 4 | +57 | 46 |
| 6.ჯიქები | 17 | 8 | 2 | 7 | +45 | 43 |
| 7.არმაზი | 15 | 8 | 0 | 7 | -53 | 35 |
| 8.ხარები | 16 | 4 | 0 | 12 | -174 | 19 |
| 9.ბათუმი | 15 | 3 | 0 | 12 | -225 | 15 |
| 10.აკადემია | 16 | 1 | 0 | 15 | -191 | 12 |


ლოკომოტივი-ჯიქები

● IRB-ის ერთა თასი


საქართველო-„მზარდი ირლანდია“ 2013 წელი

# ივნისი ტესტებით დახუნძლულია

მიმდინარე წლის ივნისში, ტრადიციული ტესტ მატჩების გარდა, სანაკრებო ბატალიები უხვად გაიმართება სხვადასხვა რანგის ტურნირებში. რაგბის საერთაშორისო საბჭოს ოფიციალური ვებ გვერდის ცნობით, საკვანძო მოვლენა, რომელიც IRB-ის პროგრამით ხორციელდება, საქართველოსა და რუმინეთში გამართული საერთაშორისო ტურნირებია.

ბუქარესტში IRB-ის ერთა თასზე რუმინეთის, რუსეთისა და ურუგვაის ეროვნულ ნაკრებებთან ერთად „მზარდი ირლანდია“ ითამაშებს. „თბილისის თასზე“ კი, ჯერჯერობით „ბორჯღალოსნების“ ორი მეტოქეა ცნობილი. ესენია: არგენტინისა და იტალიის A ნაკრებები. მესამე პორტუგალია ან ესპანეთის ეროვნული გუნდი იქნება.

*„უკვე ნათლად ვხედავთ, რა პროგრესი მოგვიტანა ივნისში ჩვენ მიერ დაარსებულმა ტურნირებმა. ეჭვი არ მეპარება, რომ ეს შეჯიბრებები წლეულსაც უაღრესად დაძაბულ ბრძოლებში ჩაივლის. IRB ვალდებულებას იღებს ყველანაირი დახმარება გაუწიოს მეორე დონის გუნდებს, რათა პირველი დონის გუნდებთან ჩამორჩენა შეამცირონ. საამისოდ ჩვენ 3,3 მილიონი გირვანქა სტერლინგი გავიღეთ. ივნისის ტურნირები მიზნის მიღწევაში დიდ დახმარებას გაგვიწევს“* – თქვა IRB-ის რაგბის განვითარების მენეჯერმა **მარკ იგანმა.**

● ევროთასები

# ჰაინეკენის თასის აღსასრული

**ევროპული სარაგბო ტურნირების, „ჰაინეკენის თასისა“ და „ემლინ ჩელენჯ კაპის“ მომავალი აქამდე სქელი ბურუსით იყო მოცული. ამ თემაზე მიმდინარე მოვლენებს და იმ წინააღმდეგობებს, რაც მხარეებს შორის არსებობს, ფრანგულმა ყოველდღიურმა სარაგბო გაზეთმა „მიდი ოლიმპიკმა“ ახადა ფარდა.**

ფაქტობრივად, უკვე გადაწყვეტილია, რომ „ჰაინეკენის თასისა“ და „ემლინ ჩელენჯ კაპის“ გათამაშება არსებობას შეწყვეტს. რანგით პირველ ტურნირზე 24 გუნდის ნაცვლად 20 ითამაშებს. ამდენივე კლუბი ჩაერთვება რანგით უფრო დაბალ შეჯიბრებაში.

წესით, ყოველივე ოფიციალურად ამ დღეებში უნდა გამოცხადებულიყო, მაგრამ ორი წამყვანი ქვეყნის, ინგლისისა და საფრანგეთის რაგბის კავშირების პოზიციამ პროცესი დაამუხრუჭა. ევროთასების სატელევიზიო უფლებების თემა მუდმივად დავის საგანი იყო. საფრანგეთის რაგბის კავშირს ხელშეკრულება Sky BT-სთან აქვს გაფორმებული 2017 წლამდე და მისი გაწყვეტის შემთხვევაში საჯარიმო სანქციები ელის.

2012 წელს ბრიტანულმა კლუბებმა ცალმხრივად, ევროთასების ორგანიზატორების გარეშე გააფორმეს ხელშეკრულება British Telecom-თან. ეს ორი მაუწყებელი ძველი კონკურენტები არიან ბრიტანულ ბაზარზე და მათ შორის დაპირისპირება, ცხადია, პრობლემებს იწვევს. თუმცა, სარწმუნო წყაროს ცნობით, მათ შეძლეს შეთანხმების მიღწევა.

თუმცა, საბოლოო შეთანხმებაზე ხელის მოწერის წინ საფრანგეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **პიერ კამიუმ** გარკვეული დრო ითხოვა, რათა კონტრაქტის ყველა პუნქტი დეტალურად განიხილოს. პრობლემები აქვს იტალიის რაგბის ფედერაციასაც.

ერთი სიტყვით, ევროპული საკლუბო ტურნირების საორგანიზაციოდ გადაწყვეტილია შეიქმნას ახალი სტრუქტურა, რომლის შტაბ ბინაც შვეიცარიის პატარა ქალაქ ნეუშატელში განთავსდება. როგორც უკვე ვთქვით, პირობითად პირველ დივიზიონში 20 გუნდი ითამაშებს. ამდენივე კლუბი ჩაერთვება მეორე დივიზიონის გათამაშებაში. თუმცა, აქ ბრიტანული, ფრანგული და იტალიური კლუბების გარდა ორი სხვა ქვეყნების წარმომადგენელი იქნება. კერძოდ, FIRA AER ყოველ სექტემბერში ჩაატარებს შესარჩევ ტურნირს, რომელშიც კონტინენტის 10 გუნდი იასპარეზებს. აქ ორი საუკეთესო ევროთასების გათამაშებაში ჩაებმება.

აღსანიშნავია, რომ უკვე შეთანხმებულია შემოსავლის გაყოფის პრინციპი. მოგების 25 პროცენტს ფრანგული კლუბები მიიღებენ, ამდენივე ერგებათ ინგლისელებს, დანარჩენ 50 პროცენტს კი კელტთა ლიგაში მოთამაშე გუნდები, მათ შორის იტალიელებიც გაინაწილებენ. ეს თანხა, სავარაუდოდ, სეზონში 25 მილიონი გირვანქა სტერლინგი იქნება თითო ფედერაციაზე.

ჯერჯერობით არაფერია ნათქვამი, რას მიიღებენ ქართული კლუბები იმ შემთხვევაში, თუ ისინი ევროთასების საკვალიფიკაციო ეტაპს დაძლევენ.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

კალათბურთი.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი



კევინ დურანტი

# ჯეფერსონისა და დურანტის მარტი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ მარტის შედეგები შეაჯამა და ტრადიციულად, თვის ლაურეატები გამოაცხადა.

„ფილადელფიას" გამთამაშებელი **მაიკლ კარტერ-უილიამსი** და „მინესოტას" ცენტრი **გორგი დიენგი** მარტის საუკეთესო ახალბედები გახდნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ კონფერენციებში.

კარტერ-უილიამსი საუკეთესო იყო ახალბედებს შორის ქულების (14.9), მოხსნების (8.4), პასებისა (6.5) და ჩაჭრების (1.75) რაოდენობით. მან აგრეთვე სამმაგი-დუბლი შეასრულა „ნიუ იორკთან" მატჩში (23 ქულა, 13 მოხსნა, 10 პასი). რაც შეეხება დიენგს, მან თვე შემდეგი სტატისტიკური მონაცემებით დაასრულა: 8.6 ქულა და 8.3 მოხსნა.

მარტში საუკეთესო ახალბედას ტიტულზე პრეტენზიას აცხადებდნენ: **მეისონ პლამლი** („ბრუკლინი"), **ტიმ ჰარდუეი** („ნიუ იორკი"), **ვიქტორ ოლადიპო** („ორლანდო"), **ბენ მაკლემორი** („საკრამენტო") და **ტრეი ბერკი** („იუტა").

■ ■ ■

აღმოსავლეთისა და დასავლეთის კონფერენციებში საუკეთესო მწვრთნელები გახდნენ, შესაბამისად, **ჯეისონ კიდი** („ბრუკლინი") და **გრეგ პოპოვიჩი** („სან ანტონიო").

„ნეტსი" 16 მატჩში 12 მოგებით (75 პროცენტი) აღმოსავლეთში საუკეთესო გუნდი გახდა, თან მან ცხრიდან ცხრა მატჩში გაიმარჯვა საკუთარ არენაზე. ამის წყალობით, კიდი მეორედ გახდა თვის საუკეთესო მწვრთნელი. პოპოვიჩმა „სპურსი" მარტში ფანტასტიკურ შედეგამდე მიიყვანა - 16 მოგება და 0 წაგება და საკუთარი გუნდი დასავლეთ კონფერენციაში პირველ ადგილზე გადაიყვანა.

ამ ტიტულზე ნომინანტები იყვნენ: **სტივ კლიფორდი** („შარლოტი"), **კევინ მაკჰეილი** („ჰიუსტონი"), **დოკ რივერსი** („კლიპერსი"), **მაიკ ვუდსონი** („ნიუ იორკი"), **სკოტ ბრუქსი** („ოკლაჰომა"), **ჯეფ ჰორნაჩეკი** („ფინიქსი") და **დუეინ კეისი** („ტორონტო").

■ ■ ■

დაბოლოს, თვის საუკეთესო მოთამაშეებად გამოცხადდნენ: აღმოსავლეთში „შარლოტის" ცენტრი **ელ ჯეფერსონი** და დასავლეთში - „ოკლაჰომას" ფორვარდი **კევინ დურანტი**.

გასულ თვეში ჯეფერსონი მეხუთე იყო ლიგაში ქულების რაოდენობით (24.7) და მეცხრე მოხსნებში (10.6). „შარლოტმა" 16 მატჩიდან 9 მოიგო და შეინარჩუნა პლეი ოფში გასვლის შანსი. მარტში დურანტის მაჩვენებლები იყო 34.5 ქულა (ლიდერი ლიგაში), 6.7 მოხსნა და 5.9 შედეგიანი პასი. „თანდერს" მარტში 10 მოგება და 4 წაგება ჰქონდა.

მარტში საუკეთესო მოთამაშის ტიტულზე პრეტენზიას აცხადებდნენ: **ჯეიმს ჰარდენი** („ჰიუსტონი"), **ბლეიკ გრიფინი** („კლიპერსი"), **ლებრონ ჯეიმსი** („მაიამი"), **კარმელო ენტონი** („ნიუ იორკი"), **გორან დრაგიჩი** („ფინიქსი") და **კავაი ლეონარდი** („სან ანტონიო").

# მიროტიჩის არჩევანი: რეალი თუ ჩიკაგო?

ესპანური პასპორტის მქონე ჩერნოგორიელ კალათბურთელს **ნიკოლა მიროტიჩს**, რომელიც მადრიდის „რეალში" თამაშობს, ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს - დარჩეს „სამეფო კლუბში" თუ ამ სეზონის შემდეგ გადავიდეს „ჩიკაგო ბულზში".

„ჩემთვის ყველაზე მთავარი - ამბიციაა. აქ არაფერ შუაშია ფინანსები. იმას გავაკეთებ, რასაც გული მიკარნახებს. „რეალიდან" და „ჩიკაგოდან" იმ ვარიანტს ავირჩევ, რომელიც მომავალში პროგრესირების საშუალებას მომცემს. ჯერჯერობით ვერ ჩამოვყალიბდი, მაგრამ უახლოეს ხანში მივიღებ გადაწყვეტილებას. „რეალის" წარმომადგენლები უკვე დაუკავშირდნენ ჩემს აგენტს, მაგრამ ახალ კონტრაქტთან დაკავშირებით შეთანხმება არ არის მიღწეული. ჩემი გადაწყვეტილება ევროლიგაზე ნაჩვენებ შედეგზე არ იქნება დამოკიდებული. ეს უფრო პირადია. იმედია, შევძლებთ ევროლიგის მოგებას. მაგრამ ისე არ დავაყენებ სიტუაციას, როცა ვიტყვი, რომ NBA-ში მხოლოდ მაშინ გადავალ, როცა ევროლიგას მოვიგებ", - განაცხადა მიროტიჩმა გაზეთ AS-თან კომენტარში.



ნიკოლა მიროტიჩი

# კიდი უკვე პლეი ოფშია

„ბრუკლინი" იმდენად კარგად თამაშობს საკუთარ მოედანზე, რომ ძლიერმა „ჰიუსტონმაც" ვერ შეძლო **ჯეისონ კიდის** გუნდის საშინაო მოგებათა სერიის შეწყვეტა, რომელიც ახლა 14 გამარჯვებას უდრის და ეს ახალი საკლუბო რეკორდია. დასავლეთი კონფერენციის ერთ-ერთი ლიდერის დამარცხებით, „ნეტსმა" უკვე გაინაღდა პლეი ოფში თამაში, მაგრამ გააგრძელებს ბრძოლას „ჩიკაგოსთან" და „ტორონტოსთან" აღმოსავლეთში განთესვის მესამე ნომრის მოსაპოვებლად.

„როკეტსს", რომელიც **ტერენს ჯონსის, დუაიტ ჰოვარდისა** და **პატრიკ ბევერლის** გარეშე თამაშობდა, რეზერვისტების დახმარება არ ეყო: იმ დროს, როცა **ომერ აშიქმა** ფანტასტიკური თამაში აჩვენა და 12 ქულას სარეკორდო 23 მოხსნა დაუმატა, ახალგაზრდმა ლიტველმა **დონატას მოტეიუნასმა** მხოლოდ რვა წუთი ითამაშა და ოთხი შეცდომის დაშვება მოასწრო.

თავის მხრივ, „ნეტსი" კინაღამ დაალალატეს მისმა სნაიპერებმა, როცა 25-დან მხოლოდ 6 სამქულიანი ჩააგდეს (გამონაკლისი იყო გასული კვირის საუკეთესო მოთამაშე **ჯო ჯონსონი**, რომელმაც ოთხი შორეული ტყორცნა მოათავსა კალათში), მაგრამ კარგად მუშაობდა გუნდური შეტევა: ერთბაშად ექვსმა კალათბურთელმა დააგროვა 10 ან მეტი ქულა, რეალიზაციის პროცენტმა კი 50-ს გადააჭარბა.

■ ■ ■

ვერც **დირკ ნოვიცკის** გმირობა (რვიდან ექვსი სამქულიანი გამოიყენა) და ვერც „გოლდენ სტეიტის" შემადგენლობაში **დევიდ ლისა** და **ენდრიუ ბოგუტის** არყოფნა დაეხმარა „დალასს" საჭირო გამარჯვების მოპოვებაში და ტეხასური გუნდი, ახლა, სერიოზული საფრთხის წინაშეა - დარჩეს პლეი ოფის საგზურის გარეშე.

**კლეი ტომპსონმა** შეძლო „ნიუ იორკთან" ჩაგდებული მატჩის შემდეგ რეაბილიტაცია - ყველა დისტანციიდან სოლიდური პროცენტით ისროდა და 27 ქულა დააგროვა. ვეტერანმა **ჯერმენი ო'ნილმა** კი შეავსო ბოგუტისა და ლის არყოფნით გამოწვეული ვაკუუმი და მეტოქის მწვრთნელისგან რიკ კარლაილისგანაც კი შექება დაიმსახურა.

„გოლდენ სტეიტის" ცენტრი მატჩის დასკვნითი ნაწილის გმირი გახდა. სირენამდე 28 წამით ადრე, ჯერმეინმა ფარქვეშიდან ზუსტი სროლით გაათანაბრა ანგარიში, „დალასის" საპასუხო შეტევაში კი **მონტა ელისის** სროლა დაბლოკა. კალიფორნიულ კლუბს ბოლო იერიშისთვის 11 წამი დარჩა და ეს დრო სავსებით საკმარისი აღმოჩნდა: ოვერტაიმის დასრულებამდე რამდენიმე წამით ადრე, **სტივენ კარიმ** საშუალო დისტანციიდან ჩააგდო. სხვათა შორის, კარი ბოლო 24 წამში ჩაგდებული გამარჯვების ტყორცნების რაოდენობით გაუთანაბრდა „პორტლენდის" გამთამაშებელ **დემიენ ლილარდს** - მათ 4-4 ასეთი სროლა აქვთ.

■ ■ ■

ინდივიდუალური მიღწევებით გამორჩეული იყო „ლეიკერსისა" და „პორტლენდის" მატჩი. **ნიკ იანგმა** ამ სეზონში რეზერვისტებისთვის შედეგიანობის რეკორდი დაამყარა. მან „ბლეიზერსის" კალათში 40 ქულა ჩააგდო, თუმცა ბოლო მეოთხედში გაუჭირდა და პარტნიორებისგან დახმარებას ვერ ეღირსა. გარდამტეხი მომენტი იყო მეოთხე მეოთხედის სტარტზე, 28 წამის ინტერვალით **დამიენ ლილარდის** ორი ზუსტი სამქულიანი, რომლის მწყალობითაც **ტერი სტოტსის** შეგირდებმა 13-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს. ამის შემდეგ, „პორტლენდმა" ცხრა ქულაზე ახლოს არ მიუშვა მეტოქე.

ცნობისთვის, ლილარდი პირველი მოთამაშე გახდა „ბლეიზერსის" ისტორიაში, ვინც სეზონში 200 სამქულიანი ჩააგდო, **ლამარკუს ოლდრიჯი** კი, რომლის დაბრუნების შემდეგ, „პორტლენდმა" ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო, კინაღამ სამმაგი დუბლის ავტორი გახდა.

**ბრუკლინი-ჰიუსტონი 105:96**

29:24, 25:27, 29:28, 22:17

ბ: ჯონსონი(32), ლივინგსტონი (17), ბლეტჩი (13), უილიამსი (12), პლამლი (11), ტელეტოვიჩი (10).

ჰ: ჰარდენი (26), პარსონსი (16), ლინი (16), აშიქი (12+23 მოხსნა), გარსია (10).

**დალასი-გ. სტეიტი 120:122 (ო)**

21:30, 41:23, 19:32, 27:23, 12:14

დ: ნოვიცკი (33+11 მოხსნა), ელისი (27), რაიტი (14), კარტერი (12), ჰარისი (10), მერიონი (8+10 მოხსნა).

გ-ს: ტომპსონი (27), კარი (23+10 პასი), ო'ნილი (20), კროუფორდი (19), იგუოდალა (16).

**ლეიკერსი-პორტლენდი 112:124**

27:29, 34:34, 22:28, 29:33

ლ: იანგი (40), ბეიზმორი (17), კამანი (12), ნეში (10+10 პასი).

პ: ლილარდი (34+8 პასი), ოლდრიჯი (31+15 მოხსნა), ბატუმი (16), ლოპესი (10+10 მოხსნა), მეტიუზი (10).



ბრუკლინი-ჰიუსტონი. დერონ უილიამსი ჯეიმს ჰარდენს უტევს

## ამბები

**კალათბურთი**

### პეტკოვიჩს ჩავარდნა არ აპატიეს

ლიტვის მეორე გუნდმა „ლეტუვოს რიტასმა" თანამდებობიდან გაათავისუფლა მთავარი მწვრთნელი **ალექსანდრ პეტკოვიჩი**. სპეციალისტმა ამ პოსტზე ოთხი თვე იმუშავა, მისი განთავისუფლების მიზეზი კი ლიტვის თასის „ოთხთა ფინალში" ჩავარდნა იყო. ამ ტურნირზე „ლეტუვოს რიტასმა" „პრენაიუსთან" წააგო.

ლიტვური გუნდი **დაინიუს ადომაიტისმა** ჩაიბარა, რომელიც პეტკოვიჩის მისვლამდე დროებითი მწვრთნელის როლს ასრულებდა.

### ტომიჩი - MVP ზედიზედ მეორე

„ბარსელონას" ცენტრი **ანტე ტომიჩი** ზედიზედ მეორედ აღიარეს ევროლიგაზე თვის საუკეთესო მოთამაშედ, - იტყობინება კლუბის ოფიციალური ვებგვერდი. ეს პირველი მსგავსი მიღწევაა ტურნირის ათწლიანი ისტორიაში.

მარტში 27 წლის ტომიჩი საკუთარი გუნდს ოთხიდან ოთხი შეხვედრის მოგებაში დაეხმარა. ის საშუალოდ 14 ქულასა და 8 მოხსნას აგროვებდა, ხოლო სარგებლიანობის საშუალო კოეფიციენტი 21-ს შეადგენდა.

### კაზინსი მუსიკოსიც ყოფილა

„საკრამენტო კინგზის" ცენტრი **დემარკუს კაზინსი** უახლოეს დროში R&B-ის სტილში მუსიკალურ ალბომს გამოუშვებს. კალათბურთელის ფსევდონიმია - Boogie Smooth.

სხვათა შორის, კაზინსის პირველი სინგლის - Misunderstood-ის მოსმენა კალათბურთელის ოფიციალურ ვებგვერდზეა შესაძლებელი.

**ჩოგბურთი**

### იაპონიამ ნიშიკორი დაკარგა

იაპონიის პირველი ჩოგანი **კეი ნიშიკორი** ვერ შეძლებს დევისის თასის მეოთხედფინალში ჩეხეთის ნაკრების წინააღმდეგ თამაშს. ეს შეხვედრა ტოკიოში 4-6 აპრილს გაიმართება. მაიამის მასტერსის ნახევარფინალისტის უთამაშებლობის მიზეზია ფეხის ტრავმა, რის გამოც მან **ნოვაკ ჯოკოვიჩის** წინააღმდეგ კორტზე გასვლა ვერ შეძლო.

უკვე ცნობილია, რომ ნიშიკორის იაპონიის ნაკრებში 21 წლის **ტარო დანიელი** შეცვლის. შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ მეოთხედფინალში ასევე არ ითამაშებს ჩეხების ლიდერი **ტომაშ ბერდიხი**.

### მალისემ ფლიპკენსი ჩაიბარა

მსოფლიოს ყოფილი მე-19 ჩოგანი, ბელგიელი **ქსავიე მალისე**, რომელმაც კარიერა გასული სეზონის ბოლოს დაასრულა, ბელგიის საუკეთესო ჩოგბურთელის **კირსტენ ფლიპკენსის** მწვრთნელი გახდება.

ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც 2002 წლის უიმბლდონის ნახევარფინალისტმა თანამშრომლობა შეწყვიტა კიდევ ერთ ბელგიელ ჩოგბურთელთან **რუბენ ბემელმანსთან**.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## ჩოგბურთი. ტურნირები

# სერენამ 78-თან წააგო

ამ კვირას, ქალთა პროფესიულ ტურში ორი ტურნირი იმართება. ერთ-ერთს მასპინძლობს ამერიკის ქალაქი ჩარლსტონი, სადაც შარშანდელ ტიტულს იცავდა მსოფლიოს პირველი ჩოგანი **სერენა უილიამსი**. თუმცა, გასულ კვირას მაიამის უმაღლესი კატეგორიის ტურნირის გამარჯვებული პირველივე წრიდან გამოეთიშა ბრძოლას. მან საათსა და 25 წუთში, ორ სეტში - 4:6, 4:6 წააგო სლოვაკ **იანა ჩეპელოვასთან**, რომელიც მსოფლიოს კლასიფიკაციაში 78-ე ადგილს იკავებს. აღსანიშნავია, რომ 20 წლის ჩეპელოვამ კარიერაში პირველად მოუგო რეიტინგის TOP15-ის წარმომადგენელს.

სერენამ ამ მატჩი სამი ბრეიკი შეასრულა და სამი ორმაგი შეცდომა დაუშვა. ჩეპელოვამ ხუთი ბრეიკ-პოინტის რეალიზება შეძლო და ერთხელაც არ დაუშვია შეცდომა თავის მოწოდებაზე.

*„მე მგონი ყველასთვის გასაგებია, რომ უბრალოდ თამაში არ გამომივიდა. მიუხედავად ამისა, უნდა შევაქო მეტოქე, რომლის შესახებაც მატჩამდე არაფერი ვიცოდი. მან ძალიან კარგად ითამაშა, შესანიშნავი კონტრშეტევები ჰქონდა და ბევრ ბურთს აბრუნებდა ჩემს მოედანზე,* - განაცხადა 32 წლის უილიამსმა. - *დაღლილობის გამო, კორტზე ფაქტობრივად მკვდარი ვიყავი. ორი-სამი კვირა დასვენება დამჭირდება. ძალები უნდა აღვიდგინო, რათა მომავალში ასეთი რამ აღარ მოხდეს“.*



სერენა უილიამსი

სერენა უილიამსმა ამ სეზონში მესამე მატჩი წააგო. მანამდე მან დათმო დუბაის ტურნირის ნახევარფინალი ფრანგ **ალიზ კორნესთან**, ასევე ავსტრალიის ღია პირველობაზე წააგო მეოთხე წრეში სერბ **ანა ივანოვიჩთან**.

2014 წელს, უმცროს უილიამსს მოგებული აქვს ორი ტურნირი - ბრისბენსა და მაიამიში.

რაც შეეხება ჩეპელოვას, ის მერვედფინალში ჩეხ **პეტრა ჩეტკოვსკასა** და რუს **ელენა ვესნინას** შორის გამარჯვებულს შეხვდება.

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ასიანი სიდნი კროსბი

„პიტსბურგ პინგვინზის“ კაპიტანი და ლიდერი **სიდნი კროსბი** პირველი ჰოკეისტი გახდა ამ სეზონში, ვინც 100-ქულიან ზღვარს მიაღწია. კანადელმა ფორვარდმა ეს მაჩვენებელი „კაროლინასთან“ მატჩისას დააფიქსირა, როცა პირველ პერიოდში საგოლე პასი ჩაიწერა აქტივში.

სიდნიმ გადაცემა **კრის კუნიტცს** გაუკეთა, რომელმაც გახსნა ანგარიში. ეს გოლი ერთადერთი იყო „პინგვინებისთვის, იმ დროს, როცა მათმა მეტოქემ ოთხჯერ გაიტანა და 4:1 მოიგო.

„კაროლინასთან“ მატჩი 76-ე იყო კრობისთვის მიმდინარე სეზონში. 26 წლის ფორვარდის ანგარიშზეა 36 გოლი და 64 შედეგიანი პასი. „პიტსბურგის“ კაპიტანმა კარიერაში მეხუთედ გადალახა სეზონში 100-ქულიანი ზღვარი.

■ ■ ■

„სენტ ლუისმა“ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა რეგულარულ ჩემპიონატში გამარჯვებისკენ. „ფილადელფიასთან“ საშინაო შეხვედრაში ძირითადი დრო და ოვერტაიმი უგოლოდ დასრულდა, ბულიტების სერიაში კი „ბლუზმენები“ უფრო ძლიერები აღმოჩდნენ. თავი გამოიჩინა სოჭის ოლიმპიადაზე რუსეთის ნაკრების მძლეველმა ამერიკელმა **ტი ჯეი ოშიმ** (ამ სეზონში 12-დან 9 ბულიტი გაიტანა). სწორედ მისი საჯარიმო აღმოჩნდა გამარჯვების, ხოლო „სენტ ლუისის“ მეკარემ **რაიან მილერმა** ამ სეზონში პირველი „შათაუტი“ შეასრულა.

■ ■ ■

„ნიუ ჯერსი“, სავარაუდოდ, ყველაზე უიღბლო გუნდია ამ რეგულარულში. „ეშმაკებმა“, რომლებიც „ვაშინგტონთან“, „ტორონტოსთან“, „დეტროიტთან“ და „კოლამბუსთან“ ერთად იბრძვიან სტენლის თასის ორი საგზურისთვის, სეზონში ბულიტების 11-დან 11 სერია წააგეს.

„ნიუ ჯერსის“ მორიგი წაგება ლიგის მთავარ აუტსაიდერთან „ბაფალოსთან“ ჰქონდა, რომლის კარს იცავდა 22 წლის ახალბედა **ნათან ლიუვენი**. ბულიტების სერია თითო გუნდიდან 9 დარტყმამდე გაგრძელდა და გადამწყვეტი აღმოჩნდა „სეიბრზის“ ფორვარდის **ვილე ლეინოს** ცდა.

■ ■ ■

„ვაშინგტონმა“ საკუთარ მოედანზე შეირცხვინა თავი „დალასთან“, ზედიზედ მეოთხე მარცხი იწვნია და ამ სეზონში მეშვიდედ ვერ შეძლო მეტოქის კარში გოლის გატანა.

პირველი პერიოდში ანგარიშის გახსნის შემდეგ, „დალასმა“ მეორე და მესამე პერიოდებში ორ-ორი შაიბა გაიტანა და დამაჯერებლად მიიყვანეს საქმე გამარჯვებამდე, ამ გუნდის მეკარემ **კარი ლეჰტონენმა** სეზონში მეოთხე „შათაუტი“ შეასრულა.

ისევ „უსაქმოდ“ იყო „ვაშინგტონის“ ლიდერი **ალექსანდრ ოვეჩკინი**, რომელმაც ზედიზედ 16 მატჩში ვერ შეძლო გოლის გატანა იმ შემთხვევაში, როცა მოედანზე თანაბარი შემადგენლობები იყო,. „დალასის“ წინააღმდეგ, რუსმა ოთხი დარტყმა შეასრულა და ოთხივე ლეჰტონენმა მოიგერია. ოვეჩკინმა სარგებლიანობის კოეფიციენტის გრაფაში მორიგი „მინუს 2“ ჩაიწერა“.

| ბაფალო-ნიუ ჯერსი | 3:2 (ბ) |
|---|---|

0:0, 0:1, 2:1, 0:0, 3:2

**გოლები:** 0:1 ზუბრუსი-11 (რაიდერი-15, ბრუნერი-13), 1:1 ენისი-20 (ლეინო-13, სტეფორდი-17), 2:1 ენისი-21 (პოჯსონი-21, სტეფორდი-18), 2:2 ტ. რუუტუ-7 (ენდი გრინი-24, ჟიდლიცკი-28).

**ბულიტები გაიტანეს:** ენისი (ბაფალო), ჯოზეფსონი (ნიუ ჯერსი), სტეფორდი (ბაფალო), იაგრი (ნიუ ჯერსი), ლეინო (ბაფალო).




პიტსბურგი-კაროლინა

| ტორონტო-კალგარი | 3:2 |
|---|---|

0:0, 1:1, 2:1

**გოლები:** 1:0 მაკლემანი-4 (ფრენსონი-26), 1:1 სტაიანი-13 (ბროუდი-26, ჯორდანო-32), 2:1 ბოლანდი-8, 3:1 კლარკსონი-5 (რეიმონდი-26), 3:2 რუსელი-6 (კოლბორნი-17, ბატლერი-14).

| აილენდერსი-ფლორიდა | 4:2 |
|---|---|

1:1, 2:0, 1:1

**გოლები:** 0:1 პოუდენი-4, 1:1 ჰამონიკი-3 (ბეილი-24), 2:1 ბეილი-7 (კოლინ მაკდონალდი-9, სტროუმი-9), 3:1 მ. მარტინი-8 (კოლინ მაკდონალდი-10), 4:1 ჰალმო-1 (ჩიზიკასი-9), 4:2 პირი-11 (ბ. კემპბელი-28, კულიკოვი-11).

| პიტსბურგი-კაროლინა | 1:4 |
|---|---|

1:1, 0:2, 0:1

**გოლები:** 1:0 კუნიტცი-35 (სტემპნიაკი-21, კროსბი-64), 1:1 ფოლკი-4, 1:2 ლინდჰოლმი-7 (სკინერი-20, ლოკტიონოვი-12), 1:3 ლინდჰოლმი-8 (სკინერი-21), 1:4 ე. სტაალი-18 (ლოკტიონოვი-13).

| ვაშინგტონი-დალასი | 0:5 |
|---|---|

0:1, 0:2, 0:2

**გოლები:** 0:1 სეგუინი-33 (ჯეიმი ბენი-41), 0:2 რეი უიტნი-9 (ჩიასონი-20, გოლიგოსკი-33), 0:3 ჯერი-1 (ჩიასონი-21, დელეი-12), 0:4 ჯეფრი-2 (რეი უიტნი-23, ჩიასონი-22), 0:5 გარბუტი-16 (ფიდლერი-13).

| კოლამბუსი-კოლორადო | 2:3 (ო) |
|---|---|

0:0, 2:0, 0:2, 0:1

**გოლები:** 1:0 ატკინსონი-20 (დუბინსკი-30), 2:0 კომო-4 (ნ. ფონინო-21, ტიუტინი-21), 2:1 მელოუნი-2 (კლიში-6, ჰოლდენი-13), 2:2 ლანდესკოგი-25 (მაკინონი-34, შჩასტნი-32), 2:3 ლანდესკოგი-26 (ბერი-23, მაკინონი-35).

| ტამპა ბეი-მონრეალი | 3:1 |
|---|---|

0:1, 1:0, 2:0

**გოლები:** 0:1 გალაჰერი-19 (გალჩენიუკი-17, ვიფერი-10), 1:1 კელეჰანი-17 (პალატი-33, ჰედმანი-36), 2:1 ტ. ჯონსონი-23 (ჰედმანი-37), 3:1 კილორნი-17 (პალატი-34, ბრაუნი-15).

| სტ ლუისი-ფილადელფია | 1:0 (ბ) |
|---|---|

0:0, 0:0, 0:0, 0:0, 2:0

**ბულიტები გაიტანეს:** ოში (სტ. ლუისი), შატენკირკი (სტ. ლუისი).

| ვანკუვერი-რეინჯერსი | 1:3 |
|---|---|

0:2, 1:0, 0:1

**გოლები:** 0:1 კარჩილო-4 (დორსეტი-4, ბ. ბოილი-12), 0:2 პულიო-13 (ბრასარი-25, ცუკარელო-37), 1:2 კესლერი-24 (დ. სედინი-29), 1:3 სან ლუი-30 (რიკ ნეში-13).

| ფინიქსი-ვინიპეგი | 1:2 |
|---|---|

0:1, 1:0, 0:0, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ლედი-23 (ლიტლი-40), 1:1 ზ. მიხალეკი-2 (ვერმეტი-21, ბოდკერი-29).

**ბულიტები გაიტანეს:** ლედი (ვინიპეგი).

| სან ხოსე-ედმონტონი | 5:4 |
|---|---|

2:1, 1:2, 2:1

**გოლები:** 1:0 დეუარდენი-3 (ტაილერ კენედი-13, დემერსი-29), 1:1 ტ. ჰოლი-26 (ნიუჯენტ-ჰოპკინსი-34, ებერლე-33), 2:1 დ. ბოილი-11 (ჯ. ტორნტონი-62), 3:1 უინგელსი-16 (ბ. სტიუარტი-8, ბრაუნი-13), 3:2 ნიუჯენტ-ჰოპკინსი-17 (ბელოვი-6, ტ. ჰოლი-44), 3:3 ებერლე-25 (კლეფბომი-2, ტ. ჰოლი-45), 3:4 ნიუჯენტ-ჰოპკინსი-18 (ებერლე-34, ტ. ჰოლი-46), 4:4 ბერნსი-22 (ჯ. ტორნტონი-63, პაველსკი-36), 5:4 მარლო-32 (ბერნსი-23, დ. ბოილი-22).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

**1/4 ფინალი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| პსჟ-ჩელსი | 3:1 |
| რეალი-დორტმუნდი | 3:0 |

**ინგლისი**

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| პიტერბრო-კოლჩესტერი | 2:0 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| რომა-პარმა | 4:2 |

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (ჩ-ა)**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-ბაბელსბერგი | 0:1 |

**რეგიონალლიგა (ს-დ)**

| | |
|---|---|
| ცვაიბრუკენი-აინტრახტი II | 2:1 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| ტვენტე-დენ ჰააგი | 1:1 |
| უტრეხტი-კამბური | 1:0 |
| იგლზი-ბრედა | 2:1 |
| ჰერაკლესი-ფეიენოორდი | 1:2 |
| ვაალვიკი-აიაქსი | 0:2 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| მაასტრიხტი-დენ ბოში | 0:1 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| ჰართსი-აბერდეინი | 1:1 |

**ფინეთის თასი**

| | |
|---|---|
| კემი-ტურკუ | 1:1 პენ. 3:4 |

**საბერძნეთის თასი**

**1/2 ფინალი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი-პაოკ | 2:1 |

**თურქეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| თავშანლი-ფეთჰიე | 2:1 |
| ორდუ-1461 ტრაბზონი | 1:1 |
| ძარსიაძა-გაზიანთეფი ბბ | 1:2 |
| მანიშა-ბოლუ | 0:1 |
| მერსინი-ბალიძესირი | 0:1 |
| შანლიურფა-ბუკა | 4:1 |

**კვიპროსის თასი**

**1/2 ფინალი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| აპოლონი-ერმისი | 2:1 |
| აპოელ-დოძსა | 4:1 |

**ჩეხეთის თასი**

**1/4 ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| სპარტა-დუკლა | 2:0 (1:2) |

**სლოვენია**

| | |
|---|---|
| ტრიგლავი-კოპერი | 2:2 |

**სლოვენიის თასი**

**1/2 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| გორიცა-რუდარი | 2:1 (1:0) |
| ოლიმპია-მარიბორი | 1:1 (0:1) |

**უნგრეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ვიდეოტონი-პეჩი | 3:0 |

**ბულგარეთის თასი**

**1/4 ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| ლუდოგორეცი-ლოვეჩი | 2:1 (2:1) |

**ბოსნიის თასი**

**1/2 ფინალი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| სარაევო-ჟრინსკი | 0:0 |
| სელიკი-შიროკი ბრიეგი | 2:0 |

**არგენტინა**

| | |
|---|---|
| გოდოი-ლანუსი | 1:0 |
| კოლონი-ოლ ბოისი | 1:0 |
| როსარიო-ბოკა ხუნიორსი | 2:1 |

**ბრაზილიის თასი**

| | |
|---|---|
| სანტა რიტა-გუარანი | 0:0 |
| ბოავისტა-ამერიკე | 1:2 |

**პარაგვაი**

| | |
|---|---|
| 3 დე ფებრერო-ნასიონალი | გადაიდო |

**ვენესუელა**

| | |
|---|---|
| ესტუდიანტესი-კარაკასი | 1:1 |

**აზია**

**ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ალ ჯაზირა-ესტეგლალი | 0:1 |
| ალ რაიიანი-ალ შაბაბი | 0:2 |
| ალ იტიჰადი-ლეხვია | 3:1 |
| ბურირამი-სერეზო | 2:2 |
| შანდონგი-პოჰანგი | 2:4 |
| ჟეონბუკი-გუანგჯოუ | 1:0 |
| იოკოჰამა-მელბურნი | 3:2 |

**ს. აფრიკა**

| | |
|---|---|
| კაიზერ ჩიფსი-ლამონტვილი | 2:0 |
| ორლანდო-მპუმალანგა | 0:1 |
| სუპერსპორტი-მარიტცბურგი | 1:3 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| მილანი-ბარსელონა | 91:63 |

**ევროთასი**

| | |
|---|---|
| ცრვენა ზვეზდა-უნიქსი | 63:52 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ლევი-ლოკომოტივი | 3:0 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ჰამბურგი-ინგლოშტადტი | 1:3 |
| კიოლნი-ვოლფსბურგი | 1:4 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ვოლერენგა-სტორჰამარი | 2:1 |
| სტავანგერი-ლილეჰამერი | 6:2 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ნიტრა-ბისტრიცა | 4:3 (ო) |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| კერპეტი-სეიპა | 6:2 |
| ტაპარა-ლუკო | 5:2 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ტრშინეცი-ზლინი | 4:0 |
| სპარტა-ბრნო | 2:5 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ლინჩოპინგი-შელეფტეო | 2:8 |

**ჩოგბურთი**

**WTA. ჩარლსტონი**

| | |
|---|---|
| **სვიტოლინა**-სტივენსი | 6:4, 6:4 |
| ჩეტკოვსკა-**ვესნინა** | 6:3, 2:6, 4:6 |
| **ჰანტუხოვა**-მინი | 6:2, 6:3 |
| **ბენჩიჩი**-ერაკოვიჩი | 6:2, 6:1 |
| პენგი-**კისი** | 5:7, 6:4, 3:6 |
| კინგი-**ლისიცკი** | 5:7, 6:4, 3:6 |
| **პეტკოვიჩი**-დომინგეს ლინო | 6:0, 6:0 |
| **ერანი**-ბერტენსი | 6:3, უარი |
| სხეპერსი-**ვ. უილიამსი** | 5:7, 5:7 |

## TV პროგრამა

**3 აპრილი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXXI ტური. ვაალვაიკი-აიაქსი.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. შტუტგარტი-დორტმუნდი.
**14:00** არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-ნიუელსი.
**16:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ბაიერნი-ჰოფენჰაიმი.
**18:00** არგენტინის ჩემპიონატი. X ტურის მიმოხილვა.
**19:00** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. ბარსელონა-ატლეტიკო. პირველი მატჩი.
**21:00** პორტუგალიის ჩემპიონატი. XXV ტურის მიმოხილვა.
**22:00** ევროპის ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
**23:00** ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. ლიონი-იუვენტუსი. პირველი მატჩი (LIVE).
**01:00** ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. პორტო-სევილია. პირველი მატჩი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. სპორტინგი-გიმარაეში.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. რეალი-ცსკა.
**14:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MUNDIAL.
**15:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-გრონინგენი.
**17:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. ირლანდია-შოტლანდია.
**19:00** სპორტ-NEWS.
**19:30** მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდები.
**20:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**22:45** კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. XIII ტური. ბაიერნი-მაკაბი (LIVE).
**00:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**13:20** სპორტ-NEWS.
**13:50** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**20:10** სპორტ-NEWS.
**20:40** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**21:20** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
**23:05** ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. პორტო-სევილია. პირველი მატჩი (LIVE).
**01:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი


სასტუმრო Cromlix

# მწვრთნელიც იპოვა, სასტუმროც აამუშავა

ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ ბრიტანული ჩოგბურთის პირველმა ნომერმა **ენდი მარეიმ** საკუთარი „ტვიტერის" მეშვეობით სთხოვა გულშემატკივრებს - მისთვის ახალი მწვრთნელის კანდიდატურა შეერჩიათ. როგორც იცით, 19 მარტს, შოტლანდიელმა განწყვიტა ურთიერთობა ამერიკელ **ივან ლენდლთან** და სწორედ ამის შემდეგ შეუდგა ახალი დამრიგებლის ძიებას.

*„თქვენ რომ შეგეძლოთ საჩოგბურთო მწვრთნელის დაქირავება, რომელ კანდიდატურაზე შეაჩერებდით არჩევანს?"* - ასეთი კითხვა დასვა „ტვიტერში" მარეიმ.

სოციალური ქსელის მომხმარებელთა დიდმა ნაწილმა დაასახელა ენდის დედა - **ჯუდი მარეი**. ამერიკელმა **ენდი როდიკმა** ბრიტანელს **ლარი სტეფანკი** შესთავაზა, **სტანისლას ვავრინკამ - მაგნუს ნორმანი, მერდი ფიშმა - მარკ ნოული,** ხოლო არგენტინელმა **ხუან მონაკომ** მარეის მწვრთნელად ცნობილი მულტსერიალის პერსონაჟი - **ბარტ სიმპსონი** ურჩია. შეთავაზებულ ვარიანტებს შორის იყო აგრეთვე **როჯერ ფედერერი, ბიორნ ბორგი, მარტინა ჰინგისი** და **მარტინა ნავრატილოვა.**

ტელეარხ Eurosport-ის წამყვანმა მატს ვილანდერმა, რომლის კანდიდატურას ასევე სთავაზობდნენ ენდის, მარეის უკეთესი ვარიანტის მოძებნა შესთავაზა: *„არ მგონია, რომ ენდიმ მწვრთნელი მაინცდამაინც „დიდი სლემის" ტურნირების გამარჯვებულებს შორის უნდა ეძებოს, მაგრამ მიმაჩნია, რომ მას ვინმე ისეთი სჭირდება, ვინც კარგ მეორე მონოდებას ასწავლის. მე ასეთი არ ვარ".*

და აი, გუშინ, მარეიმ იმავე „ტვიტერის" მეშვეობით გამოაცხადა, რომ მწვრთნელის ძიება დასრულებულია. ახალი დამრიგებელი ნაპოვნია და ბრიტანელი მას დღეს წარადგენს.

...

ამასობაში, შოტლანდიაში ამუშავდა სასტუმრო Cromlix, რომლის მფლობელია ენდი მარეი.

შეგახსენებთ, რომ უიმბლდონის მოქმედმა ჩემპიონმა ეს სასტუმრო გასულ წელს შეიძინა. შენობაში დიდი რეკონსტრუქცია ჩატარდა, რაც, საერთო ჯამში, 2 მილიონი ფუნტი სტერლინგი დაჯდა.

სასტუმროში ათი საბაზო ნომერი და ხუთი სიუიტია (მანსარდის ტიპის ნომერი). ოთახებს ლეგენდარული შოტლანდიელების სახელები მიანიჭეს. მაგალითად, სასტუმროშია **რობერტ ბერნსის, უილიამ უოლასის,** მეფე **რობერტ I**-ის, სერ **ალექს ფერგიუსონის,** სერ **კრის ჰოის** ნომრები...

ასევე, სასტუმროში მუშაობს ვისკი-ბარი, ეკლესია, საჩოგბურთო კორტი და რესტორანი, რომლის შეფ-მზარეულია ფრანგი **ალბერტ რუ.** ადრე, მან სამი ვარსკვლავი მოუტანა ლონდონის რესტორან La Gavroche-ს.

სასტუმრო Cromlix-ში ერთი ღამის გათენება 585 ფუნტი ღირს.

ფორმულა 1

# რედ ბული რენოს შემცვლელს ეძებს?

უკან დარჩა ფორმულა 1-ში ორი გრანპრი და თუ ექსპერტები მაღალ შეფასებას აძლევენ „რედ ბულის" შასის, სირთულეები „რენოს" ძრავასთან დაკავშირებით გრძელდება. კერძოდ, თუ ვილაპარაკებთ სწორ მონაკვეთებზე მაქსიმალურ სიჩქარეზე, ფრანგული კომპანიის ძალისმიერი აგრეგატებით აღჭურვილი მანქანები „მერსედესთან" დაახლოებით 15 კმ/სთ-ს აგებენ. რა თქმა უნდა, ეს არ აწყობს „რედ ბულს".

ავსტრიული საჯინიბოს კონსულტანტმა **ჰელმუტ მარკომ** ამასწინანდელ ინტერვიუში აღიარა: *„ამ მომენტისთვის ჩვენ არ გვყოფნის დაახლოებით 80 ცხენის ძალა. ეს კარგად ჩანს სუფთა სიჩქარეში ჩამორჩენის მხრივ".*

გუშინ, გერმანულმა გაზეთმა „ბილდმა" მარკოს უფრო კატეგორიული გამონათქვამი გამოაქვეყნა, რომელიც ბევრმა ულტიმატუმად აღიქვა: *„თუ ორსამ თვეში „რენო" ვერ მიაღწევს შესამჩნევ პროგრესს, ჩვენ, რა თქმა უნდა, ალტერნატიული ვარიანტების ძიებას დავიწყებთ".*

„რედ ბულსა" და „რენოს" შორის მიმდინარე კონტრაქტი 2016 წლის ბოლოს იწურება. მარკოს არ დაუზუსტებია, რა ჰქონდა ბოლო განცხადებისას მხედველობაში, მაგრამ გაჩნდა ვარაუდი, რომ გუნდმა, შესაძლოა, გააუქმოს მოქმედი კონტრაქტები. ყველასთვის ცნობილია, რომ **ედრიან ნიუიმ** იცის ძალიან სწრაფი შასის შექმნა და გერმანული პრესა მიანიშნებს იმაზე, რომ „რედ ბული" ახლა „მერსედესის" ძრავებით რომ იყოს აღჭურვილი, ეს გუნდი ლიდერებს შორის იქნებოდა.







# ფოტო-NEWS


ვიქტორია აზარენკა

## ნიშნობა თუ საპირველაპრილო ხუმრობა?

ბელარუსმა ჩოგბურთელმა **ვიქტორია აზარენკამ** Instagram-ში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ფოტო, რომელშიც არათითზე დიდი ბეჭედი აქვს ჩამოცმული.

ბევრმა გულშემატკივარმა ლოგიკურად მიიჩნია, რომ მუსიკოსმა **რედფუმ** თავის შეყვარებულს ხელი სთხოვა, მაგრამ ბევრს ეხამუშება გამოქვეყნებული ფოტოს თარიღი - 1 აპრილი. თავად ვიქტორიას ამასთან დაკავშირებით არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია.

## ახალი ოქროს ბიჭი

19 წლის მექსიკელი მოკრივე **დიეგო დე ლა ჰოია** (მეტსახელი The Golden Kid) 3 აპრილს, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაატარებს თავის მეოთხე შეხვედრას პროფესიულ რინგზე. მისი მოწინააღმდეგე იქნება ნაკლებადცნობილი პუერტორიკოელი **ჯაქსელ მარერა.**

დიეგო ექვს წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის, ლეგენდარული **ოსკარ დე ლა ჰოიას** ბიძაშვილია. უმცროსი დე ლა ჰოია ოთხი წლის განმავლობაში წარმოადგენდა მექსიკას სამოყვარულო კრივში და საერთო ჯამში 250 შეხვედრა ჩაატარა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**


დიეგო დე ლა ჰოია

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**
ISSN 2233-3827
9 772233 382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

**მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილე: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28)
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი:** 2 19 60 13; 2 19 60 53. **ელფოსტა:** leloltd@gmail.com; მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:10 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608